პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კაბოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.: რედაქტორის 14—76, მდივნის 19—56, ღამის მორიგეს 18—89.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სადღესასწაულო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- ინგლისის ქალაქები განაგრძობენ საბჭოთა ნავთის დაკვეთას.
- საბერძნეთის გაზეთების ანტი საბჭოთა კამპანია.
- მდგომარეობა პეკინის ფრონტზე.
- პენსილვანიაში (ამერიკა) გამოცხადდა მემაღაროეთა გაფიცვა.
- ამერიკის საზღვაო ბიუჯეტის დამტკიცება.
- მაღაროების ჩამონგრევა გერმანიაში. დაიღუპა 15 კაცი.
- ამხ. პეტროვსკის და სკრიპნიკის დაჯილდოება შრომის წითელი დროშის ორდენით.

შაბათი, 24 მარტი 1928 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 69 (2112)

კომუნისტი
მიიღება ხელისმოწერა
აპრილისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

ჩვენი სამეურნეო ზრდა

ამიერ - კავკასიის ცაკის უკანასკნელმა სესიამ, სხვათა შორის, განიხილა 1927-28 წლის მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტი. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ბიუჯეტის შედგენა - დამტკიცება ჯერ კიდევ დაგვიანებით ხდება. ეს უმეტესად აიხსნება საქმის სირთულით: შემოსავლის გამორკვევა მხოლოდ სამეურნეო წლის ბოლოს შეიძლება, ამასთან დაკავშირებით ბრკოლდება სავასავლო ხარჯთ-აღრიცხვის შედგენაც, ბიუჯეტი ირჩევა მრავალ ინსტანციაში, რაც ხანგრძლივ დროს მოითხოვს. მაგრამ წლიდან-წლამდე ჩვენ უფრო მეტი მიღწევები გვაქვს ბიუჯეტის დამტკიცების დაჩქარების საქმეში. საჭიროა ამ მხრივ შემდგომი ნაბიჯების გადადგმა და ისეთი მდგომარეობის შექმნა, როცა ბიუჯეტი მზად გვექნება სამეურნეო წლის დასაწყისში. ეს უეჭველად მეტად შეუწყობს ხელს გეგმაშეწონილ მშენებლობას.

გადავდივართ რა ჩვენი ფედერაციის 1928-27 წ. ბიუჯეტზე, უნდა ვსთქვათ, რომ უეჭველად დიდი წარმატება გვაქვს. მაგ. ა.-კ. სახ. ბიუჯეტის სავასავლო ნაწილი გამოიხატება 96.996.000 მანეთში, მაშინ როცა 1926-27 წ. ის შეადგენდა 85.398.000 მანეთს, ე. ი. ზრდა უდრის 13 ნახ. პროცენტს. ადგილობრივ ბიუჯეტთან ერთად ამიერ - კავკასიის ბიუჯეტი აჭარბებს 200 მილ. მანეთს. ამავე დროს რა თქმა უნდა, გაიზარდა ბიუჯეტის შემოსავალთა ნაწილიც. ა.-კ. მეურნეობის მიერ შემოსავალი გამოანგარიშებულია 87.871.000 მან. რაოდენობით. აღსანიშნავი ამასთან ის არის, რომ სულ უფრო მცირდება ჩვენი სახ. ბიუჯეტის დეფიციტიანობა: შარშან დეფიციტი უდრიდა 15 ნახ. პროცენტს, ეხლა ის ნავარაუდევია 3,7 პროც..

ყველაფერი ეს ნათლად მოწმობს ჩვენი სახალხო მეურნეობის უდიდეს ზრდას ერთი მხრით, ხოლო მეორე მხრით ქვეყნის სამეურნეო და სოციალურ კულტურულ მოთხოვნილებათა უფრო მეტ დაკმაყოფილებას, ვინემ ამას ადგილი ჰქონდა წინა წლებში. მეურნეობის სწრაფი განვითარების მაჩვენებელია ის ფაქტიც, რომ ჩვენს ბიუჯეტში იზრდება არასაგადასახადო შემოსავალი; მაგ. შარშან ის შეადგენდა 52,4 პროც., ხოლო მიმდინარე სამეურნეო წელში ნაანგარიშევია 55 პროც..

ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ჩვენი ბიუჯეტის ამოცანაა სახალხო მეურნეობის შემდგომი გაშლისა და ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ხელის შეწყობა. ამიტომაა, რომ მაშინ თავისი რაოდენობით პირველი ადგილი უკავია ხარჯებს, რომლებიც გაღებულია სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის. ამ მიზნით სახ. ბიუჯეტის წესით თანხების გადადება უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გაიზარდა 12 მილიონიდან 31 მილიონამდე. ასეთი მდგომარეობა უფრო მეტადაა დამახასიათებელი ადგილობრივი ბიუჯეტისათვის: მაშინ სამეურნეო - საწარმოო ხარჯები შარშან შეადგენდნენ 35,9 პროც., ხოლო მიმდინარე წელში აღწევენ 43 პროც..

მეორე მხრივ ჩვენ ვხედავთ ადმინისტრატიულ - სამმართველო ხარჯების შემცირებას. 20 პროცენტიანი შემოკლება, რომლის შესახებ საკავშირო მთავრობის დირექტივა არსებობს, სავსებით გატარებულია, რამდენადაც საქმე ეხება სახკომისარიატებს და სახბიუჯეტებზე მყოფ სხვ. დაწესებულებებს. ამ გზით მიღებულია ეკონომია 2.853.000 მანეთის რაოდენობით. ადგილობრივ ბიუჯეტში კი შემოკლება განხორციელებულია დაახლოვებით 25 პროცენტით და აქ, მაშასადამე, დირექტივის მთლიანად შესრულებისათვის კიდევ დიდი მუშაობა უნდა ჩატარდეს.

სახბიუჯეტის ერთ მეტად მნიშვნელოვან საშემოსავლო წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო — სესხები. ამ დარგშიც უკანასკნელად მეტად დიდი მიღწევები გვაქვს. ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაციამ საგრძნობლად გადააჭარბა გეგმით გათვალისწინებულ თანხას. კარგად მიმდინარეობს საგლეხო სესხის გასაღებაც: უნდა მივიღოთ შემდგომი ზომები, რომ ამ სესხის რეალიზაცია ისეთივე წარმატებით დამთავრდეს, როგორც ინდუსტრიალიზაციის სესხის გავრცელება.

ჩვენს ბიუჯეტში თვალსაჩინო ადგილი უკავია სასოფ.-სამეურნეო გადასახადს. გათვალისწინებულია ამ გადასახადის რამდენიმედ გადიდება შარშანდელთან შედარებით. ეს გადიდება შეეხება, რა თქმა უნდა, პირველად შეძლებულ ფენებს. კლასობრივი პრინციპი ამ მხრივ უფრო მტკიცედ იქნება გატარებული. ღარიბ და საშუალო მეურნეობებისათვის კი დარჩება ყველა ეხლა არჩეული შეღავათები. გარდა ამისა, ზომებია მიღებული საგადასახადო ობიექტების და ნორმების უფრო ადრე და სწორი გამოანგარიშება დაწესებისათვის. ეს თავიდან აგვაცდენს შეცდომებს და გაადვილებს გადასახადის დროზე აკრეფას.

ჩვენ ბიუჯეტს მიღწევებთან ერთად ჯერ კიდევ მრავალი ნაკლი ახლავს თან. პირველ ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ ზოგიერთ ადგილობრივ ბიუჯეტის დიდი დეფიციტიანობა, რაც აიხსნება უმთავრესად იმით, რომ თემებს და მაზრებს ზოგან არ გააჩნიათ საკმაო ეკონომიური ბაზა. საჭიროა ზომების მიღება ადგილობრივი მრეწველობის შესაქმნელად და განსავითარებლად, რაც ხსენებულ დეფიციტიანობას თანდათან მოსპობს. ამავე დროს სათანადოთ არ არის დაყენებული ადგილობრივი ბიუჯეტების შედგენის საქმე. ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს.

შემდეგ: ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესრულება მიმდინარე წელს ვერ მიმდინარეობს საჭირო ტემპით, რაც შეაფერხებს მშენებლობას, თუ გადამჭრელი ზომები არ მივიღეთ ამ მოვლენის წინააღმდეგ. აუცილებლად უნდა განვამტკიცოთ საბიუჯეტო დისციპლინა.

ეს დისციპლინა, ამასთან, უნდა დაეტყოს არა მარტო გადასახადების აკრეფის საქმეს, არამედ უფრო მეტად ხარჯების რაციონალურად გაწევას და ბიუჯეტის ფარგლების სასტიკად დაცვას კერძოდ აუცილებელია მთელი რიგი ღონისძიებათა მიღება, რათა გადიდებულმა თანხებმა მოკლე დროში მაქსიმალური ეფექტი მოგვცეს. მიზანშეწონილი და იაფი მშენებლობა, უკიდურესი ეკონომიის დაცვა—აი რა გვესაჭიროება ჩვენ.

1927-28 წლის ბიუჯეტის პროექტი, რომელიც განიხილა ა.-კ. ცაკის სესიამ, გვიჩვენებს ჩვენი რესპუბლიკების მეურნეობის ყოველმხრივ ზრდას. გეგმაშეწონილი და დაუღალავი მშენებლობით ეს ზრდა უფრო უნდა დავაჩქაროთ და განვამტკიცოთ.

თვითკრიტიკის შესახებ

მე-15 ყრილობის შემდეგ ჩვენ უეჭველად სერიოზული წინსვლა გვეტყობა თვითკრიტიკის დარგში, თვითკრიტიკის, რომელიც ვითარდება ჩვენს პარტორგანიზაციებში. თვითკრიტიკას დიდი სტიმული მისცა პურის დამზადების კამპანიამ, რომლის დროსაც პარტია ზოგჯერ ულმობელი სიმკაცრით ამჟღავნებდა იმ დეფექტებს, რომლებსაც ჰქონდა ადგილი სათანადო სამეურნეო დაწესებულებების მუშაობაში. ჩვენს პრესას, განსაკუთრებით ცენტრალურს, მსხვილ სამრეწველო რაიონების პრესას, იმდენად გარკვევით აქვს აღებული კურსი თვითკრიტიკაზე, რომ უცხოელი მტრები ყოველმხრივ ცდილობენ გამოიყენონ თავის მიზნებისათვის ის მამხილებელი ფაქტები, რომლებიც იბეჭდება ჩვენს პრესაში. ისინი ხშირად ამოჰბეჭდავენ ჩვენი პრესიდან ცალკე მამხილებელ წერილებს და ასაღებენ მათ, როგორც იმ „გახრწნის" „დამამტკიცებელ საბუთებს", რომელიც თითქოს მოედო საბჭოთა აპარატების სისტემას. ასე იქცევა, მაგალითად, საზიზღარი „ფორვერტს"-ი. მაგრამ ეს ბინძური ხერხი ვერავითარ შემთხვევაში ვერ მიაღწევინებს ცილისმწამებლებს მათ მიზანს. როდესაც გერმანელი მუშები კითხულობენ „ფორვერტს"-ში საბჭოთა პრესიდან გადმობეჭდილ „სენსაციურ" წერილებს, ისინი ერთხელ კიდევ რწმუნდებიან საბჭოთა კავშირის პროლეტარულ დიქტატურის ნამდვილ ძლიერებაში, ისინი რწმუნდებიან, რომ პროლეტარულ დიქტატურას, რომელიც ეყრდნობა მშრომელ მასებს, სრულებით არ ეშინია მათი კრიტიკის, სავსებით ენდობა მათ და სავსებით დარწმუნებულია, რომ ეს კრიტიკა სასარგებლოა და იწვევს ჩვენი დაწესებულებების ტკივილების აღმოფხვრას.

რა თქმა უნდა, ბურჟუაზიულ ქვეყნებში არც ერთი მთავრობის პარტია არ დაუშვებს თავის პრესაში ჩვენი თვითკრიტიკის მსგავს რამეს. ამავე დროს კი ჩვენ ვფიქრობთ, რომ თვითკრიტიკა ჩვენში ჯერ კიდევ ვერ არის საკმაოდ გავრცელებული მუშაობის ყველა დარგებზე, რომ პარტიული და მუშათა მასას ჯერ კიდევ არ გამოუჩენია სათანადო აქტივობა თვითკრიტიკის საქმეში, ხოლო ჩვენი ორგანიზაციების პარტხელმძღვანელობის შეცდომები კი ზოგჯერ აფერხებს თვითკრიტიკის განვითარებას. ამასთან დაკავშირებით, საკითხი თვითკრიტიკის ფორმების, ამოცანების და შინაარსის შესახებ ერთხელ კიდევ უნდა დაისვას პარტორგანიზაციების წინაშე. ის დაბრკოლებები, რომლებიც იჩენს თავს თვითკრიტიკის გატარების გზაზე, საერთოდ მეტად თუ ნაკლებად ნათელია ჩვენი პარტიის საზოგადოებრივი აზრისათვის. მაგალითისათვის ვიღებთ ერთ-ერთ ადგილობრივ გაზეთში მოთავსებულ ანგარიშს, ერთ-ერთ უჯრედის კრების შესახებ და ვკითხულობთ ორატორების გამოსვლებს:

„ბოლშევიკურ თვითკრიტიკის მაგიერ, ჩვენ ზოგჯერ გვაქვს ისეთი შემთხვევები, რომ საკითხი ოჯახურად წყდება. ჩვენს კრებებზე ადგილი არა აქვს საკმაო კრიტიკას. კიდევ ადგილი აქვს შიშსა და უხერხულობას, რომ საკითხი აშკარად და მკვეთრად დაისვას. მთელი რიგი ამხანაგები ორგანიულად ვერ ითმენენ კრიტიკულ შენიშვნებს. მათ სურთ წყნარად და მშვიდობიანად მუშაობა" — ამბობს ერთ-ერთი ორატორი. ჩვენს კრებებზე ჩვენ ყოველთვის არ ვსვამთ საჭირბოროტო საკითხებს, უფრო ხშირად ვსვამთ ისეთ საკითხებს, რომლებიც დავას არ იწვევს! — ამბობს ის. ამას უნდა დაემატოს ის რომ ძალიან ხშირად ისინი ვის მოქმედებას აკრიტიკებენ, ამ კრიტიკას არ ეპყრობიან კულტურულად, ღებულობენ ამას, როგორც პირად შეურაცხოფას, თავს ესხმიან იმას, ვინც მათ აკრიტიკებს და სხვ. ზოგჯერ, პირიქით თითონ კრიტიკა ღებულობს არასაქმიან კინკლაობის ფორმებს, ან ახლად დაწინაურებულ მუშებს ისეთი გამანადგურებელი კრიტიკით ესხმიან თავს, რომ ართმევენ მათ მუშაობის ხალისს.

პარტიულ თვითკრიტიკის განვითარების ყველა ეს არანორმალური პირობები აღმოფხვრილი უნდა იქნეს და კიდევაც იქნება აღმოფხვრილი, რამდენადაც მათი მავნებლობა ყველასათვის აშკარა ხდება.

მაგრამ თვითკრიტიკის საკითხებში მნიშვნელობა აქვს არა მარტო მისი გატარების ფორმებსა და მეთოდებს, არამედ თვითკრიტიკის შინაარსს. მაგალითად, უაღრესად საჭიროა ბრძოლა ყოფა-ცხოვრებითი ხასიათის ნაკლოვანებებთან ან ცალკე კომუნისტების ნაკლოვანებებთან, რომლებიც ზოგჯერ იწვევენ პარტიის სახელის გატეხას უპარტიოთა წრეში. ჩვენ გვაქვს მაგალითები, როდესაც თვითკრიტიკა პარტიულ მასის მხრივ ააშკარავებდა ამა თუ იმ ორგანიზაციის ზედაფენის რღვევას. მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა (რასაც ზოგჯერ აქვს ადგილი), რომ მთელი თვითკრიტიკა შემოგვეფარგლა ყოფა-ცხოვრების საკითხებით, ეს სრულებით შეუსაბამო იქნებოდა ჩვენი პარტიის ინტერესებისა და იმ გეზისათვის, რომელიც მოგვცა მე-15 ყრილობამ. თვითკრიტიკის კურსს ბევრად უფრო ფართო ამოცანები აქვს, მან უნდა გამოიწვიოს პარტიულ ხელმძღვანელობის გამოსწორება და გაუმჯობესება ყველა ჩვენი ორგანიზაციების მუშაობის ყველა დარგებში. საჭიროა, რომ თვითკრიტიკით მოწმდებოდეს სამეურნეო და კულტურულ ღონისძიებათა მიზანშეწონილობა და სისწორე საერთო პარტიულ დირექტივებთან შეფარდებით, დირექტივების სისწორე და სხვ. სხვანაირად რომ ვთქვათ, თვითკრიტიკის ობიექტად უნდა გახდეს თვითეულ ორგანიზაციის მუშაობა მთელი მისი სიგრძე - სიგანით და პირველ რიგში განსაკუთრებით მნიშვნელოვან დარგების მუშაობა. თვითკრიტიკა მხოლოდ ამ შემთხვევაში მოუტანს ჩვენს ორგანიზაციებს ნამდვილად დიდ სარგებლობას მათ მუშაობაში და იქნება მასების პარტიულად აღზრდის ქურა.

მე-15 ყრილობამდე მთელი პარტიის უდიდეს ყურადღებას აბანდებდა ამჟამად განადგურებული ტროცკისტული ოპოზიცია, რის გამოც პარტიულ ორგანიზაციების ყურადღების უდიდესი ნაწილი მიპყრობილი იყო პარტიის საერთო პოლიტიკის თეორიის საკითხებისაკენ. უკანასკნელმა გარემოებამ თავისთავად ცხადია. პარტიას დიდი სარგებლობა მოუტანა, ვინაიდან გაურკვია პარტიულ მასებს სოციალიზმისათვის ბრძოლის სავსებით ნათელი, გარკვეული და ლოღიკური ლენინური პერსპექტივები. ეხლა ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენმა პარტიამ დაიცვას ეს პერსპექტივები, არ შესწყვიტოს მუშაობა საერთო პოლიტიკის თეორიის საკითხების გარშემო და ამავე დროს მეტი ყურადღებით და პირისპირ შეუდგეს სოციალისტურ აღმშენებლობის კონკრეტულ საკითხების დამუშავებას. ტყუილა კი არ არის, რომ ამჟამად, როდესაც ვიხილავთ საკითხს ადგილობრივ ორგანიზაციების პარტხელმძღვანელობის დაყენების შესახებ, ხშირად გვესმის მოთხოვნილება „დირექტივების კონკრეტობის" შესახებ. აგრეთვე თვითკრიტიკის შესახებ უნდა წამოყენებულ იქნას მოთხოვნილება, რომ თვითკრიტიკა აღნიშნავს ამა თუ იმ ორგანიზაციის მუშაობაში იმ კონკრეტულ ნაკლოვანებებს და უარყოფით მხარეებს, რომლების აღმოფხვრა საჭიროა, და მიუთითებდეს იმ ზომებზე, რომლებმაც უნდა გამოასწოროს მუშაობა და აღმოფხვრას ნაკლოვანებანი.

სოციალისტურ აღმშენებლობის საქმეში ჩვენ უნდა ჩავაბათ მილიონიანი მასები. მათი გაერთიანება და მიზიდვა შეიძლება მხოლოდ კონკრეტულ საქმეების და მასებისათვის გასაგებ ღონისძიებების ნიადაგზე.

ამ ღონისძიებათა გამომუშავება ყოველმხრივი მასშტაბით, დაწყებული საბჭოთა კავშირის სამრეწველო ფინანსიურ გეგმის შედგენით და გათავებული აგურის ქარხნის აგების გეგმით, უნდა იქნეს მასალა და საფუძველი პარტიულ მასის აღზრდისათვის, პარტიის წევრებიდან უპარტიო მასების ნამდვილ ხელმძღვანელთა და სოციალისტურ საზოგადოების ჭეშმარიტ მშენებელთა გამომუშავებისათვის. საჭიროა მუშაობა ისე იქნეს დაყენებული, რომ უჯრედის თვითეული წევრი, აქტიურ მონაწილეობის დროს მის მუშაობაში ქარხნის და თემის მასშტაბით, გრძნობდეს პასუხისმგებლობას უჯრედისათვის, გული შესტკიოდეს მისი მარცხის დროს და აღფრთოვანებული იყოს მისი წარმატებებით (წარმატება ყველგან არის მაგრამ, რა თქმა უნდა, თვითკრიტიკა არ შეიძლება გავიგოთ ისე, როგორც პარტიის მუშაობის შავი საღებავებით დახატვა). ამას ჩვენ უნდა მივაღწიოთ თვითკრიტიკის საშუალებით.

ჩვენმა პარტიამ დაიწყო სოციალიზმის აღმშენებლობის გიგანტური ისტორიული საქმე, რომ ეს საქმე შესრულებულ იქნას, ჩვენს პარტიას ესაჭიროება კრიტიკა, მაგრამ „გარეშე" „კრიტიკა" კი არა, რომელიც გამომდინარეობს პროლეტარიატის დიქტატურის მტრებისაგან, არამედ თვითკრიტიკა მუშებისა და მშრომელ მასების მხრივ, რომელთა დახმარებით პროლეტარული ხელისუფლება იკრებს უსაზღვრო ძალებს სოციალისტურ აღმშენებლობისათვის და პროლეტარიატის მტრების მოსაგერიებლად.

„პრავდა", 23 მარტი.

სოციალ-დემოკრატები განიარაღების წინააღმდეგ

მენშევიკური „ფორვერტს" მხარს უჭერს ინგლისის იმპერიალიზმის პოზიციას

ამხ. ლიტვინოვის საპასუხო სიტყვა.—სიტყვამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა

ამერიკის სახელმწიფო ბანკის თავმჯდომარე სტრონგი მხარს უჭერს საბჭოთა ოქროს მიღებას

გერმანიის მძიმე მრეწველობის დიდი ნაწილი მოითხოვს მოლაპარაკების განახლებას საბჭ. კავშირთან

განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიაში

ამხ. ლიტვინოვის პასუხი იმპერიალისტებს

ჟენევა, 22 მარტი. 22 მარტს არგენტინის და ჩილის წარმომადგენელთა სიტყვის შემდეგ საპასუხო სიტყვით გამოვიდა ამხ. ლიტვინოვი. ბრწყინვალე სიტყვაში, რომელიც საათზე მეტს გაგრძელდა, ამხ. ლიტვინოვი არღვევს საბჭოთა პროექტის წინააღმდეგ გამოსულ ორატორების არგუმენტაციას. შემდეგ ამხ. ლიტვინოვი გადადის შეტევაზე და ამჟღავნებს საბჭოთა პროექტის მოწინააღმდეგეთა სიყალბეს და ფარისევლობას. განსაკუთრებით დაუზოგავათ აკრიტიკებს ამხ. ლიტვინოვი ინგლისის დელეგატ კაშენდენს, არღვევს რა მთელს მის არგუმენტაციას. ამხ. ლიტვინოვის სიტყვა, რომელიც დიდის ყურადღებით იქნა მოსმენილი სავსე აუდიტორიის მიერ, უდიდეს შთაბეჭდილებას სტოვებს ასეთ აუდიტორიისათვის უჩვეულო რევოლიუციონური გამბედაობით, გულწრფელობით და დაუზოგავი სარკაზმით. (ადს).

გერმანელი მენშევიკები განიარაღების წინააღმდეგ

ბერლინი, 22 მარტი გერმანიის პრესა ესალმება საბჭოთა წინადადებას საყოველთაო განიარაღების შესახებ. გერმანიის გაზეთების სიტყვით, ეს წინადადება, მართალია, განუხორციელებელია. მასში პროპაგანდის მიზნით დაშვებულია აშკარა გადაჭარბება, მაგრამ ის მაინც იძლევა მეტად სასარგებლო მასალას და დაწვრილებით უნდა იქნეს განხილული. პრესა აღნიშნავს, რომ სწორედ ამიტომ გერმანიის დელეგაცია ჟენევაში ვრცელი განცხადებით გამოვიდა საბჭოთა წინადადების შესახებ და დაჰგმო ამ წინადადების უბრალოთ უარყოფა, როგორც ეს სურდა ინგლისის დელეგაციას.

„ფორვერტს"-ის კომენტარიები ჟენევაში გამართულ კამათის შესახებ და გაზეთის პოზიცია გერმანია - საბჭოთა კავშირის ურთიერთობის საკითხში საბჭოთა კავშირში გერმანელ ინჟინრების დაპატიმრებასთან დაკავშირებით ამტკიცებს, რომ გერმანიის სოციალ - დემოკრატია ამჟამად მეთაურობს ყველა ანტი - საბჭოთა ელემენტებს იმ შემთხვევაშიაც კი, როცა გერმანიის ბურჟუაზია საჭიროდ სთვლის საბჭოთა კავშირთან ერთად გამოსვლას. „ფორვერტს"-ი ილაშქრებს განიარაღების საბჭოთა პროექტის წინააღმდეგ. „ფორვერტსის" სიტყვით, ეს პროექტი მხოლოდ და მხოლოდ პროპაგანდის მიზნითაა შედგენილი. ამავე დროს „ფორვერტს"-ი იწონებს ინგლისის დელეგატის კეშენდენის პოზიციას და აცხადებს, რომ კეშენდენმა გააკეთა ის, რაც გამორჩა გერმანიის წარმომადგენელს, სახელდობრ „მიუთითა საბჭოთა პროექტის პროპაგანდისტულ, ერთა ლიგის საწინააღმდეგო ხასიათზე". (ადს).

„მემარცხენეები" არ ჩამორჩებიან „ფორვერტსს"

ბერლინი, 22 მარტი. მასლოვის ჯგუფის ორგანო „ზულერ ფოლკსფილე", რომელიც გამოდის ზულეში (ტიურინგიის მივარდნილი ქალაქი) უკანასკნელ დროს სისტემატიურ კამპანიას აწარმოებს განიარაღების კონვენციის საბჭოთა პროექტის წინააღმდეგ.

ლიტვინოვის უკანასკნელ გამოსვლის შესახებ ჟენევაში გაზეთი აცხადებს, რომ ლიტვინოვის მიერ წარმოთქმულ სიტყვას „არაფერი საერთო არა აქვს ლენინიზმთან". (ადს)

„ფორვერტს"-ის პოზიციის წინააღმდეგ

ბერლინი, 22 მარტი. ისევე როგორც გერმანია - საბჭოთა კავშირის ურთიერთობის საკითხში, ასევე საბჭოთა წინადადების საკითხში საყოველთაო განიარაღების შესახებ. გერმანიის მემარცხენე სოციალ - დემოკრატიული პრესა სდგას სრულიად საწინააღმდეგო თვალსაზრისზე, ვინემ გერმანიის სოციალ - დემოკრატიული პარტიის ცეკა და პარტიის ცენტრალური ორგანო „ფორვერტსი".

„ლეიპციგერ ფოლქსცეიტუნგ" სწერს: „საბჭოთა წინადადებები საჭირო იყო, ვინაიდან მათ გამოამჟღავნეს კაპიტალისტურ სახელმწიფოების მტრული დამოკიდებულება ნამდვილი განიარაღების იდეისადმი, რითაც განამტკიცეს განიარაღების დამოუკიდებელი პროლეტარული პოლიტიკა". (ადს)

საფრანგეთს არ სურს განიარაღება

პარიზი, 22 მარტი. „ტან" (რომელიც ხშირად გამოხატავს საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს შეხედულებებს) სავსებით იწონებს ლორდ კუშენდენის განცხადებას განიარაღების საბჭოთა პროექტის შესახებ. რეაქციონური „ჟურნალი დე დება", აღნიშნავს რა, რომ „საბჭოთა კავშირი სამხედრო საფრთხეს წარმოადგენს განაპირა ქვეყნებისათვის", სწერს: „ამ ქვეყნების ინტერესებისათვის, ევროპაში საერთო წესრიგის შენარჩუნების მიზნით, სახელმწიფოები, ერთა ლიგის წესდების მერვე მუხლის თანახმად (რომელიც ითვალისწინებს საყოველთაო განიარაღებას) უნდა დარჩენ შეიარაღებულნი იმ ფარგლებში, რომლებსაც მოითხოვს მათი ეროვნული უშიშროება, მათი გეოგრაფიული მდგომარეობა, მათი საერთაშორისო ვალდებულებანი და ის განსაკუთრებული პირობები, რომელშიაც ისინი იმყოფებიან". (ადს)

იტალია გაზების გამოყენების წინააღმდეგ

ჟენევა, 22 მარტი. განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიის სხდომაზე გენერალ მამარინიომ განაცხადა, რომ იტალიამ ხელი მოაწერა კონვენციას ომის დროს გაზების გამოყენების აკრძალვის შესახებ (ადს).

ინგლისის პრესა ლიტვინოვის სიტყვის შესახებ

ლონდონი, 22 მარტი. პრესა კომენტარიებს უკეთებს ლიტვინოვის გამოსვლას განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიის სხდომაზე და მოხსენების გარშემო გამართულ კამათს.

კონსერვატიული „მორინგ პოსტ" იწონებს ინგლისის დელეგატის კეშენდენის სიტყვას.

ლიბერალური „დეილი ნიუზ" სწერს: საბჭოთა გეგმას მოჰყვა ერთი დადებითი შედეგი: მან აიძულა ერთა ლიგის წევრები დაეკავებიათ თავდაცვის პოზიცია და აიძულა აგრეთვე სხვადასხვა სახელმწიფოთა მთავრობები დარცხვენით აღენიშნათ, რომ სრული განიარაღების, ან თუგინდ შეიარაღების თანდათანობით შეზღუდვის გეგმის შემუშავების საერთაშორისო ცდები ჯერ-ჯერობით კუს ნაბიჯით მიდის წინ".

მუშათა პარტიის ორგანო „დეილი ჰერალდ" სწერს: „განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიის სხდომა გადაიქცა საომარ ასპარეზად, რომელზედაც მომქმედ პირებს წარმოადგენდენ ინგლისის და საბჭოთა კავშირის მთავრობები". (ადს)

გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გარშემო

არ მოსწონთ საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაცია

ბერლინი, 22 მარტი. გერმანიის გაზეთების დისკუსიამ გერმანია–საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გარშემო დაამტკიცა, რომ ლაპარაკია არა დროებით ინციდენტის შესახებ, არამედ პრინციპიალურ უთანხმოებათა შესახებ. საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციასთან დაკავშირებით. საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციისაკენ წინააღმდეგ გამოდის სავაჭრო კაპიტალი და მსუბუქი მრეწველობა იმ მოსაზრებით, რომ საბჭ. კავშირის ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა ზღუდავს გასაღებათა შესაძლებლობას. ამ წრეების ტენდენციას ეთანხმება მძიმე მრეწველობის ზოგიერთ წრეების მისწრაფება განახორციელონ ევროპის სახელმწიფოების მთლიანი ფრონტი საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის წინააღმდეგ. მძიმე მრეწველობის დიდი ნაწილი კი დაინტერესებულია საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის აღდგენაში საბჭოთა ინდუსტრიალიზაციისათვის საჭირო მოწყობილობის მიწოდებით. მძიმე მრეწველობის პრესის ნაწილი ხაზს უსვამს გერმანია - საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განმტკიცების აუცილებლობას. რეფორმისტები აჭარბებენ ბურჟუაზიას და ფაქტიურად ხელმძღვანელობენ საბჭოთა კავშირის ეკონომიურ ბლოკადის პოლიტიკას. „როტე ფანე"-ს ცნობით, რეიხსტაგის საგარეო საქმეთა კომისიის სხდომაზე გილფერდინგმა საბჭოთა კავშირისადმი მტრულ დამოკიდებულებაში გადააჭარბა ბურჟუაზიულ ორატორებს. „სოციალ - დემოკრატი მუშები, — სწერს „როტე ფანე" კარგს იზამენ, თუ აიძულებენ გილფერდინგს საჯარო კრებაზე გაიმეოროს ცილისწამება, რომლითაც ის გამოვიდა კომისიის სხდომაზე". (ადს).

ფრანსუა მარსალი გერმანელ ინჟინერების დაპატიმრების შესახებ

პარიზი, 22 მარტი. ფრანსუა მარსალ (ცნობილი პოლიტიკოსი, მთავრობის ყოფილი წევრი 1924 წელში). „აქტიულაიტე"-ში უძღვნის წერილს გერმანელ ინჟინერების დაპატიმრებას. თავის წერილში ფრანსუა მარსალს დასაშვებად მიაჩნია წაყენებულ ბრალდებების საფუძვლიანობა. მარსალი მოითხოვს საქმის გამოძიებას და სწერს: „თუ დამტკიცდება, რომ მოსკოვმა შეთხზა შეთქმულება, მაშინ არც ერთი სახელმწიფო არ დათანხმდება საბჭოთა კავშირში თავის ქვეშევრდომთა გაგზავნაზე, ხოლო თუ აღმოჩნდა, რომ გერმანელი ინჟინრები დამნაშავენი არიან ისეთ ბოროტმოქმედებაში, როგორიცაა მაღაროების გაფუჭება და სხვ., მაშინ განათლებული მსოფლიო, ეჭვს გარეშე, დაგმობს მათ. თუ ჩვენ რუსებისაგან მოვითხოვთ უცხოეთის სახელმწიფოების საქმეში ჩაურევლობას, მაშინ ჩვენ არ შეგვიძლია დაუშვათ, რომ საბჭოთა კავშირში მყოფი უცხოელები დაბრკოლებებს უქმნიდნენ ამ სახელმწიფოს ეკონომიურ განვითარებას იმ საბაბით, რომ არსებული რეჟიმი მათ არ მოსწონთ". (ადს).

მელლონი სიცრუეში დაიჭირეს

საფრანგეთის პრეტენზიების ნამდვილი აზრი

ნიუ-იორკი, 22 მარტი. ამერიკული ჟურნალი „ნეიშენ" საბჭოთა ოქროს შესახებ სწერს: „საფრანგეთის გამოსვლა პრეტენზიით საბჭოთა ოქროზე წარმოადგენს მანევრს, რომლის მიზანია ამერიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ჩაშლა". (ადს).

მარჯვენამ არ იცის, რას შვრება მარცხენა

ვაშინგტონი, 22 მარტი. ფედერალურ სარეზერვო ბანკის დირექტორმა სტრონგმა განაცხადა, რომ ის საჭიროდ სთვლის ქაღალდის ფულის სტაბილიზაციას მთელს მსოფლიოში კვლავ ოქროს ვალიუტაზე გადასვლის გზით. ამისთვის — სტრონგის სიტყვით — აუცილებელია, რათა ოქრო დაუბრკოლებლივ ტრიალებდეს ყველა ერებს შორის. აქვეყნებენ რა ამ განცხადებას, გაზეთები ვერ ამჩნევენ, რომ ის თავიდან ბოლომდე ეწინააღმდეგება პოზიციას, რომელიც ამერიკის მთავრობამ დაიკავა საბჭოთა ოქროს საკითხში. (ადს).

რიკარდის განცხადება

ნიუ-იორკი, 22 მარტი. ფიშერი, რომელიც ასრულებს ამერიკული დამხმარე ასოციაციის „ოფიციალური ისტორიკოსის" როლს, თავის წიგნში „სიმშილი საბჭოთა რუსეთში", რომელიც გამოვიდა ნიუ-იორკში 1927 წ., აღწერს საბჭოთა ოქროს გაგზავნას ამერიკული დამხმარე ასოციაციის მისამართით. ამერიკული დამხმარე ასოციაციის ყოფილმა დირექტორმა რიკარდმა თავის ინტერვიუში საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან დაადასტურა საბჭ. ოქროს გადაგზავნის ფაქტი. ამასთანავე მან აღნიშნა, რომ ოქრო ნაწილობრივ შესდგებოდა მეფის დროის მოჭრილი ლითონისაგან, რომელიც ამერიკულმა დამხმარე ასოციაციამ სახინჯო პალატას მიყიდა ლითონის სახით. ფინანსთა სამინისტრო და გარეშე საქმეთა სამინისტრო პირველად უარყოფდენ ამ ფაქტს, მაგრამ შემდეგ ორივე სამინისტრომ აღიარა 1922 წელში რუსეთიდან ოქროს მიღების ფაქტი. (ადს).

საშემოსავლო გადასახადი და „პრესის თავისუფლება"

ვაშინგტონი, 22 მარტი. ვაშინგტონის მთავრობის წრეებში გაურბიან ახსნა-განმარტებას ჩრდ. ამერიკის შეერთებულ შტატებში საბჭოთა ოქროს გამოყენების აკრძალვის გამო. მთავრობის წრეები სიჩუმეს არჩევენ მას შემდეგ, რაც გამოირკვა, რომ **მელლონმა დაუშვა შეცდომა, როდესაც 6 მარტს განაცხადა, რომ 1920 წლიდან საბჭოთა ოქრო ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებში არ შეზიდულა.** ამ განცხადების უარყოფა „არა"-ს მოღვაწეებმა „ასოშიეტედ პრეს"-ის და „იუნაიტედ პრეს"-ის საშუალებით გადასცეს ყველა გაზეთებს, მაგრამ გაზეთების უმრავლესობამ ეს უარყოფა არ დაბეჭდა. **გაზეთები გაურბიან იერიშებს მელლონის წინააღმდეგ, რომელიც, როგორც ფინანსთა მინისტრი, განსაზღვრავს საშემოსავლო გადასახადის განაკვეთებს.** (ადს).

ავსტრიის კომპარტია ემზადება მუნიციპალურ არჩევნებისათვის

ვენა, 22 მარტი. ავსტრიის კომპარტიის ორგანო „როტე ფანე" აქვეყნებს ავსტრიის კომპარტიის ცეკას ცნობას იმის შესახებ, რომ პარტიამ მომავალ მუნიციპალურ არჩევნებში შტირიის, კარინტიის და ზალცბურგის პროვინციებში აუენებს დამოუკიდებელ სიებს.

ბრძოლა ჩინეთში

ჩონ-იო-გაის მიუსაჯეს სამუდამო დაპატიმრება

ლონდონი, 22 მარტი. სინგაპურიდან მიღებულ ცნობის თანახმად, ჩინელ კომუნისტს ჩონ-იო-გაის მიუსაჯეს სამუდამო დაპატიმრება ნანკინის მთავრობის გარეშე საქმეთა მინისტრზე ჩა ო-ჩუზე თავდასხმის განზრახვისათვის უკანასკნელის სინგაპურში ყოფნის დროს 1928 წლის თებერვალში.

პეკინის ფრონტზე

პეკინი, 22 მარტი. ტოხოს სააგენტოს ცნობით, ფინ-იუი-სანმა თავისი ჯარები გადაიყვანა პეკინ-ხანკოუს რკინის გზის ფრონტზე, რის წყალობით მუკდენელებმა დაიკავეს ლინჩანი. ამჟამად მუკდენის ფრონტი გადის ცზიუჩჟოუსა, ლინჩანსა, დამინსა და პაოლოუზე. (ადს).

ჩჟან შაო-ცზენის მოკვლა

პეკინი, 22 მარტი. ტიანძინში საიდუმლოებით მოცულ პირობებში მოჰკლეს გენერალი ჩჟან შაო-ცზენი. ჩჟან შაოცზენი პრეზიდენტ ლიუ-ან-ხუნეს დროს პრემიერათ იყო. (ადს).

ძირს ჩან-კაი-ში

ტოკიო, 22 მარტი. იუწყებიან, რომ ნანკინში გაიმართა 300 სტუდენტის დემონსტრაცია ლოზუნგით „ძირს იაპონიის აგენტი ჩან-კაი-ში". (ადს).

რუსეთის წილი ბოქსერთა კონტრიბუციაში

პეკინი, 22 მარტი. ჩინეთ-საბჭოთა კომისიამ, რომელიც განაგებს რუსეთის წილს ბოქსერთა კონტრიბუციაში, გადასცა 125.000 დოლარი პეკინის უნივერსიტეტის მასწავლებლებისათვის ჯამაგირის დასარიგებლად. (ადს).

კომუნისტების ხვრეტა გრძელდება

შანხაი, 22 მარტი. „შუნბაო"-ს ცნობით 20 მარტს ჩანშაში დახვრიტეს 6 კომუნისტი, 21 მარტს ხანკოუში დახვრიტეს 14 კომუნისტი, მათ შორის ერთი ქალი. (ადს).

ვინ იქნება ახალი დიქტატორი

ლონდონი, 22 მარტი. „ტაიმს"-ის ჰონკონგელი კორესპონდენტი იუწყება, რომ კანტონის დიქტატორი ლი-ტი-სინი, რომელიც ნანკინში აწარმოებს მოლაპარაკებას მისი დანიშვნის შესახებ ჩრდილოეთის ექსპედიციის შტაბის უფროსის თანამდებობაზე, ალბად აღარ დაბრუნდება კანტონში. ჩან-კაი-შის კანტონელი მომხრეები იმედი აქვთ ხელში ჩაიგდებენ ძალაუფლებას კანტონში (ადს).

გერმანია-საბჭოთა მოლაპარაკება სატელეფონო კავშირის შესახებ

ბერლინი, 22 მარტი. ვოლფის სააგენტო იუწყება:

„მოსკოვ-ბერლინის სატელეფონო კავშირის საკითხის შესახებ რუსეთის სავაჭრო წარმომადგენლობა მოითხოვს, რომ მისი ლაპარაკი ტელეფონის ხაზით ჩაითვალოს სახელმწიფო ხასიათის ლაპარაკად. ეს ეწინააღმდეგება შეთანხმებას, რომელიც მიღწეულ იქნა სატელეგრაფო გაერთიანებათა კონფერენციაზე პარიზში, როცა უარყოფილი იქნა რუსეთის წინადადება იმის შესახებ, რომ საბჭოთა საელჩოების სავაჭრო განყოფილებებს მინიჭებოდა სახელმწიფო-სატელეფონო ლაპარაკის უფლება. გერმანია შებორკილია ამ შეთანხმებით და ამიტომ შეუძლებელია განახლდეს სატელეფონო ურთიერთობა მოსკოვთან".

შენიშვნა: საერთაშორისო შეთანხმებებში სატელეფონო კავშირის დამყარების შესახებ აღნიშნავენ ხოლმე სათანადო ქვეყნების სახელმწიფო ორგანოების სპეციალურ უფლებებს, საბჭოთა კავშირი მოითხოვს, რომ პრივილეგიები, რომლებიც ჩვეულებრივ ეძლევა ამ სახელმწიფო ორგანოებს, კერძოდ, დიპლომატიურ წარმომადგენლებს და კონსულებს (ე. წ. სახელმწიფო ხასიათის ლაპარაკის წარმოების უფლება) მიენიჭოს აგრეთვე საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობას. პოლონეთმა, ფინეთმა და ესტონეთმა სათანადო შეთანხმებებში საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობებს მიანიჭეს სახელმწიფო - სატელეფონო ლაპარაკის უფლება.

საბჭოთა ნავთი ინგლისში

ლონდონი, 22 მარტი. ვულვერგემპტონის ქალაქის საბჭომ დაადგინა მისთვის საჭირო ნავთის დაკვეთა გადასცეს ნავთის პროდუქტების რუსეთის საზოგადოებას, რომელმაც იკისრა ვალდებულება წლის განმავლობაში მიაწოდოს საბჭოს საჭირო ნავთის 40 პროცენტი. ვულვერგემპტონი წარმოადგენს სამრეწველო ცენტრს, რომლის მოსახლეობა შესდგება 220.000 კაცისაგან. (ადს).

რუმინეთისათვის სესხის მიცემის წინააღმდეგ

ვაშინგტონი, 22 მარტი. კონგრესის წევრმა ხელერმა გარეშე საქმეთა სამინისტროს მიმართა განცხადებით, რომელშიაც მოითხოვს, რათა ამერიკის ბანკებმა არ მისცენ სესხი რუმინეთს, რადგან რუმინეთის მთავრობა ხელს უწყობს პოგრომებს ნაციონალურ უმცირესობათა წინააღმდეგ. (ადს).

მხ. მარტის განთავისუფლების გარშემო

პარიზი, 22 მარტი. ქიუვიზი სიურ ორჟისის მუნიციპალურმა საბჭომ უარჰყო წინადადება მარტის განთავისუფლების შესახებ. ამხ. მარტი ვერსალის ოლქში წამოყენებულია კანდიდატათ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში.

პოლონეთ-ლიტვის მოლაპარაკება

ვარშავა, 22 მარტი. 30 მარტს იწყება პოლონეთ-ლიტვის მოლაპარაკება. პოლონეთის დელეგაციის თავმჯდომარეთ დანიშნულია გარეშე საქმეთა მინისტრი ზალესკი.

რეველის პოლიტიკურ პატიმართა მოთხოვნილება

რეველი, 22 მარტი. პოლიტიკურმა პატიმრებმა იუსტიციის სამინისტროს და პარლამენტს მიმართეს მთელი რიგი მოთხოვნილებით პატიმართა მძიმე პირობების გაუმჯობესების შესახებ.

მუშების დევნა გრძელდება

ნიუ-იორკი, 22 მარტი. ნიუ-იორკის მეტროპოლიტენის ადმინისტრაციამ დაითხოვა მოსამსახურე ტომპსონი—მუშათა კავშირის თავმჯდომარე. დათხოვნა გამოიწვია კავშირის განცხადებამ, რომ იგი თავისი რიგებში გააერთიანებს შეუკავშირებელ მუშებს (ადს).

გაფიცვა ბოსტონში

ნიუ-იორკი, 22 მარტი. ბოსტონში (პენსილვანიის შტატი) მემაღაროებმა გამოაცხადეს გაფიცვა. გაფიცულები მოითხოვენ გაუქმებულ იქნეს საკონტრაქტო სისტემა, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ მაღაროს პატრონები ცალკე მაღაროებს იჯარით აძლევენ სხვადასხვა პირებს, რომლებიც კოლექტიურ ხელშეკრულებას სდებენ თვითეულ ცალკე მაღაროების მუშებთან, რაც მეტად არახელსაყრელია მუშებისათვის (ადს).

ინციდენტი
„როიალ ოკზე"

ლონდონი, 22 მარტი. თემთა პალატის მთელი რიგი დეპუტატები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს საზღვაო სამინისტროს ბიუჯეტის ირგვლივ გამართულ კამათში, მოითხოვდნენ გემ „როიალ ოკზე" მომხდარ ინციდენტის ფართოდ გამოკვლევას. დეპუტატმა ბელერსმა განაცხადა, რომ როცა კაპიტანმა და უფროსმა ოფიცერმა დასტოვეს გემი, გემის რაზმმა მათ საზეიმო გაცილება მოუწყო.

ამერიკის შეიარაღება

ნიუ-იორკი, 22 მარტი. წარმომადგენელთა პალატის საბიუჯეტო კომისიამ დაამტკიცა საზღვაო სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა 349 მილ. დოლარის რაოდენობით. ეს მაქსიმალური ციფრია 1922 წლის ვაშინგტონის კონფერენციის შემდეგ (ადს).

მაღაროს ჩამონგრევა

ბერლინი, 22 მარტი. ლებენვერდერის (მეკლენბურგი) მახლობლად ჩამოინგრა ბრაუნის ქვანახშირის მაღარო. დაიღუპა 13 მემაღაროე, 7 მძიმედ დაიჭრა. (ადს).

საბერძნეთის გაზეთების ანტისაბჭოთა კამპანია

ათინა, 22 მარტი. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს იმ ცნობის საპასუხოდ, რომელშიაც აღნიშნული იყო სწორი ციფრები საბჭოთა კავშირის საბერძნეთის იმპორტის ზრდის შესახებ, ათინური გაზეთები ბეჭდავენ ოფიციოზურ ცნობას, რომელიც ცდილობს უარჰყოს ეს ციფრები და ფაქტები და ბრალს სდებს ვაჭრობის სახალხო კომისარიატს იმაში, რომ, თითქოს მან არ შეასრულა ვალდებულება, რომლის თანახმად, ვაჭრობის სახ. კომისარიატს საბჭოთა კავშირში უნდა შეეტანა საბერძნეთის საქონლის განსაზღვრული კონტინგენტი.

გაზეთი „კატიმერინი" (დამოუკიდებელი ნაციონალისტების ორგანო) იუწყება, რომ საბჭოთა მთავრობის იმ უკანასკნელი პასუხის შემდეგ, რომლითაც საბჭოთა მთავრობამ უარი განაცხადა საბერძნეთისათვის განსაზღვრული საიმპორტო კონტინგენტის მიცემაზე, საბერძნეთ-საბჭოთა მოლაპარაკება შეწყვეტილად ითვლება. (ადს).

მოსკოვი
ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან

უმაღლეს სასწავლებლებში მიღების პირობები

მოსკოვი, 23 მარტი. სახალხო განათლების ცენტრალური ორგანოები აქედანვე შეუდგენ უმაღლეს სასწავლებლებში მიღების მოწესრიგებას. მიზნად დასახულია, რომ მომავალ სამოსწავლო წლის დასაწყისში უფრო გეგმაშეწონილად ხდებოდეს უმაღლეს სასწავლებელთა მსმენელების შერჩევა.

წარსულში ადგილი ჰქონდა შემთხვევებს, როცა უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის მსურველნი იმ მოსაზრებით, რომ, თუ ვერ მოხვდებოდენ ერთ სასწავლებელში, მეორეში მაინც ყოფილიყვნენ მიღებულნი, ერთ და იმავე დროს განცხადებას აძლევდენ რამოდენიმე უმაღლეს სასწავლებელში. ამას ხშირად შედეგად ის მოსდევდა, რომ უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა მიღება ხდებოდა არა მსმენელთა მისწრაფების მიხედვით, არამედ შემთხვევით. ასეთი მდგომარეობა მნიშვნელოვან დაბრკოლებებს უქმნიდა უმაღლეს სასწავლებლებს მათი აკადემიური ამოცანების განხორციელებაში.

რუსეთის განათლების სახალხო კომისარიატმა უკვე გამოაქვეყნა უმაღლეს სასწავლებელში მიღების ახალი პირობები, რომელნიც, სხვათა შორის, მიზნად ისახავენ უმაღლეს სასწავლებლების დაცვას ზემოთმოყვანილ არანორმალობისაგან. ახალი პირობების თანახმად უმაღლეს სასწავლებელში შესვლის მსურველები ვალდებულნი არიან წარადგინონ განცხადებასთან ერთად მათი დოკუმენტების დედნები.

უმაღლეს სასწავლებელში მიღების ახალი პირობები ჩვეულებისამებრ ითვალისწინებს ნაციონალურ რესპუბლიკების მოთხოვნილებებს და ყოველ მოკავშირე რესპუბლიკისათვის აწესებს მსმენელთა სათანადო ადგილს სპეციალურ და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. უმაღლეს სასწავლებელში შესვლის შესახებ განცხადებების მიღება იწარმოებს მიმდინარე წლის ივნისში, გამოცდები კი —აგვისტოში.

მეთამბაქოების კოოპერაციის თათბირი

მოსკოვი, 23 მარტი. მეთამბაქოების კოოპერაციის თათბირზე შავი ზღვის მეთამბაქოთა კავშირის წარმომადგენლებმა თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ თამბაქოს მოყვანა-წარმოებას დიდათ აფერხებს თუთუნის ფასების ხშირი მერყეობა. ასეთი მდგომარეობა მძიმე პირობებში აყენებს მეთამბაქოების კოოპერაციას და თამბაქოს მომყვან გლეხობას.

კამერის თეატრის გასტროლებისათვის თბილისში

მოსკოვი, 23 მარტი. მიმდინარე წლის ზაფხულისათვის კამერის თეატრი ემზადება გასტროლებზე გამოსამგზავრებლად თბილისში.

გარდა ჩვეულებრივ პიესებისა, რეპერტუარში შეტანილი იქნება ახალი დადგმები.

საკურორტო მკურნალობის პირობები

მოსკოვი, 23 მარტი. გამოქვეყნებულია საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხის და მათ შორის კავკასიის კურორტებზე დასვენების ახალი პირობები. მომავალ სეზონში კურორტებზე მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული იქნება კვება და საექიმო დახმარება, ამასთან ერთად კურორტებით სარგებლობა შარშანდელთან შედარებით გაიაფებული იქნება. აქედანვე მიღებულია ზომები კურორტების კეთილმოწყობის გასაძლიერებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

გერმანიის პრესა ლიტვინოვის სიტყვის შესახებ

ბერლინი, 23 მარტი. გუშინ, ჟენევაში ლიტვინოვის საპასუხო სიტყვით გამოსვლამ მიიპყრო ბერლინის საზოგადოებრიობის უდიდესი ყურადღება. „დეიჩე" ალგემაინე ცაიტუნგ" სწერს: „ლიტვინოვის სიტყვა არაჩვეულებრივია, არა მარტო იმიტომ, რომ მასზე ბევრი შრომაა გაწეული და გამოყენებულია დიდძალი მასალა, არამედ იმ მხრივაც, რომ იგი წარმოადგენს ინტელექტუალურ შედევრს. თავის სიტყვაში ლიტვინოვი არასოდეს არ გასცილებია იმ საზღვრებს, რომლის იქითაც გადასვლა ჟენევაში არ შეიძლება, მაგრამ ამავე დროს ისე თამამად ისარგებლა ამ ფარგლებით, რომ არავინ იგრძნობდა შეურაცხყოფას".

„დეიჩე ტაგეს ცაიტუნგი" სწერს: „განიარაღების მოწინააღმდეგეებს არასოდეს არ მოუსმენიათ ის, რაც ლიტვინოვმა უთხრა ამ კრებას, რომელსაც თითქოს დაცინვით, „განიარაღების კომისიას" უწოდებენ. ძალიან საეჭვოა, რომ ერთა ლიგამ და აღნიშნულმა კომისიის უმრავლესობამ, ეს სიტყვა შეინახონ ჩანაწერში ჩაწერილი — სახსოვრად. რაც არ უნდა იყოს, ლიტვინოვმა დიდი მოხერხებით ახადა ფარდა იმ მანევრირებებს, რომლებიც მიდის განიარაღების კომისიაში".

„კელნიშე ცაიტუნგი" სწერს: „ლიტვინოვის სიტყვა წარმოადგენს პოლიტიკური დიალექტიკის აღსანიშნავ მიღწევას და სახელმწიფო მოღვაწის ტაქტის და მოხერხების ნიმუშს. კუშენდენმა, რომელმაც დაიწყო ჟენევაში ლიტვინოვთან თამაში, — განიცადა უსასტიკესი დამარცხება. ლიტვინოვის განცხადებები, რომელიც მიმართული იყო ინგლისის წარმომადგენლის წინააღმდეგ, ხასიათდება არსებითად მკაცრი და ფორმით სარკასტიული ხასიათით; სიტყვის ის ნაწილი, სადაც მოხსენებული იყო ერთა ლიგა, დამყარებული იყო საფუძვლიან ფაქტებზე და ითქვა მოარიდებული ფორმით. რუსებს შეუძლიათ კმაყოფილად იგრძნონ უბრწყინვალესი გამარჯვება.

მოხდა ისე კი არა, როგორც კუშენდენს სურდა; რუსები კი არ დარჩნენ ცივილიზაციური ქვეყნების წინააღმდეგ განმარტოებულნი კომისიაში, არამედ ინგლისი აღმოჩნდა მარტო ცივილიზაციურ სახელმწიფოებში. კომისიის დიდმა უმრავლესობამ აშკარად აგრძნობინა საბჭოთა კავშირის დელეგაციას, რომ ისინი დიდ მნიშვნელობას აძლევენ მათთან შემდეგ თანამშრომლობას. კომისია განიხილავს საბჭოთა დელეგაციის პროექტს.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებს შეუძლიათ აღნიშნონ ორმაგი გამარჯვება: ერთი საგარეო პოლიტიკის სფეროში და მეორე — განიარაღების პოლიტიკაში. მეტის მოლოდინი მათ არ შეეძლოთ ჰქონოდათ. მეტს ისინი არც მოელოდნენ".

„ფრანკფურტერ ცაიტუნგი" სწერს: „ლიტვინოვის სიტყვა წარმოადგენდა საპარლამენტო პოლიტიკის ნიმუშს, რომელიც სავსე იყო გონებამახვილობით და ირონიით. საფრანგეთის წარმომადგენელმა კლოზელმა სცადა, რომ შეესუსტებინა ლიტვინოვის სიტყვის შთაბეჭდილება ზოგიერთ წვრილმანებზე გამოდავებით — სასტიკად დამარცხდა".

„ფორვერტსიც" კი აღნიშნავს, რომ „ლიტვინოვმა ძალიან მოხერხებულად გააქარწყლა ყველა ის მთავარი არგუმენტები, რომლებიც წამოყენებული იყო საბჭოთა წინადადებების ფარსადყოფად". (ადს).

ვებერის გამორიცხვა გერმანიის კომპარტიიდან

ბერლინი, 23 მარტი. გერმანიის კომპარტიის ცეკამ ერთხმად მიიღო დადგენილება. ე. წ. შელინგის ოპოზიციის მეთაურის ვებერის პარტიიდან გამორიცხვის შესახებ (ადს).

ყველაზე მტკიცე მთავრობა

ნიუ-იორკი, 23 მარტი. არგენტინის პრესაში გამოქვეყნებულია საუბარი ლათინურ-ამერიკელთა (ტიპიური მუშაკთა ანტიიმპერიალისტური ორგანიზაცია) კავშირის თავმჯდომარე კვინტანასთან, რომელიც ესლახან დაბრუნებულია საბჭოთა კავშირში მოგზაურობიდან.

— „საბჭოთა მთავრობა, — განაცხადა მან, — უფრო მტკიცეთ სდგას, ვიდრე ევროპის ქვეყნების სხვა მთავრობები. გერმანიაში და საფრანგეთში მე ხშირად გამიგონია საბჭოთა კავშირის აშკარა მოწინააღმდეგეთაგან, რომ კიდევ საჭიროა მშვიდობიანობა გაგრძელდეს 5 წელი და საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და ეკონომიური ძლიერება უმაგალითო გახდება"-ო (ადს).

ინდიელების აჯანყება ეკვადორში

ნიუ-იორკი, 22 მარტი. ეკვადორიდან მოსული ცნობებით 5.000 ინდიელი აუჯანყდა მემამულეებს, თეთრკანიანები [illegible] გარბიან.

მთავრობამ აჯანყებულ ადგილას გაგზავნა ჯარი (ადს).

უკომენტარიოთ

ლონდონი, 23 მარტი. მთელი ინგლისის პრესა უკომენტარიოთ აქვეყნებს ლიტვინოვის საპასუხო სიტყვის რეზიუმეს, რომელიც მან წარმოსთქვა განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიის სხდომაზე.

საბჭოთა ხე-ტყის ექსპორტის პერსპექტივები

მოსკოვი, 23 მარტი. ხე-ტყისა და ხის გადამმუშავებელი მრეწველობის ტრესტების საბჭოს პლენუმზე მოსმენილ იქმნა „ექსპორტლესის" გამგეობის თავმჯდომარის ამხ. იაკოვლევის მოხსენება საბჭოთა ხე-ტყის ექსპორტის პერსპექტივების შესახებ

„მიმდინარე წელში, — აღნიშნა ამხ. იაკოვლევმა, — ჩვენი ხე-ტყის ექსპორტი საზღვარგარეთ გადააჭარბებს წარსული წლის რაოდენობას. თანდათან მცირდება ხე-ტყის ექსპორტი ინგლისში სავაჭრო ურთიერთობის შეწყვეტის გამო. სამაგიეროდ განუწყვეტლივ ფართოვდება ჩვენი ექსპორტი ევროპის სხვა ქვეყნებში. ჩვენ ახალი ბაზრები შევიძინეთ ჩრდილო და სამხრეთ ამერიკაში". (ადს).

სპეცჭამიობის წინააღმდეგ

ხარკოვი, 23 მარტი. პარტაქტივის საერთო-საქალაქო გაფართოებული კრება, მოისმინა რა ამხ. კაგანოვიჩის მოხსენება უკრაინის კომპარტიის ცეკას და ცენტრ. საკონტრ. კომისიის პლენუმის შედეგების შესახებ, სავსებით ეთანხმება პლენუმის გადაწყვეტილებებს.

„აქტივი აუცილებლად სთვლის, — ნათქვამია სხვათა შორის რეზოლიუციაში, — რომ ყურადღება მიექცეს მუშებსა და სპეციალისტებს შორის ურთიერთობის საკითხს. დონბასში კონტრ-რევოლიუციონური შეთქმულების აღმოჩენის გამო არსებობს სპეცჭამიობის ზრდის საფრთხე. აუცილებელია კატეგორიული ბრძოლა ვაწარმოოთ სპეცჭამიობის წინააღმდეგ. ამავე დროს საჭიროა მნიშვნელოვნად გაძლიერდეს მუშაობა სპეციალისტების ახალი კადრების დაწინაურებისა და მომზადებისათვის.

უკრაინის ცაკის სესია

ამხ. პეტროვსკის და სკრიპნიკის დაჯილდოება შრომის წითელი დროშის ორდენით

ხარკოვი, 23 მარტი. 22 მარტს დამთავრდა უკრაინის ცაკის სესია. სესიის საბოლოო სხდომაზე აღნიშნულ იქნა ამხ. პეტროვსკის დაბადებიდან 50 წლის შესრულება.

სესიამ დაადგინა, დააჯილდოვოს ამხ. პეტროვსკი შრომის წითელი დროშის ორდენით. უკრაინის ცაკის წევრებმა, მუშა ფეიქარმა და გლეხმა შეერთებით გულზე მიაკრეს ორდენი, რომლის დროსაც გაისმა ძლიერი „ვაშა". სესიამ პეტროვსკის შემდეგი სიგელი გადასცა:

— უკრაინის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-8 სესიამ დაადგინა დააჯილდოვოს შრომის წითელი დროშის ორდენით გრიგოლ ივანეს ძე პეტროვსკი, რომელსაც 50 წლისთავი შეუსრულდა დაბადების დღიდან და 33 წლის წინადი, რაც იგი აქტიურად იბრძვის პროლეტარული რევოლიუციონური მოძრაობის გამარჯვებისათვის, მშრომელთა განთავისუფლებისათვის კაპიტალისა და მემამულეთა ბატონობის უღლისაგან; მან პირადი ხელმძღვანელი მონაწილეობა მიიღო უკრაინის პროლეტარული სახელმწიფოების შექმნაში, უკრაინული პროლეტარული კულტურის აღორძინებაში, უკრაინის სახალხო მეურნეობის აღდგენასა და განვითარებაში, რომელიც სოციალისტურ საფუძვლებზე შენდება. გრიგოლ ივანეს ძეს დიდი დამსახურება მიუძღვის შრომის პირობების და პროლეტარიატის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების საქმეში, აგრეთვე იგი ხელმძღვანელობდა ხელმოკლე გლეხობის შეკავშირებას და დაუღალავად მუშაობდა სახალხო მეურნეობის განსაზოგადოებისათვის".

ამხ. პეტროვსკის საპასუხო სიტყვის შემდეგ, უკრაინის ცაკის წევრთა საინიციატივო ჯგუფის სახელით ამხ. ბუცენკომ განაცხადა:

„ჩვენ ახლახან შევაჯამეთ უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის ათი წლის თავის შედეგები. ჩვენს რიგებში მუშაობს უკრაინის პირველი საბჭოთა მთავრობის თავმჯდომარე, უკრაინის ცაკის პრეზიდიუმის და სახ. კომისართა საბჭოს მუდმივი წევრი ნიკოლოზ ალექსის ძე სკრიპნიკი. უკრაინის ცაკის წევრთა ჯგუფის სახელით წინადადება შემოაქვს, რომ ამხ. სკრიპნიკი დაჯილდოებულ იქნას შრომის წითელი დროშის ორდენით იმ დიდი ღვაწლისათვის, რომელიც მას მიუძღვის საბჭოთა კავშირის და უკრაინის სახელმწიფოებრიობის წინაშე".

სესიამ ერთხმად და მქუხარე ტაშით დააჯილდოვა ამხ. სკრიპნიკი ორდენით და მიანდო უკრაინის ცაკის პრეზიდიუმს ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარება (ადს).

შახტის მაღაროების გამოკვლევა

მუშაობის გამოკვლევა შახტის ოლქში

დონის-როსტოვი, 23 მარტი. საოლქო პროფსაბჭოს კომისიამ შეთქმულების აღმოჩენასთან დაკავშირებით მოახდინა შახტის რაიონის მაღაროების გამოკვლევა. კომისიის თავმჯდომარემ ამხ. უდაროვმა კომისიის მუშაობის შედეგების შესახებ განაცხადა შემდეგი:

იმის გასაგებად, თუ რატომ თავის დროზე არ აღმოაჩინეს ადგილობრივმა ორგანიზაციებმა შეთქმულთა მუშაობა, აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას შემდეგი: შახტის ოლქის მმართველობა „დონ-უგოლის" ხაზით [illegible] ხარკოვიდან, ხოლო პროფკავშირთა ხაზით — როსტოვიდან. „დონუგოლის" მმართველობა სუსტად არის დაკავშირებული ჩრდილო-კავკასიის მხარის საერთო-სამეურნეო და აგრეთვე პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან. სწორედ ამ გარემოებამ დააბრკოლა შახტის საოლქო პროფორგანიზაციების სისტემატიური ხელმძღვანელობა, რამაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად გაადვილა ხარკოვიდან დანიშნული სპეციალისტების უკონტროლო მუშაობა. ხოლო ძირითადი მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ პროფკავშირთა ორგანიზაციები სათანადო ყურადღებით არ ეკიდებოდნენ მუშათა წინადადებებს, ზერელე ყურადღებას აქცევდნენ შრომის, ყოფა-ცხოვრების და წარმოების საკითხებს. ენერგიული ზომები, რომლებიც შეთქმულებასთან დაკავშირებით იქნა მიღებული, ხელს შეუწყობს ბიუროკრატიულ გადამახინჯებათა სწრაფად აღმოფხვრას ჩვენს მუშაობაში და ორგანიზაციების მჭიდროდ დაახლოებას მასებთან. აუცილებელია აღინიშნოს მასების ფხიზელი დამოკიდებულება ამ საქმისადმი და მათი სწორი დასკვნები. სპეცჭამიობის საფრთხე არ არსებობს, თვით სპეციალისტები ცდილობენ გაემიჯნონ კონტრ-რევოლიუციონერებს და საქმით დაიმსახურონ მუშათა მასების ნდობა.

ტერ-არუთინოვებს ადგილი არა აქვთ პარტიის რიგებში

(ზაკავშ. კომპ. ა.-კ. საკონტრ. კომ. ცნობა)

იმ სიძნელეებსა და დაბრკოლებებს შორის, რომლების დაძლევაც უხდება პარტიასა და სახელმწიფოს სოციალისტურ სახელმწიფოს მეურნეობის აღმშენებლობის გზაზე, მცირე როლს არ თამაშობს იმ პირების უარყოფითი საქმიანობა, რომლებიც განაგებენ სახელმწიფო აპარატს. ამ უარყოფითი საქმიანობის როლი და მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია მაშინ, როდესაც ამას სჩადიან ისეთი პირები, რომლებსაც უკავიათ საპასუხისმგებლო თანამდებობა და აღჭურვილი არიან პარტიის განსაკუთრებული ნდობით.

ასეთი უარყოფითი საქმიანობის და აგრეთვე პარტიის ნდობის აშკარა დარღვევის მაგალითს წარმოადგენს ამიერ-კავკასიის ფინსახკომის საფინანსო-საკონტროლო სამმართველოს ყოფილ უფროს მოქ. ტერ-არუთინოვის საქმე. დამახასიათებელია ის გარემოება, რომ პარტიის რიგებში შედარებით ცოტა ხნით ყოფნის დროს ტერ-არუთინოვმა ერთხელ უკვე გააცრუა პარტიის ნდობა, რისთვისაც 1921 წელში გამორიცხულ იქნა პარტიიდან. შემდეგში, ისევ მალე იქნა აღდგენილი.

მაგრამ მიუხედავად ამისა, მისმა პარტიულ შეგნებისა და ნებისყოფის სიმტკიცემ და უბრალო საბჭოთა კეთილსინდისიერებამაც კი ხანგრძლივი გამოცდას ვერ გაუძლო.

საფინანსო საკონტროლო სამმართველოს უფროსის საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ყოფნის დროს ტერ-არუთინოვმა დაუშვა მთელი რიგი ისეთი მოქმედებანი, რომლებიც არა თუ შეუძლებელს ხდის მის მიერ კონტროლის ფუნქციების შესრულებას, რომელსაც განსაკუთრებით აქტუალური მნიშვნელობა აქვს ჩვენს პირობებში და მიმდინარე მომენტში, არამედ აშკარა ზიანსაც აყენებს სახალხო ხაზინას, რომელზედაც ზრუნვა პირველ რიგში მას ეკისრებოდა. აქ მოვიხსენიებთ მის მხოლოდ უმთავრეს მოქმედებებს, რომლებიც არა თუ სწორად არ ჩაითვლება, არამედ პირდაპირ კრიმინალურიც კი არის. როგორც საფინანსო-საკონტროლო სამმართველოს უფროსი, ტერ-არუთინოვი ყოველგვარი მახინაციების საშუალებით (ფულის გამოწერა თანამშრომლის არარსებულ მივლინებებზე) ღებულობს ცენტრალურ სალაროდან და აბარებს შემნახველ სალაროში საფინანსო-საკონტროლო სამმართველოს ხარჯთ-აღრიცხვის 1926-27 წლის კრედიტების ნაშთს 2.000 მანეთს და საირიგაციო სამუშაოთა რევიზიისათვის გადადებულ სპეციალურ ასიგნობებს — 3.100 მანეთს. ეს ფული ჩაბარებული იყო ორი წიგნაკით, ერთი წიგნაკი იყო წარმომდგენის სახელზე, მეორე კი — ტერ-არუთინოვის სახელზე. წიგნაკები ინახებოდა პირადად ტერ-არუთინოვთან. ტერ-არუთინოვის ახსნა-განმარტება და საბუთები, რომლებიც მას მოჰყავდა იმის დასამტკიცებლად, რომ ამ თანხების ასეთი წესით შენახვა კანონიერი იყო, არ დადასტურდა და ურყევად დარჩა ის ფაქტი, რომ საფინანსო-საკონტროლო სამმართველოს უფროსმა, რომლის პირდაპირ მოვალეობას შეადგენდა საბიუჯეტო წესების დაცვა, თითონ დაარღვია ეს წესები. შემდეგში ამ თანხებს ის ხარჯავდა თავის სურვილისამებრ და აშკარად უკანონოდ.

კიდევ უფრო თვალსაჩინო მაგალითს იმის დასამტკიცებლად, თუ რამდენად უპასუხისმგებლოდ ეკიდებოდა ტერ-არუთინოვი თავის მნიშვნელოვან თანამდებობას, წარმოადგენს შემდეგი ფაქტი. ტერ-არუთინოვმა სახალხო კომისარის და მისი მოადგილისთვის შეუტყობინებლად მიიწვია საფინანსო-საკონტროლო სამმართველოში სამუშაოდ სომხეთის საფინანსო-საკონტროლო სამმართველოს თანამშრომელი ვინმე ინჟინერი სტეფანიანი, რომელსაც ჯამაგირად დაუნიშნა 250 მანეთი თვიურად. ტერ-არუთინოვი არა თუ არაფრად აგდებდა იმ მოწყალებას, რომელსაც ფაქტიურად წარმოადგენდა ინჟ. სტეფანიანის ჯამაგირი, არამედ შემდეგშიაც, როდესაც სტეფანიანის სამსახურში დატოვება თვითონ ტერ-არუთინოვისათვის უხერხული გახდა, ფაქტიურად განაგრძობდა მისთვის ჯამაგირის გამოწერას. ამას გარდა ტერ-არუთინოვმა რაღაც ახირებული „ინტუიციით" გაითვალისწინა, რომ სტეფანიანი საფინანსო-საკონტროლო კომისიას წარუდგენდა სარჩელს და ამ მიზნით საჭიროდ ჩასთვალა გადაედო 1.000 მანეთი. ეს თანხა შენახული ჰქონდა განსაკუთრებული წიგნაკით.

ეს ორი ფაქტი, ამოღებული მთელ რიგ ანალოგიურ ფაქტებიდან, საკმაოდ ახასიათებს ტერ-არუთინოვის საქმიანობას მის მნიშვნელოვან თანამდებობაზე. საქმიანობას, რომელიც არა თუ ხელს არ უწყობდა სახელმწიფო აპარატის ნორმალურ მუშაობას, არამედ პირდაპირ ძირს უთხრიდა მას. თავისი მოქმედებით ტერ-არუთინოვმა არა თუ არ გაამართლა პარტიის ნდობა და არა თუ დაამტკიცა თავისი შეუფერებლობა მეთვალყურე-საკონტროლო ორგანოს მმართველის თანამდებობისათვის, არამედ ისეთი თვისებებიც გამოიჩინა, რომლებიც არ შეიძლება დარჩეს სათანადოდ ზეგავლენის გარეშე.

ყველა ზემოაღნიშნულის მიხედვით, ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმმა დაადგინა:

ა) ტერ-არუთინოვი გამორიცხულ იქნას პარტიიდან,

ბ) წინადადება მიეცეს ამიერ-კავკასიის ფინსახკომის კოლეგიას მთელი მასალა ტერ-არუთინოვის საქმეზე გადასცეს პროკურატურას ტერ-არუთინოვის პასუხისგებაში მისაცემად

ვან-ოვერსტრატენის გამორიცხვა კომპარტიიდან

პარიზი, 22 მარტი. ბელგიის კომპარტიის ც. კ.-მ წინადადება მისცა პარტიის ყოფილ მდივანს ვან-ოვერსტრატენს 3 დღის განმავლობაში მოიხსნას დეპუტატის რწმუნებები. ვან-ოვერსტრატენმა უარი განაცხადა ამ მოთხოვნილების შესრულებაზე და ცეკამ პოლიტბიუროს და პარტ კონფერენციისაგან მიღებულ დირექტივების თანახმად ერთხმად გადაწყვიტა გამორიცხოს ვან-ოვერსტრატენი პარტიიდან.

შენიშვნა: ბელგიის კომპარტიიდან გამორიცხული ვან-ოვერსტრატენი, ცეკას ყოფილი მდივანი, საკავშირო კომპარტიის მეხუთმეტე ყრილობამდე ნახევრად ფარულად ემხრობოდა ტროცკიზმს. საკავშირო კომპარტიაში უკანასკნელ დისკუსიის დროს ვან-ოვერსტრატენმა პირველად თითქოს გაილაშქრა ოპოზიციის წინააღმდეგ. საკავშირო კომპარტიაში შექმნილ მდგომარეობის საკითხი დასმული იყო ბელგიის კომპარტიის ცეკას პლენუმის დღის წესრიგში 1928 წლის 21 იანვარს. ვან-ოვერსტრატენი ამ სხდომაზე იცავდა ტროცკისტულ ოპოზიციის თვალსაზრისს და მიუხედავათ ამისა, ოპოზიციას გამობდა სამ მნიშვნელოვან მუხლში: საკითხში ტერმიდორის შესახებ, პარტიულ დისციპლინისა და ფრაქციულ მუშაობის შესახებ. ცეკას აზრი ტროცკისტულ ოპოზიციის შესახებ გაიყო: ცეკას 4 წევრმა ხმა მისცა საკავშირო კომპარტიის ხაზს, ხოლო 13-მა ოპოზიციას. მთელს პარტიაში გაიხსნა დისკუსია, რომელიც ორი თვე გაგრძელდა. დისკუსია პრესაში და ორგანიზაციებში, სწარმოებდა სრული შინაპარტიული დემოკრატიის პირობებში. მიუხედავათ ამისა, ბელგიის ტროცკისტები განაგრძობდენ ფრაქციულ მუშაობას და არღვევდენ პარტიულ დისციპლინას. პარტიის ცეკამ გამორიცხა პარტიიდან ყველაზე უფრო აქტიური ოპოზიციონერები და ვინაიდან ვან-ოვერსტრატენმა უარი განაცხადა დამორჩილებოდა პარტიულ დისციპლინას, ცეკამ დაადგინა მოეხსნა ის ყოველგვარ მუშაობიდან 6 თვით და მოსთხოვა მას დეპუტატის მანდატზე უარის თქმა. ვან-ოვერსტრატენმა უარი განაცხადა კონფერენციის და ცეკას მოთხოვნილების შესრულებაზე, რისთვისაც გამორიცხულ იქნა პარტიიდან. (ადს).

ამხ. ლანდლერის მოსაგონარი საღამო

ვენა, 22 მარტი. ავსტრიის კომპარტიამ გამართა სამგლოვიარო საღამო უნგრეთის კომუნისტურ მოღვაწის, საბჭოთა უნგრეთის ყოფილი შინაგან საქმეთა კომისარის და წითელი არმიის სარდლის ამხ. ლანდლერის ხსოვნის აღსანიშნავად. საღამოს დაესწრო რამოდენიმე ათასი მუშა. განსვენებულის შესახებ სიტყვები წარმოსთქვეს ავსტრიის კომპარტიის ცეკას წევრებმა. სიტყვების შემდეგ წითელ ფრონტელების კავშირის წევრებმა მიიღეს ფიცი წითელი დროშების წინ (ადს).

ბრატიანუს ოპტიმიზმი

ვენა, 22 მარტი. რუმინეთის პრემიერმა ბრატიანუმ პარლამენტის უმრავლესობის სხდომაზე განაცხადა, რომ მთავრობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი დაიცვას არსებული წყობილება. „გლეხთა ნაციონალურ პარტიის მოქმედება, — განაცხადა ბრატიანუმ, — რომელიც სახელს უტეხს ჩვენს ქვეყანას საზღვარ გარეთ, ხელსაყრელია მხოლოდ რუმინეთის მტრებისათვის. საფრანგეთის თანხმობა რუმინეთის ვალის შემცირებაზე, რაც აადვილებს ლეის სტაბილიზაციას, მოწმობს, რომ რუმინეთი არ არის განმარტოებული.

აშინებენ ჟურნალისტებს

ვენა, 22 მარტი. რუმინეთის გარეშე საქმეთა სამინისტრომ მიიწვია უცხოეთის პრესის კორესპონდენტები ბუქარესტში და განუცხადა მათ, რომ ცნობების გავრცელება მთავრობის [illegible] შესახებ გამოიწვევს რუმინეთიდან [illegible] გადასახლებას (ადს).

გაფიცვა ალჟირში

პარიზი, 22 მარტი. „ლიუმანიტე"-ს ცნობით, ალჟირში გაიფიცნენ გაზის კომპანიის [illegible] განაცხადა, რომ როცა კაპიტანმა [illegible] ხუთი დათხოვნილი მუშაკის უკან მიღებას და ეკონომიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. გაფიცვაში მონაწილეობას იღებს მუშების 90 პროც. (ადს).

დიდი ხანძარი

ლონდონი, 22 მარტი. ინდოეთში, შიკალპურის ოლქში, ხანძარმა გაანადგურა სოფელი [illegible] დაიწვა 400 სახლი (ადს).

რა ხდება უცხოეთში

„საკუთარი კორესპონდენტები რიგიდან"

ანუ როგორ თხზავენ ჭორებს საბჭოთა კავშირის შესახებ

რიგა, სანამ იგი სატახტო ქალაქად იქცეოდა, თითქმის ყველასათვის უცნობი იყო, რიგის პური, რიგის მალამო — აი, ეს იყო ყველაფერი, რაც რიგის შესახებ იცოდნენ. სატახტო ქალაქად გადაქცევის შემდეგ, რიგის სახელი „გაიზრდა": მალამოსა და პურს მიემატა „რიგელი კორესპონდენტები", რომელთა დანიშნულებას შეადგენს ჭორების ფაბრიკაცია საბჭ. კავშირის შესახებ. ყველაზე შესანიშნავი ამ ახალ ფაქტში ის არის, რომ თვით რიგაში ეს კორესპონდენტები არ მოიძებნება. რიგაში რომ კაცი ჩავიდეს და მიაკითხოს „ტაიმს"-ის, „დეილი მეილ"-ის, „მატენ"-ის და სხვა დიდ გაზეთების კორესპონდენტები, იქ იფიქრებენ, რომ ამ კორესპონდენტების მკითხავი ან გულუბრყვილოა ან განზრახ ისულელებს თავს.

„რიგელი კორესპონდენტები" კი პატი-ჟურნალივით „ყველაფერს ხედავენ და ყველაფერი იციან": იციან, რომ „წითელმა არმიამ დაიწყო შეტევა მოსკოვზე, უკრაინა აჯანყების ალშია გახვეული, მოსკოვში შემოღებულია სასურსათო ბარათები". ერთი სიტყვით იციან ყველაფერი, რაც არ იცის არც ერთმა საბჭოთა მოქალაქემ, თუგინდ მარტო იმიტომ, რომ ყველაფერი ეს არსებობს... მხოლოდ „რიგელ კორესპონდენტების" ფანტაზიაში.

„ფორრეინ აფფერს" — ამერიკული ჟურნალი, მიძღვნილი საერთაშორისო საკითხებისადმი, აქვეყნებს მეტად საინტერესო აღსარებას ერთი ასეთი „რიგელი კორესპონდენტისას". ამ აღსარების ავტორია ამერიკულ „ნეიშენ"-ის [illegible] თანამშრომელი, რომელიც სწერს „დრიფტერ"-ის ფსევდონიმით.

„პირველად რიგელ კორესპონდენტათ მუშაობა დავიწყე ლონდონში, — სწერს „დრიფტერ"-ი. რიგელ კორესპონდენტად შემდეგნაირად გადავიქეცი: რედაქტორმა, გადმომცა დილის ერთ-ერთი გაზეთიდან ამოჭრილი მეთაური და დამავალა მისი გადაკეთება „რიგიდან მიღებულ" კორესპონდენციად. წერილში ლაპარაკი იყო მესამე ინტერნაციონალის დამღუპველი მოღვაწეობის შესახებ. როგორც [illegible], მე დავალება კარგად შევასრულე, რადგან ამ დღიდან დაწყებული სისტემატიურად მაძლევდნენ ასეთი ხასიათის დავალებებს. მე გადავიქეცი გაზეთის რეგულიარულ რიგელ კორესპონდენტად, ვსწერდი ყველაფერს, რაც ქვეყნდებოდა „ჩვენი საკუთარი კორესპონდენტის მარკით, როგორც უყვართ ლაპარაკი ფლიტ-სტრიტზე (ქუჩაა ლონდონში, სადაც თავმოყრილია ლონდონის თითქმის ყველა გაზეთების რედაქციები).

წელიწადი ვიმუშავე ლონდონში. ბედმა პარიზში გადამისროლა. მოვეწყვე ერთ-ერთი დიდი გაზეთის რედაქციაში ისევე როგორც... რიგელი კორესპონდენტი. მაგრამ აქ მუშაობა იყო ორმაგი. მე კორესპონდენციებათ უნდა მექცია, როგორც პარიზის, ისე ლონდონის დილის გაზეთების წერილები. ყველაზე შესანიშნავი ის არის, რომ ყველა გაზეთებს, მათ რიცხვში ლონდონის იმ გაზეთსაც, რომელიც მე მივატოვე, ჰყავდათ „საკუთარი კორესპონდენტები რიგიდან", რომლებიც განუწყვეტლივ ამხილებდნენ ბოლშევიკების მხეცობას, ჩეკას საშინელებებს, საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიურ დაბრკოლებებს და სხვ. პარიზშიც, ისე როგორც ლონდონში, მე ვიღებდი მზა-მზარეულ „მასალას" და ვაქცევდი „რიგიდან მიღებულ კორესპონდენციებად".

როდესაც მე ვფიქრობდი რიგაზე, უკანასკნელი მე წარმოდგენილი მქონდა კანტორათ, გაზეთის რედაქციად, ყველაფრად, ოღონდ არა როგორც ქალაქი. ერთხელ მე გადავათვალიერე ენციკლოპედია, რომელიც ძველი აღმოჩნდა. იქ ეწერა, რომ რიგა არის ნავთსადგური ბალტიის ზღვაზე, საიდანაც სას.-სამ. პროდუქტები გააქვთ ინგლისში. მე გაოცებული დავრჩი".

„ფორეინ აფფერს" არის არხი-ბურჟუაზიული ჟურნალი, საკმაოა აღინიშნოს, რომ მასში თანამშრომლობს ცნობილი ფრანგი რეაქციონერი ჟურნალისტი პერტინაქსი, რათა გაიფანტოს ყოველგვარი ეჭვები იმისა, თითქო ჟურნალი მიკედლებას იჩენს საბჭ. კავშირისადმი. მით უფრო საგულისხმოა ამ ჟურნალის მიერ „რიგელ კორესპონდენტის" აღსარების გამოქვეყნება.

ა. ს—ი.

შინამრეწველობის საორგანიზაციო საკითხები

ამას წინად ჩვენ ვსწერდით „კომუნისტი"-ს ერთ-ერთ ნომერში, შინამრეწველ ხელოსანთა საზოგადოების რეორგანიზაციის შესახებ. ჩვენ ვამბობდით: „რომ შინამრეწველ ხელოსანთა საზოგადოებამ უკვე ითამაშა თავისი როლი, რომ დღევანდელ პირობებში ასეთი საზოგადოებები უნდა ჩაითვალოს მოძველებულ ფორმათ ხელოსანთა შესაკავშირებლად.

ამიტომ საჭირო ხდება ხელოსანთა მასების დარაზმვა სამრეწველო კოოპერაციის სხვადასხვა ფორმებში-თქო"... ეს ჩვენი ხაზი გამომდინარეობს პარტიისა და ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების დადგენილებებიდან და დირექტივებიდან.

საჭიროა დაარსდეს ერთი საკრედიტო-სამრეწველო კოოპერატიული ამხანაგობა თბილისში. მკითხველის ყურადღება მინდა იმაზე შევაჩერო, რომ წინანდელი ჩვენი წერილის შინაარსი განზრახ მახინჯათ გაიგო ისეთმა პირებმა, რომელნიც ხელოსანთა საზოგადოებიდან განდევნილნი არიან სხვადასხვა დროს ჩადენილ ბოროტმოქმედებისათვის. მათ შესძლეს ხელოსანთა ფართო მასებში გაევრცელებინათ ათასნაირი ჭორები: რომ შინამრეწველ ხელოსანთა საზოგადოება უკვე დაკეტეს, სამი ათასი კაცი დარჩა ყოველგვარ ორგანიზაციის გარეშე, რომ წევრებს მოესპოთ ყოველგვარი დახმარება, მაგალითად იურიდიული, საექიმო, კულტურულ-განმანათლებელი და სხვა.

ცხადია, ყოველივე ეს სიყალბეა. ამას სჩადიან იმ მიზნით, რომ ფართო ხელოსანთა მასები შეცდომაში შეიყვანონ და ააცდინონ იმ მთავარ გზას როგორიც არის სამრეწველო კოოპერაციის გზა.

საზოგადოების რეორგანიზაცია არ ნიშნავს საზოგადოების დახურვას, ე. ი. როგორც ამბობენ „ხელოსანთა მასების ქუჩაში გამოყრას". ჩვენი ვალია ამ პროვოკაციას დაუნდობლად ვებრძოლოთ და ვაკეთოთ ის, რასაც ხელოსანთა მასების სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვენ.

მეორე ჩვენი განცხადება მდგომარეობს იმაში, რომ ხელოსანთა სამი ათას კაცს გაუადვილდეს სამრეწველო საკრედიტო კოოპერატიულ ამხანაგობაში შესვლა. პირველ ყოვლისა ეხლავე საჭიროა ჩატარდეს ფართო კამპანია ცეხებში ერთი მხრით საკრედიტო კოოპერაციაში გადასვლის საჭიროებისა, ხოლო მეორე მხრით ურთი-ერთ დამხმარე სალაროს მოწყობის შესახებ.

როგორ უნდა მოეწყოს ეს სალაროები და რომელი ცენტრი უნდა იქნეს მისი უშუალო ხელმძღვანელი?

ჩვენის აზრით, პირველ ყოვლისა, საჭიროა რომ ეს სალარო მოეწყოს თბილისში ე. ი. იქ, სადაც ეხლა ხელოსანთა მართველობაა, ხოლო ასეთი სალაროების საერთო ხელმძღვანელობა უნდა დაეკისროს რესპუბლიკის ცენტრალურ გამგეობას, საჭიროა, რომ ურთი-ერთ დამხმარე სალაროში ჩაებათ მთლიანად ასი პროცენტი ჩვენი ხელოსანთა მასებისა, ვინაიდან თავისი ყოველდღიური მუშაობით სამრეწველო საკრედიტო კოოპერატიული ამხანაგობანი ვერ აიღებენ თავის ხელში იმ ფუნქციების შესრულებას, რასაც ეს სალაროები ატარებენ საკავშირო მთავრობის დადგენილების მიხედვით (იხილე საკავშირო მთავრობის დადგენილება 16-ტი თებერვლის ა.-წ. თარიღით № 39). თბილისის სალარო აუცილებლად უნდა მოეწყოს როგორც სამრეწველო კოოპერაციაში შეკავშირებულთათვის აგრეთვე შეუკავშირებელ ხელოსნებისათვის, ვინაიდან ხელოსანთა მასების ფიზიკური დაავადმყოფება ძლიერ მატულობს და ხელოსანთა საზოგადოებას კი თავისი ეხლანდელი წესდების ძალით და ფინანსიური ხელმოკლეობის გამო არ შეუძლია ფართო დახმარება გაუწიოს მასებს.

რაში მდგომარეობს უმთავრესი მოვალეობა საკრედიტო სამრეწველო კოოპერატივებისა?

უმთავრესი მათი დანიშნულებაა მიაწოდონ წევრებს კრედიტები როგორც ფულადი, აგრეთვე ნედლი მასალები, მიიღონ ხელოსნებიდან ნაწარმოები და გეგმით მიაწოდონ მომხმარებელს. ურთი-ერთ დამხმარე სალაროების ამოცანები მდგომარეობს იმაში, რომ ფართოდ აღმოუჩინონ ავადმყოფ წევრებს ფულადი დახმარება, გაგზავნონ ისინი დასასვენებელ სახლებში, კურორტებზე და სხვა სამკურნალო ადგილებში, აღმოუჩინონ მათ საექიმო და იურიდიული დახმარება, გაუწიონ კულტურულ-განმანათლებელი სამსახური და სხვა.

ცხადია, აღნიშნულ დახმარების გაძლიერება მთლიანად დამოკიდებული იქნება სალაროს სიძლიერეზე. შინამრეწველ ხელოსანთა საზოგადოების წესდებით კი, როგორც იყო ზევით აღნიშნული, ეს ფუნქციები არ არის ისე ფართოდ გათვალისწინებული, როგორც სალაროებში, ამიტომ, დასახული რეორგანიზაცია საზოგადოებისა ხდება დაუყოვნებლივ.

ხელოსანთა საზოგადოების რეორგანიზაციისათვის ჩვენ გვაქვს მოცემული ვადა მაქსიმუმ სამი თვე. როგორ ვფიქრობთ ჩვენ ამ მუშაობის პრაქტიკულად ჩატარებას?

1. ხელოსანთა საზოგადოების გამგეობიდან უნდა გამოიყოს სპეციალური კომისია, რომელმაც ეს მუშაობა მოცემული დირექტივების მიხედვით უნდა ჩაატაროს.

2. დაუყოვნებლივ რადიკალურად უნდა შემოკლდეს არსებული შტატი და დატოვებულ იქნეს ის მინიმუმი თანამშრომლებისა სალაროსათვის, რომელიც საჭირო იქნება რეორგანიზაციის დამთავრებამდე.

3. დაუყოვნებლივ უნდა ჩატარდეს ფართო კამპანია ყველა ცეხებში და უნდა იქნეს გამოტანილი დადგენილებები ცეხის შემადგენლობის უმრავლესობის მიერ კოოპერაციაში გადასვლისა და ურთი-ერთ დამხმარე სალაროს დაარსების საჭიროების შესახებ.

4. აღნიშნული კამპანიების ცეხებში დაწყებამდე ხელოსანთა საზოგადოების დღევანდელი გამგეობა და პლენუმი წინასწარ უნდა გაეცნოს და მიიღოს შესაფერი წესდება სალაროს შესახებ და ამნაირად დამზადებული მასალით საორგანიზაციო კომისია უნდა გამოდიოდეს ცეხების საერთო კრებაზე სათანადო მოხსენებებით.

5. უნდა ფართოდ იქნეს განმარტებული ცეხების საერთო კრებებზე, რომ წევრებმა, სანამ რეორგანიზ. დამთავრდება, მანამდე დაფარონ მთელი თავისი საწევრო და საკლ. გადასახადების დავალიანება. ვინც დავალიანებებს არ დაფარავს, მას არა თუ რაიმე დახმარება გაეწევა (ფულადი, საექიმო, იურიდიული და სხვა), პირიქით ყველა მექანიკურად გამოირიცხება საზოგადოებიდან. ასეთი პირები არ იქნებიან დაშვებული შემდეგ არც საკრედიტო ამხანაგობაში და არც ურთი-ერთ დამხმარე სალაროში.

აი ის პრაქტიკული წინადადებები თუ როგორ და რა დროის განმავლობაში უნდა ჩატარდეს შინამრეწველ ხელოსანთა საზოგადოების რეორგანიზაცია.

დ. ნასარიძე.

საგაზაფხულო თესვის სამზადისი

კამპანიის საორგანიზაციო მხარე საქართველოში [illegible]

ა.-კავკასიაში ბამბით იქნება დათესილი 122.000 დესეტინა

კამპანიის მიმდინარეობა საქართველოში

(საუბარი რესპუბლიკანურ კომისიის მდივან ამხ. ი. ჯაფარიძესთან)

სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს დადგენილებით, ადგილებს მიეცათ წინადადება თესვის კამპანიის ჩასატარებლად მოეწყოთ: ავტონომიურ რესპუბლიკებში — სპეციალური რესპუბლიკანური კომისიები, ხოლო მაზრებში — განსაკუთრებული საშუალებანი. [illegible] წინადადება მიეცა თემის [illegible] და ცალკე რაიონებში მიემაგრებინათ სპეციალისტ-რწმუნებულები. ყველა ეს ზომები მიღებულია იმ მიზნით, რათა თესვის კამპანია ჩატარებული იქნეს დაგეგმილი წესით, რათა მოსახლეობის მოთხოვნილება სათესლე მასალაზე, მუშა-საქონელზე და სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე თავის დროზე იქნეს დაკმაყოფილებული.

მიღებული ცნობების თანახმად საორგანიზაციო [illegible] დამთავრებულია. ყველგან მოეწყო [illegible] ლები, რომლებიც [illegible] მეურნეობათა მოსავლიანობის [illegible].

ცენტრი უკვე ღებულობს მოთხოვნილებებს. უნდა ითქვას, რომ ეს ბოლო ცნობები [illegible] ჩვენს [illegible] განსაკუთრებულ საფრთხე [illegible] ადგილებს ჩვენს განკარგულებაში მყოფი თესლეული: მუშა-საქონელი, ხელოვნური სასუქი და სას.-სამეურნეო იარაღ-მანქანები.

სათესლე მასალა მზადდება ადგილობრივ. დამზადების რაიონები უკვე გამორკვეულია და მიღებული ცნობების თანახმად, სათესლე მასალის ნაწილი უკვე დამზადებულია.

დამზადების რაიონებს გადაეგზავნა საჭირო თანხები, საკვები ხორბლეულის სახით.

მიღებული ცნობების თანახმად, დიდი ზამთრის და ცუდი ამინდების გამო, ადგილებზე შექმნილია მეტად რთული მდგომარეობა; რაიონები მოწყვეტილია ერთი-მეორეს, მიმოსვლა შეწყვეტილია, რის გამო სათესლე მასალის საკმაო რაოდენობით დასამზადებლად საჭიროა განსაკუთრებული ენერგიის გამოჩენა. ჩვენ მიერ მიღებულია ყოველგვარი ზომები და ვიმედოვნებთ, რომ თესვის სამუშაოების დაწყებისათვის სათესლე მასალა დამზადებული იქნება თუ მთლიანად არა, ყოველ შემთხვევაში იმდენი მაინც, რომ თესვა არ დაბრკოლდეს. ამის შესრულება შესაძლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საშუალება გვექნება რაიონები უზრუნველვყოთ საკვები ხორბლეულით.

საგაზაფხულო თესვის რესპუბლიკანურმა კომისიამ მტკიცედ გადაწყვიტა დათესოს არა ნაკლებ იმ სივრცისა, რაც დათესილი იყო გასულ წელს, ე. ი. დაახლოებით 522.000 ჰექტარამდე.

განსაკუთრებით ძნელი საქმეა მოსახლეობის მომარაგება საქონლის საკვები მასალით. კომისიას ყოველ კუთხიდან მიდის ცნობები, რომ საკვების უქონლობის გამო წყდება საქონელი.

საკვები მასალის დამზადება შინაურ ბაზარზე ფრიად უმნიშვნელო შედეგებს გვაძლევს.

მოხერხდა თივის სესხება ადგილობრივ ორგანიზაციებისაგან და ადგილებს გადაეცა 60 ვაგონი თივა.

ასეთი ხანგრძლივი ზამთრის შემდეგ და საკვების სიმცირის გამო მუშა-საქონელი გაზაფხულზე დასუსტებული იქნება, რაც გავლენას მოახდენს თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარებაზე.

რომ ამ მიზეზით თესვის საქმე არ შეფერხდეს, მიღებულია ზომები, რათა სასოფლო-სამეურნეო მანქანები გამოყენებული იქნას მაქსიმალურად, საგაზაფხულო თესვის კამპანიაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კოლმეურნეობებს, რომლებიც სათესლე მასალით, სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებით და მუშა-საქონლით მომარაგებული იქნება პირველ რიგში.

აფხაზეთში

სოხუმი, 23 მარტი. გაზაფხულის თესვის კამპანიის დაწყების წინ აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულმა კავშირმა მიიღო 1.220 ვენახის და ბაღის გუთანი, 65 ფარცხი, 20 სათესი მანქანა და 20 საფქვავი მანქანა. ყველა ამ იარაღებს სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობანი განაწილებენ ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხებსა და კოლექტიურ მეურნეობებს შორის, გარდა ამისა გამოწერილია ხუთი ფორძონი აფხაზეთის უფრო დასახლებულ პუნქტებში ეწყობა გამქირავებელი პუნქტები, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო იარაღებს მიაქირავებენ უმთავრესად ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხებს შეღავათიან პირობებში.

აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულმა კავშირმა გამოიწერა 1.900 კილოგრამი [illegible] თესლი. აფხაზეთს სჭირდება 10.000 ფ. სათესლე სიმინდი. მიღებულია ზომები შესაძლებელ ფარგლებში სიმინდის ყარაიადან და ქუთაისის მაზრიდან შემოსატანად. მოსახლეობისათვის ბოსტნეულის თესლის მიწოდება დაევალა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს „წითელ გლეხს" (ადს).

სამხრეთ ოსეთში

ცხინვალი, 22 მარტი. სამხრეთ-ოსეთის ცაკთან მოეწყო საგანგებო სამეული თესვის კამპანიის ჩასატარებლად. მიღებულია ყველა ზომები, რათა დარჩენილი დრო გამოყენებულ იქნას გაზაფხულის სათეს სივრცის გასაფართოებლად. იქმნება სათესი ფონდი ღარიბ მეურნეობისათვის სესხების მისაწოდებლად. საფონდო და საზოგადოებრივი მიწები დამუშავებული და დათესილი იქნება გლეხკომების, კომკავშირის და პარტიულ ორგანიზაციების მიერ.

კრედიტები თესვის კამპანიისათვის

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა რესპუბლიკანურ სასოფლო-სამეურნეო ბანკებს დაურიგა თანხები სასოფლო-მეურნეობისათვის სათესი მასალების მისაწოდებლად.

საქართველოსათვის ბანკმა გასცა — 70.000 მანეთი, აზერბეიჯანისათვის — 30.000 მან. და სომხეთისათვის — 100.000 მანეთი.

რესპუბლიკანურ ბანკებს წინადადება მიეცათ განაწილონ ეს თანხები ავტონომიურ რესპუბლიკებზედაც.

ამასთან ერთად საქართველოს და აფხაზეთის ბანკებს გაეხსნათ კრედიტები სახალხო მამულების ტრესტებისათვის. საქართველოს სახალხო მამულების ტრესტს უნდა მიეცეს 50.000 მანეთი საზღვარგარეთიდან გამოწერილ ამერიკული ლერწმის გამოსასყიდად.

საქართველოს ბანკსავე გაეხსნა 11.000 მანეთის კრედიტი ჩაის მეურნეობის განსავითარებლად.

აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო ბანკისათვის კი გახსნილია კრედიტი — 10.000 მანეთის რაოდენობით მანდარინის პლანტაციების მოსაწყობად.

ბამბის თესვის კამპანია

ა.-კ. საბამბო კომიტეტის გამგეობის წევრმა ამხ. ზორიუშევმა ჩვენს თანამშრომელს აცნობა:

მიმდინარე წელს ამიერ-კავკასიაში ბამბით დათესილი იქნება 122.000 დესიატინა მიწა (გასულ წელს დათესილი იყო 114.500 დეს.) ამ რაოდენობიდან აზერბეიჯანში დათესილი იქნება — 102.000 დეს. სომხეთში — 13.250 დეს. და საქართველოში 6.400 დესიატინა. გასულ წელს საქართველოში ბამბით დათესილი იყო 4.658 დესიატინა მიწა. აღმოსავლეთ საქართველოში (ბორჩალოს მაზრა, ყარაია და კახეთი) დათესილი იქნება — 4.900 დესიატინა, ხოლო დასავლეთ საქართველოში 1.500 დესიატინა.

აღნიშნული გეგმა შესრულებული იქნება მთლიანად, თუ ბამბის რაიონები უზრუნველყოფილი იქნება წყლით, ფართლით და ხორბლეულით.

წყლის მეურნეობის განცხადებით მებამბე [illegible] რაიონებს წყალი მიეცემათ საკმაო რაოდენობით; კრედიტს მიღებული აქვს ყოველგვარი ზომები, რათა მანუფაქტურა შემოზიდული იქნეს საკმაო რაოდენობით.

მომარაგების გეგმით წელს განზრახული იყო მებამბეობის რაიონებში 1.200.000 ფუთი ხორბლის შემოზიდვა. ამჟამად შემოზიდული და განაწილებულია რაიონებში 1.525.000 ფუთი ხორბალი. ასე რომ მებამბეობის რაიონები ხორბლეულით მომარაგებული არიან [illegible].

ბამბის მოსავალი ამიერ-კავკასიაში ომის წინა დროსთან შედარებით ძალიან დაეცა და საჭირო გახდა მოსავლიანობის ასაწევად ხელოვნური ზომების მიღება. ამ მიზნით წელს პირველად იქნება გამოყენებული მიწის ხელოვნური სასუქი. წელს ხელოვნური სასუქით განოყიერებული იქნება 6.000 დესიატინა გლეხის მეურნეობა. ხელოვნური სასუქი ბევრად აწევს დესიატინის მოსავლიანობას და ხელს შეუწყობს მომავალში ხელოვნური სასუქის ხმარების გაფართოებას.

სასუქი მასალა და თესლი განაწილებულია ადგილებს შორის. წელს უმთავრესად დათესილი იქნება გაუმჯობესებული თესლი, რაც აუცილებლად გაზრდის მოსავლიანობას. ბორჩალოს მაზრასა და ყარაიას რაიონში დათესილი იქნება მხოლოდ გაუმჯობესებული თესლი.

ამჟამად კოოპერაცია აწარმოებს მებამბეების აღრიცხვას, 1 აპრილიდან მათთან ჩამოყალიბებული იქნება ხელშეკრულებები, ხოლო 10 აპრილიდან დაიწყება ავანსების გაცემა მეურნეთათვის.

ბამბის თესვის კამპანია წელს სავსებით უზრუნველყოფილია ფინანსებით. ამ მიზნისათვის გადადებულია თანხა 6.000.000 მანეთის რაოდენობით.

საქონლის საკვების მომარაგება

დიდი ზამთრისა და საკვების უქონლობის გამო, წელს საქონელს დიდი საფრთხე ელის განსაკუთრებით სომხეთსა და საქართველოში.

სომხეთისათვის ჩრდილოეთ-კავკასიაში „არმენტორგმა" დაამზადა 200.000 ფუთი თივა. ამ რაოდენობიდან გადმოგზავნილია — 35.000 ფუთი.

თესვის კამპანიის ჩამტარებელ კომისიის ცნობით, საქართველოსათვის საჭიროა 150.000 ფუთი საკვების შემოზიდვა ხოლო სომხეთისათვის — 100.000 ფუთი.

ამიერ-კავკ. შინაბაზარზე დამზადებული იქნება ბზე — 50.000 ფ. საქართველოში 50.000 ფ. აზერბეიჯანში, 50.000 ფ. სომხეთში.

საკავშირო ორგანოების წინაშე აღძრულია შუამდგომლობა თივის დამზადების შესახებ კავშირის სხვადასხვა პუნქტებში.

ქატო დამზადებული იქნება აზერბეიჯანისათვის — 60.000 ფუთი, საქართველოსათვის — 45.000 ფუთი და სომხეთისათვის — 40.000 ფუთი.

ჩრდილოეთ-კავკასიიდან გადმოგზავნილია — 47 000 ფუთი კოპტონი (ქუსპა) სომხეთისა და საქართველოსათვის.

ადგილობრივ დამზადებული კოპტონი გადაეცემა: სომხეთს — 35.000 ფუთი, საქართველოს — 40.000 ფუთი და აზერბეიჯანს — 100.000 ფუთი.

ამიერ-კავკ. ვაჭრობის კომისარიატმა ჩრდილოეთ-კავკასიიდან მიიღო წინადადება — 50.000 ფუთი ჩალის მიწოდების შესახებ.

სას.-სამ. კოოპ. მონაწილეობა თესვის კამპანიაში

თესვის კამპანიასთან დაკავშირებით, „სოფლის კავშირმა" ძირითად ორგანიზაციებს დაუგზავნა ინსტრუქცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ თესვის კამპანიას უნდა მიეცეს საზოგადოებრივი ხასიათი და გამოყენებული უნდა იქნეს მთელი კოოპერატიული აქტივი.

ნათესების სივრცის გადიდებასთან ერთად მიღებული უნდა იქნეს ზომები, რომ სათესლე მასალა, რომელსაც ამხანაგობა აწვდის მოსახლეობას, სათანადოთ იყოს გარკვეული, გადიდებული უნდა იქნეს ტექნიკურ და ძვირფას მცენარეთა ნათესების სივრცე, რომ ქალაქის მრეწველობამ მიიღოს საჭირო რაოდენობის ნედლეული; სათესლე მასალით და მანქანა-იარაღებით პირველ ყოვლისა დაკმაყოფილებული უნდა იქნენ კოლმეურნეობანი და კოლმეურნეობის გარეშე დარჩენილი ღარიბესი ფენები. ამასთანავე იარაღ-მანქანები და სათესლე მასალა მათ უნდა დაეთმოს შეღავათიან პირობებში.

დამუშავებული უნდა იქნეს მუშა-ხელს მოკლებული და ქვრივ ობლების მეურნეობაც, რათა დაუმუშავებელი არ დარჩეს არც ერთი ნაჭერი სათესი მიწა. ამ მიზნით ადგილობრივმა ორგანიზაციებმა უნდა მიმართონ გლეხობის ურთიერთ დახმარებას და გამოიყენონ ჩვენი სოფლის მეურნეობაში დარჩენილი ჩვეულებანი: მამითადი, ნადი, ალო და სხვა.

საერთოდ თესვის კამპანიას უნდა მიეცეს გეგმიანი ხასიათი, შეთანხმებული უნდა იქნეს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და უნდა სწარმოებდეს პარტიულ კომიტეტის საერთო ხელმძღვანელობით.

საგაზაფხულო თესვის კამპანია კოოპერაციამ უნდა გამოიყენოს კიდევ იმ მხრივ. რომ გააფართოოს და გააღრმაოს განცალკევებულ გლეხის მეურნეობათა შეკავშირების საქმე.

ამ მხრივ წინასწარ უნდა იქნეს გამორკვეული, თუ სად და რა მხრივ შეიძლება გლეხობის წარმოებითი შეკავშირება და მეურნეობის კოლექტივიზაცია.

მინდვრის მავნებლებთან ბრძოლა კახეთში

ამჟამად სიღნაღში მუშაობს სოფლის მავნებლებთან მებრძოლი ექსპედიცია, რომელიც კახეთში გაგზავნილია მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის მცენარეულობათა დაცვის განყოფილების მიერ. ექსპედიცია შესდგება რამოდენიმე სპეციალისტ აგრონომისაგან. ექსპედიცია წინასწარ შეუთანხმდა ადგილობრივ აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილების აგრონომიულ ორგანიზაციებს, რომლებთან ერთად დამუშავა სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის საერთო გეგმა და მუშაობის კალენდარული პროგრამა. პირველად მუშაობა ექსპედიციამ დაიწყო მევენახეობის რაიონებში, სადაც მის ნაყოფიერ მუშაობას ხელი შეუშალა დიდმა ზამთარმა და უამინდობამ, გამოდარებისთანავე ექსპედიცია განაახლებს თავის საქმიანობას. როგორც კი ექსპედიცია თავის მუშაობას დაამთავრებს მევენახეობის რაიონში, დაიწყება ბრძოლა მინდვრის თაგვების და საველე მეურნეობის სხვა მავნებლების წინააღმდეგ.

პარტიული ცხოვრება

საინსტრუქტორო აპარატის მუშაობის შესახებ

პარტიულ კომიტეტების საინსტრუქტორო აპარატის მუშაობას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ეძლევა პარტიის მუშაობის მიმდინარე პერიოდში.

საინსტრუქტორო აპარატის მუშაობაში ჩვენ გვაქვს მიღწევები — გაუმჯობესდა ინსტრუქტორების მუშაობის ხარისხი, მათი კვალიფიკაცია, დაგროვდა განსაზღვრული გამოცდილება, მაგრამ ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ უკანასკნელ დრომდე ინსტრუქტორების მუშაობა მდგომარეობს მხოლოდ ამა თუ იმ ქვედა საფეხურის ორგანიზაციის გამოკვლევაში, მაშინ როდესაც ინსტრუქტორის ძირითად ამოცანას წარმოადგენს პრაქტიკული დახმარების აღმოჩენა ქვედა საფეხურის ორგანიზაციისათვის მის მიერ წარმოებულ მუშაობაში.

ამის მიზეზი უმთავრესად იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენს პარტკომებს ჰყავთ მხოლოდ 2—3 ჯამაგირიანი ინსტრუქტორი და, რა თქმა უნდა, ასეთი უმნიშვნელო საინსტრუქტორო აპარატის საშუალებით არ შეუძლიათ დაეხმარონ უჯრედებს ცოცხალი მითითებით მათ პრაქტიკულ მუშაობაში.

პარტმუშაობის რაციონალიზაციასთან დაკავშირებით, იმასთან დაკავშირებით, რომ საჭიროა გაძლიერებულ იქნას ცოცხალი კავშირი ქვედა საფეხურის ორგანიზაციებთან, „რათა მეტი წესრიგი იქნეს შეტანილი ჩვენი დირექტივების გატარებაში, უსარგებლოდ არ დაიხარჯოს ქაღალდი და გზავნილნი არ აებნეს ჩვენს პარტიელებს" (კოსიორი, — საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას საორგანიზაციო ანგარიში მე-15 პარტყრილობისათვის) — პარტიამ დასვა საკითხი იმის შესახებ, რომ გაცხოველებულ იქნას საინსტრუქტორო მუშაობა და პარტკომების ჯამაგირიან ინსტრუქტორების შტატის ნაცვლად შემოღებულ იქნას უჯამაგირო ინსტრუქტაჟი, რისთვისაც ამ მუშაობაში პარტდატვირთვის წესით ჩაბმულ იქნას პარტიის აქტივი.

საკითხი პარტკომის ჯამაგირიან ინსტრუქტორების შტატის ნაცვლად, უჯამაგირო ინსტრუქტაჟის შემოღების შესახებ ახალია და ამიტომ საჭიროა დაწვრილებით განვიხილოთ იგი.

აქ საჭიროა განსაკუთრებით გაესვას ხაზი უჯამაგირო ინსტრუქტაჟის მუშაობის ხასიათს. მუშაობა, რომელიც ეკისრება ამ ინსტრუქტორებს, კარგად უნდა იქნეს მოფიქრებული პარტკომის მიერ, თითონ ინსტრუქტორებს უნდა ჰქონდეს მიღებული სათანადო ინსტრუქციები, რათა მათი მუშაობის პრაქტიკაში ადგილი არ ექნეს იმ დეფექტებს, რომლებზედაც ლაპარაკობდა ამხ. სტალინი მე-15 პარტყრილობაზე; პირველი დეფექტი: თვითკრიტიკის შიში, მეორე — დარწმუნების მეთოდის (რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პარტიაში) შეცვლა ადმინისტრატიულ ღონისძიებათა მეთოდით, და მესამე — მუშაობა უპერსპექტივოდ, უგეგმოდ.

უწინარეს ყოვლისა უჯამაგირო ინსტრუქტორები უნდა განთავისუფლებულ იქნან სხვა პარტმოვალეობათა შესრულებიდან და მიმაგრებული უნდა იქნენ თავის სამუშაოზე ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი ვადით.

ამასთან ერთად საჭიროა გადაჭრილი ბრძოლის წარმოება იმის წინააღმდეგ, რომ ინსტრუქტორი ქვედა საფეხურის ორგანიზაციის გამოკვლევის დროს მის მუშაობას ეცნობოდეს მხოლოდ ქაღალდებით, ოქმებით, ანგარიშებით, საჭიროა შეწყვეტილ იქნას მაზრკომის ინსტრუქტორების მიერ „საინტერესო ფაქტების" შეგროვება, ყოველგვარ სტატისტიკურ ცნობების შეკრება მოსახლეობის სიმჭიდროვის, სხდომებზე გარჩეულ საკითხების რიცხვის შესახებ და სხვა.

თუ ასეთ გამოკვლევებს ბოლო არ მოეღო, ჩვენ ვიქნებით იმის მოწმე, რომ ამ ვეებერთელა მასალას გაუკეთებენ „ჯამს", „დაამუშავებენ", ამ მასალის მიხედვით შედგენილი იქნება გრძელ-გრძელი „პრაქტიკული" წინადადებები, ინსტრუქტორი გააკეთებს მოხსენებას გამოკვლევის შედეგების შესახებ და დაბრუნდება თავისთვის სამაზრო ცენტრში, ადგილობრივ მუშაკებს კი არ ეცოდინებათ, თუ როგორ გაატარონ ეს „პრაქტიკული" წინადადებები, როგორ დარაზმონ ღარიბი გლეხები, როგორ „გამოარკვიონ" უპარტიო გლეხთა აქტივის სახე.

საინსტრუქტორო აპარატის წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით უნდა დაისვას ამოცანა პრაქტიკულ, ცოცხალ მონაწილეობის მიღებისა ქვედა საფეხურის ორგანიზაციის მუშაობაში. გამოკვლევის ჩატარების დროს ინსტრუქტორები არა მარტო უნდა იკვლევდნენ მუშაობის დეფექტებსა და მიღწევებს, არამედ აგრეთვე უნდა მიუთითებდნენ ქვედა საფეხურის მუშაკებს, თუ როგორ უნდა ჩაატარონ მათ ესა თუ ის მუშაობა, როგორ აღმოფხვრან დეფექტები.

კერძოდ — ტარდება უპარტიო გლეხთა აქტივის ორგანიზაციულად დარაზმვა. ინსტრუქტორი უნდა დაეხმაროს უჯრედს კრების მოწვევაში, მომზადოს დღის წესრიგი, შეარჩიოს მასისათვის საინტერესო საკითხები, უხელმძღვანელოს კრებას.

რაც შეიძლება ნაკლები ფორმალური ანგარიშები, ცნობები, რაც შეიძლება მეტი პრაქტიკული ცოცხალი მუშაობა!

საქართველოს კომპარტიის (ბ) სამაზრო ორგანიზაციების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ არსად არ არის ჩატარებული ინსტრუქტორების მიმაგრება განსაზღვრულ რაიონებთან. თუ ეს შეუძლებელი იყო 2—3 ჯამაგირიანი ინსტრუქტორის საშუალებით, ეს სავსებით იქნება შესაძლებელი უჯამაგირო ინსტრუქტაჟის შემოღების შემდეგ.

ინსტრუქტორების მიმაგრება განსაზღვრულ რაიონებთან მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ინსტრუქტორის მიერ ქვედა საფეხურის ორგანიზაციისათვის პრაქტიკულ, ცოცხალ დახმარების აღმოჩენის საქმეს, რამდენადაც ინსტრუქტორი შეისწავლის მუშაობის ხასიათსა და პირობებს და რამდენადაც თვით ქვედა საფეხურის ორგანიზაცია გაეცნობა თავის ინსტრუქტორს.

საინსტრუქტორო აპარატის მუშაობის პრაქტიკაში არანაკლებ მნიშვნელოვანია საკითხი ქვედა საფეხურის ორგანიზაციების გამოკვლევის შეთანხმებისა იმ გამოკვლევებთან, რომლებსაც ატარებენ სხვა (საბჭოთა, კოოპერატიული, პროფკავშირების) ორგანოები. ამ ორგანოების საინსტრუქტორო აპარატების მიერ წარმოებული გამოკვლევები შეთანხმებული უნდა იყოს ერთმანეთთან, რათა ადგილი აღარ ექნეს იმ პარალელიზმს, რომელსაც ახლა ვხედავთ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სამაზრო მუშაკები გამოსთქვამენ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე თავის აზრს აღძრულ საკითხების შესახებ.

ა. დ—ი.

დადგენილებათა შესრულების შემოწმება

(გამოკვლევის მასალების მიხედვით)

დავალებათა შესრულების შემოწმებას პარტიულ მუშაობის პრაქტიკაში განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეთმოს. თუ ჩვენ სისტემატიურად არ შევამოწმებთ რამდენად სისწორით და [illegible] ტარდება დადგენილებები და განკარგულებები, ძნელია ახალ ღონისძიებათა გატარებაზე ზრუნვა. დადგენილებათა შესრულების შემოწმება კი, როგორც ამას გვიჩვენებს გამოცდილება, აუცილებელია ჩვენი მუშაობის ნორმალური გზით წასაყვანად. ხშირად ხდება, რომ დადგენილებანი იწერება, ხოლო მათ ცხოვრებაში გატარებაზე ბევრი არ ზრუნავს

თუ რამდენად ნაკლები ყურადღება ექცევა უჯრედების მიერ დავალებათა შესრულებას, ამას მჭერმეტყველურად მოწმობს თბილ. ორჯ. მეოთხე რაიკომის მიერ ჩატარებული გამოკვლევა. აი, რას გვეუბნება გამოკვლევა: სამშენის უჯრედში დავალებათა შესრულების შემოწმებას ადგილი არ ჰქონია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ფაბქარკომის ფრაქციის საქმიანობას; გემო-კვების უჯრედში შესრულების შემოწმება არ ყოფილა; მასწავლებელთა უჯრედებში 9 თვის განმავლობაში არც ერთ კომისიას არ ჩაუბარებია ანგარიში ბიუროსა და უჯრედებისათვის. არც ბიუროს მოუგონებია მათთვის ეს ვალდებულება. სხვა უჯრედებში შემოწმება არ ატარებს სისტემატიურ ხასიათს.

თავისთავად ცხადია, რომ ასეთი მდგომარეობა ნორმალურად ვერ ჩაითვლება. უჯრედებმა თავის ყოველდღიურ მუშაობის ორგანიულ ნაწილად უნდა გაიხადონ დადგენილებათა შესრულების შემოწმება. უამისოდ ფუჭი იქნება ახალ დადგენილებათა გამოტანა და მათ გატარებაზე ფიქრი. სანამ ახალ ღონისძიებებს გავატარებთ ცხოვრებაში, უნდა შევამოწმოთ, თუ რამდენად არის შესრულებული ჩვენი ძველი დადგენილებანი.

ბ. გ—ნი.

თათბირი ყოფა-ცხოვრების საკითხების შესახებ

22 მარტს საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას მუშა-გლეხ-ქალთა განყოფ. შესდგა თათბირი საქართველოს კომ. პარ. (ბ) ც. კ. აგიტპროპ განყოფილების, მუშა-გლეხ-ქალთა განყოფილების, იუსტიციის სახკომისარიატის, ჯანსახკომის და პოლიტგანათლების მთავარ მმართველობის წარმომადგენლებთან ერთად.

ამხ. ვ. ჯაფარიძის მოხსენება

თათბირზე ყოფა-ცხოვრების საკითხების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ვ. ჯაფარიძე, რომელმაც აღნიშნა, რომ ძველი ყოფა-ცხოვრების ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში დღემდე ჩვენი მუშაობა მოისუსტებდა. მუშა გლეხ-ქალთა განყოფილებას არ შეეძლო მარტო გაეძლო ამ მუშაობას. ჩვენი ძირითადი ამოცანებია: სასტიკი ბრძოლა ვაწარმოოთ მრავალცოლიანობის, მცირეწლოვანთა გათხოვებისა და მზითვობის დროს ქალთა იზოლაციის წინააღმდეგ. ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ არა მარტო პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობის ჩატარების გზით, არამედ სისხლის სამართლის ხასიათის სასჯელის დაწესების საშუალებით. კულტურულად ჩამორჩენილ ზოგიერთ მაზრებში, სახელდობრ ბორჩალოში, სვანეთში, ფშავში, ხევსურეთში და სხვაგან, ქალი კიდევ მონურ მდგომარეობაში იმყოფება, მას არა აქვს საჯაროთ გამოჩენის უფლება. ზოგან ის იძულებულია ატაროს ჩადრი. ხშირია აგრეთვე ისეთი შემთხვევები, როცა ჩამორჩენილ რაიონებში იძულებით ათხოვებენ რვა წლის ქალს, რასაც დიდი ზიანი მოაქვს ჯანმრთელი თაობის შექმნისათვის. ქალთა განთავისუფლებისათვის ბრძოლაში კომუნისტებმა მაგალითი უნდა უჩვენონ უპარტიოებს, თავიანთ ცოლებს, მათ უნდა მოხსნან ჩადრები და ხელი შეუწყონ საზოგადოებრივ მუშაობაში ქალთა ჩაბმის საქმეს

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი.

ამხ. ი. ვარძიელი

ამხ. ი. ვარძიელი ამბობს, რომ პირველ მაისიდან გატარდება სისხლის სამართლის ახალი მუხლები, რომლის მიხედვით დაისჯება შემდეგი ხასიათის დანაშაული: მკვლელობა სისხლის აღების მიზნით, მკვლელობის ანაზღაურებისათვის გასამრჯელოს აღება, ქალების იძულებითი გათხოვება, დაქორწინება იმ პირზე, რომელსაც არ შესრულებია საქორწინო ასაკი, ან ძალდატანება ასეთი ქორწინებისათვის. ქვრივის ძალდატანებით გათხოვება მაზლზე, ორცოლიანობა და მრავალცოლიანობა. ამ ახალი კანონების გატარების დროს მუშა-გლეხ-ქალთა განყოფილებამ დახმარება უნდა გაუწიოს სახალხო სასამართლოებს ფაქტიური მასალების შეგროვების საქმეში, რადგან ზოგიერთ რაიონებში თავიანთი ჩამორჩენილობის გამო მოსახლეობა არ გააშკარავებს ასეთ შემთხვევებს. შეგროვებულ მასალების მიხედვით ჩატარებული იქნება მთელი რიგი საჩვენებელი პროცესები.

ამხ. ს. მამულია

შემდეგ გამოდის ამხ. მამულია, ორატორი აღნიშნავს, რომ ყოფითი ხასიათის ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ჯერ ჯერობით ჩვენ არა გვაქვს დიდი მიღწევები. ძველი ყოფა-ცხოვრების ნაშთებით გამოწვეულ ბოროტმოქმედებებთან საბრძოლველად საჭიროა სათანადო ფორმებისა და მეთოდების გამომუშავება, რაც უნდა მოხდეს ადგილებზე გაბატონებულ ზნე-ჩვეულებების შესწავლის გზით. ამ დარგში მუშაობის რაციონალურად წარმოებისათვის, საჭიროა ჩამორჩენილ რაიონებში მომზადებული ამხანაგების გაგზავნა შესაფერისი მასალების შესაკრებად, რათა მომავალში ამ მასალების მიხედვით შევძლოთ გეგმიანი მუშაობა ამ სფეროში.

კამათში მონაწილეობა მიიღო ამხ. პიტოევმა და ესაიანმა.

დასასრულ, ძველი ყოფა-ცხოვრების ნაშთების ადგილობრივად შესწავლის და მასთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით თათბირმა გადაწყვიტა საქართველოს კომ. პარ. ცეკას მუშა-გლეხ-ქალთა განყოფილებასთან დაარსდეს სპეციალური კომისია, რომლის მიერ შეკრებილი მასალები გარჩეულ იქნება ამ დარგში მუშაობით დაინტერესებულ ორგანიზაციათა წარმომადგენლების ფართე თათბირზე.

კომკავშირში

საქ. ა. ლ. კ. კ. თბ. კომიტეტის პლენუმი

პლენუმის მიერ სხდომაზე მიღებულ იქნა რეზოლიუცია ამხ. სილაძის მოხსენების გარშემო.

ფიზკულტურის საქმის რეორგანიზაცია

მეორე საკითხზე — ფიზკულტურის ნებაყოფლობით მდგომარეობაზე გადასვლის შესახებ — მოხსენება გააკეთა ამხ. ხინჩაგაშვილმა.

ფიზკულტურის მნიშვნელობა არ განისაზღვრება მარტო ფიზიკური აღზრდის საკითხით, არამედ ის ამზადებს კულტურულ-მეურნეებს და სამხედრო საქმეში მცოდნე ახალგაზრდობას.

კადრები. ფიზკულტურის წრეებს ხშირად ხელმძღვანელობენ უცოდინარი პირები; ფიზკულტურის ქვედა წრეებში კულტურულ განმანათლებელი მუშაობა არ სწარმოებს. თბილისის ფ. კ. ინსტრუქტორებიდან ჩვენ გვყავს 5 კომკავშირელი და 4 პარტამხანაგი-ინსტრუქტორი. დანარჩენი — 85 კაცი, ყოფილი, „მეეარ დენელებია".

საჭიროა არსებულ მუშაობის ფორმების ძირითადი შეცვლა. უნდა შევქმნათ ფ. კ. ნებაყოფლობითი ორგანიზაცია, უნდა შევქმნათ ფ. კ. პასუხისმგებელი ხელმძღვანელი ორგანო.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო: ამხ. მაკაროვმა, ილინმა, აზარაშვილმა; კვინიხიძემ, ზატელოვსკიმ, ჩუბინიძემ; ბერენდიუკოვმა, პერვუშინმა, სპირიდონოვმა და კიკნაძემ.

კამათში გამოსული ამხანაგების უმრავლესობა აღნიშნავდა ფ. კ. ორგანიზაციის ნებაყოფლობითი მდგომარეობაზე გადასვლის აუცილებლობას.

პლენუმის უმრავლესობამ მოიწონა ფ. კ. ნებაყოფლობითი მდგომარეობაზე გადასვლა. ეს საკითხი დასამუშავებლად გადატანილ იქნა ძირითად უჯრედებში.

გაზეთი „მოლოდოი რაბოჩი"

რუსულ გაზეთ „მოლოდოი რაბოჩი"-ს გამოშვების შესახებ ინფორმაციული მოხსენება გააკეთა ამხ. ხიდაძემ, რომელშიაც პლენუმს გააცნო, რომ აპრილის რიცხვებიდან იწყებს გამოსვლას რუსული გაზეთი „მოლოდოი რაბოჩი".

ცვლილებანი თბილ. კომიტეტში

ამის შემდეგ პლენუმი გადადის საორგანიზაციო საკითხებზე: ამხ. ჩაკვეტაძე, მისი კ. კ. ცეკას საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგის თანამდებობაზე დანიშვნის გამო განთავისუფლებულ იქნა თბ. კომ. საორგანიზაციო განყ. გამგის თანამდებობიდან. საორგანიზაციო განყოფილების გამგედ ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. პერვუშინი. (პირ. რაიკომის მდივანი).

ეკონომიურ განყოფილების გამგეთ არჩეულ იქნა ამხ. ხაჩიკიანი. ამხ. მ. გობეჩიას კ. კ. ცეკას მდივნობიდან განთავისუფლების გამო, მის მაგივრად თბ. კომიტეტის პრეზიდიუმში შეყვანილ იქნა კ. კ. ცეკას ახალი მდივანი ამხ. გ. ჯავახიძე.

გარდა ამისა ამხ. იშხანოვის და ჩაკვეტაძის ცეკაში გადაყვანის გამო, თბილ. კომ. პრეზიდიუმში მათ მაგიერ შეყვანილ იქნა ამხ. გიორგობიანი და დავიდოვი.

დასასრულ არჩეულ იქნა საკონფლიქტო კომისია ამხ. პერვუშინის, ოსიპოვის, გოგიშვილის, ბოხუას; ზეინალოვის; ფირცხალავას, გავრიშას და სხვა შემადგენლობით.

საკ. კომისიის თავმჯდომარედ გამოყოფილ იქნა ამხ. პერვუშინი.

ამით დამთავრდა თბ. კომიტეტის მეორე პლენუმი.

ქა—ნიძე.

კონკურსი საბჭოთა საუკეთესო სექციებზე

სექციების საანგარიშო კამპანია ფართოვდება

თელავის საბჭოთა 184 წევრიდან სექციებში მუშაობდა მხოლოდ 80 დეპუტატი

სენაკის ქალაქის საბჭო ამომრჩეველთა სამსჯავროს წინაშე

(წერილი სენაკიდან)

დღეს, როდესაც საბჭომ ანგარიში უნდა ჩააბაროს ამომრჩევლებს, საჭირო არის გადავათვალიეროთ სენაკის ქალაქის საბჭოს მოღვაწეობა და მოკლედ მოვიყვანოთ შედეგები.

რა გააკეთა ამ ერთი წლის განმავლობაში მან?

საბჭოს წევრთა რაოდენობა და მისი შემადგენლობა

საბჭოში არჩეული იყო 55 წევრი, რომელთა შორის 10 ქალია. სოციალური მდგომარეობით კი ასეთი სურათი გვაქვს: გლეხი 13, მუშა 7, ხელოსნები 3, მასწავლებელი და ექიმები 3, მოსამსახურეები 28, წითელ არმიელი 1. პარტიული შემადგენლობით: კ. პ. წევრი და კანდიდატები 21, ა. ლ. კ. კ. და კანდ. 5, უპარტიო 24. ამნაირად საბჭოში წარმოდგენილი იყვნენ ქ. სენაკის მშრომელი მოსახლეობის ყველა წარმომადგენლები.

საბჭოს კრებები და სექციები

ახალი შემადგენლობის საბჭომ დაიწყო თავისი მუშაობა. სექციების ჩამოყალიბებასთან ერთად საბჭოს პირველ სხდომაზე საბჭოს წევრები დანაწილდენ სხვადასხვა სექციებში. არ დარჩენილა საბჭოს არც ერთი წევრი, რომელიც არ ჩაერთვებოდა მუშაობაში რომელიმე სექციაში; ასეთი სექციები იყვნენ: ა) სახ.-სამეურნეო-საკოოპერაციო, ბ) ადმინისტრაციული და კეთილმოწყობის, გ) კულტურული, დ) საექიმო-სასანიტარო, ე) საფინანსო-საგადასახადო და ვ) საგზაო და ხიდების.

საბჭოს კრებები ხდებოდა თითქმის თვეში ერთხელ. დასწრება უდრიდა 70-78 პროც.-ს.

ამომრჩევლების ნაკაზი

საბჭო მთავარ ყურადღებას აქცევდა იმ ნაკაზის შესრულებას, რომელიც მიეცა მას არჩევის დროს თავის ამომრჩევლებისაგან.

როგორი იყო ეს ნაკაზი?

ნაკაზი ავალებდა ქალაქის საბჭოს მიექცია განსაკუთრებული ყურადღება ა) ქალაქის ქუჩების და ხიდების შეკეთებაზე, ახალის გაყვანაზე, ხიდების აგებაზე და სხვა, ბ) კომუნალურ ქონებათა გაძლიერებაზე და სავაჭრო შენობების შეკეთება და გადაკეთება, გ) ქალაქის ბაღის მოწყობა და გამშვენიერება, დ) ქალაქში მიწათმოწყობის და დაგეგმვის ჩატარება, ე) წყალსადენის მოწყობის შესაძლებლობის გამოკვლევა, ვ) პედაგოგიური ტექნიკუმისა და 7 წლედისათვის შენობის აგების დაწყება, ხოლო არსებული სასკოლო შენობების შეკეთება, ზ) ახალი სასაკლაოს აშენების დაწყება, თ) ახალი აბანოს მოწყობა, ი) ბულვარების ძველების სათანადოთ მოვლა, კ) [illegible] ლ) სახაერო ქსელის გაყვანა ქალაქში, მ) სახანძრო რაზმის ჩამოყალიბება და სათანადოთ მოწყობა, ნ) ქალაქის მცხოვრებთათვის სათიბარი ადგილების მოძებნა, ო) ზრუნვა, რომ ყველა მშრომელი გაებას კოოპერაციაში წევრად, პ) საბინაო კოოპერაციისათვის ხელის შეწყობა, რ) ფიზკულტურისათვის შენობის აგებისათვის ხელის შეწყობა, ს) წიგნთსაცავ-სამკითხველოს მოწყობა, ტ) ქალაქში სანიტარული წესების დაცვა და სხვა. ამნაირად მთელ რიგ ამოცანებთან ერთად საბჭოს უნდა მიექცია მთავარი ყურადღება მოსახლეობის ამ ნაკაზის შესრულებისათვის.

როგორ შესრულდა ნაკაზი

საბჭომ გააკეთა შემდეგი: საბჭო ადგენდა სამთვიან გეგმებს მიცემული ნაკაზის საფუძველზე. გეგმები ჯერ სდგებოდა სექციებში, შემდეგ ქალაქის აღმასკომი დაამუშავებდა, ადგენდა მათ საფუძველზე საკვარტალო გეგმებს და უდგენდა საბჭოს სახილველად დასამტკიცებლად.

ქალაქის აღმასკომს ქონდა თერთმეტი თვის განმავლობაში 38 სხდომა და გაარჩია 320 საკითხი. მათ შორის ორგანიზაციული ხასიათის 2, ადმინისტრაციული და კეთილმოწყობის 52, საფინანსო-საგადასახადო 81, საექიმო-სასანიტარო 3, შრომის—13, მმართველობის და ადმინისტრაციული 159, მიწის საკითხები 12 და სხვა 8.

ქალაქის საბჭოს კი დღემდე ქონდა 10 სხდომა. გაარჩია 61 საკითხი.

საანგარიშო პერიოდში საბჭოს მიერ შესრულებულია შემდეგი:

ა) მმართველობის და რევოლუციური წესების დაცვის დარგში

გამოქვეყნებულ იქნა საზოგადო კრებებზე: ცაკის დადგენილება თვითდაბეგვრის წესების შესახებ, მაზრაღმასკომის განცხადება სახელოსნო ბეგრის შესახებ, წესდება სახანძრო რაზმის შესახებ და მაზრაღმასკომის სხვა სავალდებულო დადგენილებანი. ქალაქში შემოღებულია მეეზოვეთა ინსტიტუტი, მუშავდება საბინაო ტარიფი და სხვა. მიწის ქირის გადახდევინებისათვის პასუხისგებაშია მიცემული 8 და გამოძიების პროცესშია 7 საქმე.

ბ) სახ.-სამეურნეო და სააღმშენებლო დარგში

ქალაქში ტარდება მიწათმოწყობა, რისთვისაც მოწვეულია მიწის მზომელი. ქალაქს ყავს ვეტექიმი. მოსახლეობას ეძლევა უფასო ვეტდახმარება. გახსნილია 15.000 მან. გრძელვადიანი კრედიტი, რაც მოხმარდება ახალი სასაკლაოს აშენების საქმეს.

ქალაქის ბაღში მიმდინარეობს საფუძვლიანი მუშაობა მისი გამშვენიერებისა და კეთილმოწყობის მიზნით. ბაღისათვის გაშენებულია ყვავილების ხეივანი და სხვა დეკორატიული ხე-მცენარეების გასამრავლებლად. ბაღი შეკეთებულია და ახლად დაყენებულია 20 გრძელი სკამი.

ქუჩების შეკეთებას დიდი ყურადღება ექცეოდა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია რუსთაველის ქუჩაზე, მის 1-ლ შესახვევში, ნაწილობრივ აკაკის ქუჩაზე და მთლიანად ლენინის ქუჩაზე ქვაფენილის დაგება. გრძელდება სხვა ქუჩების შეკეთება და მოწყობა.

გაკეთდა აბაშის ქუჩაზე, ნინოშვილის ქ. 1, მთის კალთის ქ. 2 და რუსთაველის ქუჩაზე 2 ბეტონის ხიდები.

დაიწყო სახ.-საშ. ტექნიკუმისათვის შენობის აგება, ხოლო გადაწყდა და საფუძველი ჩაეყარა პედაგოგიური ტექნიკუმის შენობას, რისთვისაც ქალაქის მოსახლეობამ ერთხმად გადაწყვიტა თვითდაბეგვრის საშუალებით გაიღოს 30.000 მანეთი.

გ) სააღმშენებლო და კეთილმოწყობის დარგში

გადაკეთებულ იქნა ზემო ყანის ფარდული. კეთდება ახალი დუქნები ნაცვლად დაძველებულისა და დამწვარისა. მიმდინარეობს ქალაქის აბანოს და ყოფილი ქალაქის თეატრის სადგომის გადაკეთება. მაზრაღმასკომის შენობაზე მიშენებულ იქნა ქალაქის აღმასკომისთვის საკანცელარიო შენობა.

ხანძარსაწინააღმდეგო რაზმი მოეწყო და მას გამოეყო ფარდული. ხანძარსაწინააღმდეგო რაზმი მოწყობილია ავტომანქანით.

ლენინის და რუსთაველის ქუჩებზე მიმდინარეობს დუქნების ძველი წინა ფარდულების ჩამოხსნა და მათი შეცვლა ახალი ლავგარდნებით. ქალაქის დუქნების გამშვენიერებას და ქალაქის წესით მოწყობას ექცევა განსაკუთრებული ყურადღება.

დაწყებულია და მიმდინარეობს მუშაობა ქალაქში ახალი სახაერო ხაზის გასაყვანად. ამ საქმის მოსაწყობად გახსნილია 40.000 მანეთის გრძელვადიანი კრედიტი.

დ) კულტგანმანათლებელ დარგში

წერა-კითხვის უც. სკოლა გაიხსნა გამსახლში. ქალაქის წიგნთსაცავ-სამკითხველოზე ჯერ-ჯერობით დახარჯულია 160 მანეთამდე.

სასკოლო შენობები შეკეთებულ იქნა, მათ შორის 4 წლედის შენობა საფუძვლიანად.

მასწავლებლები ჩაბმულნი არიან ქალაქის საბჭოს ყოველდღიურ მუშაობაში.

ე) ჯანმრთელობის დარგში

გამოკვლეულ იქნა ქალაქის სანიტარული მდგომარეობა. ქალაქის სახაზინო შენობების უკანა ეზოები გაწმენდილ იქნა ნაგავ-ყრილებისაგან და სხვა სიბინძურისაგან.

სავაჭრო მოედანზე გამოყოფილია ერთი მუდმივი საწოლი ქალაქის უკიდურეს ღარიბთათვის უფასო დახმარების აღმოსაჩენად. აგრეთვე ეძლევათ უფასო წამლობა უკიდურეს ღარიბებს.

დაარსებულ იქნა პოლიკლინიკა საბჭოს ხარჯზე, სამედიცინო სადგური უფასო ექიმობით და წამლობით ემსახურება მოსახლეობას.

ვ) საფინანსო-საგადასახადო დარგში

შედგენილ იქნა 27-28 წლის ბიუჯეტი 38.777 მან. დეფიციტით. მიღებულია ზომები დეფიციტის დასაფარავად სხვის საშუალებით.

გახსნილია გრძელვადიანი კრედიტები: ელხაზის მოსაწყობად 40.000 მან., სასაკლაოსათვის 15.000 მ., ყოფილი თეატრის სადგომის გადასაკეთებლად 20.000 მან. და დარაბების გასაშენებლად 8000 მ.

აღრიცხულია მსხვილფეხა საქონელი და სატრანსპორტო საშუალებანი მათზე გადასახადების გასაწერად.

ამნაირად ქალაქის საბჭოსა და ქალაქის აღმასკომის მუშაობა მეტად ნაყოფიერი იყო. ასეთი მუშაობა ჯერ არ უნახავს ქ. სენაკის მშრომელ მოსახლეობას.

მაგრამ ამასთან ერთად უნდა აღვნიშნოთ ის, რაც არ გაკეთებულა ნაკაზის მიხედვით:

ა) ქუჩა არ არის გაყვანილი მთის მწვერვალამდე და ხე საზაფხულო პარკი ვერ მოეწყო, ბ) მთის კალთის ქუჩის მეორე ადგილას ფერდობი ქვის კედლით არ გამაგრებულა, ვ) ქ. ბაღი არ არის შემოკავებული რკინის ღობით, დ) ღელე ფიცუს ნაპირები არ არის გამაგრებული, ე) წყალსადენის გამოყვანის შესაძლებლობა გამოკვლეული არ არის, ვ) ზემო ყანის მოედანზე არ არის ქვაფენილი დაგებული, ზ) ფიზკულტურისათვის შენობის აგება არ დაუწყიათ, თ) მოსახლეობისათვის [illegible] სამყარი ადგილი არ არის აღმოჩენილი და ქ) რკ. გზის სადგურის გადაღმა ცხაკაიას ქუჩის [illegible] ქუჩამდე ქუჩა სრულიად არ არის შეკეთებული.

მიუხედავად ამისა საბჭოს მუშაობა მიმდინარეობდა მოსახლეობასთან ხელი-ხელ ჩაკიდებულად.

ეხლა, როცა დაიწყო საანგარიშო კამპანია, ამომრჩევლები დააფასებენ თავის ამორჩეულ ორგანოების მოღვაწეობას და მომავლისათვის მიუთითებენ დეფექტებზე.

ბ. უგანეიშვილი.

თელავის საბჭო ანგარიშს აბარებს ამომრჩევლებს

(წერილი თელავიდან)

ამჟამად მთელ მაზრის სოფლებში მიმდინარეობს თემ-საბჭოს ამომრჩეველთა საერთო კრებები, საბჭოს მუშაობის მოხსენების მოსასმენად და მასთან ერთად საბჭოს უმოქმედო წევრების უკან გამოსაწვევად.

თელავის თემსაბჭოში შემავალ სოფლებში: შალაურში, კურდღელაურში, ვარდისუბანში გულგულაში ასეთი კრებები მოხდა კვირას, 18 მარტს, თელავში—კი მოხსენება ჩატარდა ორ უბნად.

თელავის თემსაბჭო შედგება 184 წევრისაგან შემდეგი სოფლებიდან: კურდღელაურიდან 32, შალაურიდან—18, ვარდისუბნიდან—22, გულგულიდან—10, წითელ არმიელებიდან—10 და თელავიდან 89 წევრი.

რასაკვირველია ასეთ მრავალრიცხოვან საბჭოს სხდომის ხშირად მოწვევა და ყველა საკითხების წამოჭრა-განხილვა სიძნელეს წარმოადგენს, ამისათვის საბჭო დაყოფილია სექციებად: 1) კომუნალურ-სააღმშენებლო, რომელშიაც ჩაბმულია 28 საბჭოს წევრი და 11 არა-წევრი.

განათლების — 18 წევრი და 8 არა-წევრი.

ჯანმრთელობის — 19 წევრი და 7 არა-წევრი.

ფინანსური—15 წევრი და 5 არა-წევრი.

ყველა სექციებს ჰყავს გამოყოფილი ბიუროები.

საბჭოს 184 წევრთაგან სექციებში ჩაბმულია 80 წევრი, ე. ი. ნახევარზე ნაკლები, მაგრამ ამის და მიუხედავად სექციებში გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს, რადგანაც სხდომების ხშირ-ხშირად მოწვევით, სხვა მნიშვნელოვან საკითხებს ამუშავებენ.

ცალკე სექციების მუშაობას შემდეგ დაუბრუნდებით, მხოლოდ ეხლა უნდა აღვნიშნოთ გლეხობის აქტივობა, საკითხებისადმი და ინტერესი და ყველა საჭირბოროტო საკითხის წამოყენება და მისი ცხოვრებაში გატარების მოთხოვნა.

ამომრჩეველთა ერთ-ერთ კრებაზე, სოფ. შალაურში, გლეხებმა მოისმინეს რა, საბჭოს მუშაობის შესახებ მოხსენება, დაწვრილებით შეუდგნენ მის შეფასება-გარჩევას და კრიტიკულად ეხებოდნენ ამა თუ იმ საქმის შეუსრულებლობის მიზეზებს, ხოლო მითითებებში შეჰქონდათ სოფლის საჭირბოროტო საკითხები და აღნიშნეს მისი ცხოვრებაში გატარების საჭიროება. ეს საკითხები უმთავრესად შეეხება სოფლის კეთილმოწყობას, შალაურ-თელავის გზის გაყვანა-შესწორებას, ტყის მოვლა პატრონობას და დაცვას, სანიტარულ-ჰიგიენურ პირობების გასაუმჯობესებლად ზომების მიღებას, როგორიც არის კალოების სოფლიდან ბოლოზე გადატანა და სხვ.

ეს უსათუოდ მოწმობს გლეხობის გამოფხიზლებას, საზოგადო საკითხებისადმი დაინტერესებას და საბჭოს გაჯანსაღებას.

მოსახლეობას გათვითცნობიერებით შეეგნება, რომ იმ ამორჩეულ საბჭოს წევრს, რომელმაც ვერ გაამართლა მათი იმედები, უკან იწვევენ და მის მაგივრად ჰგზავნიან უფრო საიმედო პიროვნებას. ეს მოვლენა—კი უტყუარი საწინდარია ჩვენი ამომრჩეველი გლეხის გამოღვიძება-შეგნების, რასაც შედეგად მოჰყვება საბჭოების გაცხოველებული მუშაობა.

ვან-ლი.

საქობოს თემსაბჭო (სიღნაღის მაზრა)

(წერილი საქობოდან)

სამეურნეო სექცია

საქობოს თემ-საბჭოსთან სამეურნეო სექცია თავიდანვე ჩამოყალიბდა, რომელშიაც შედიოდა სამი წევრი. სექციის წევრები შეუდგნენ მუშაობას, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს მუშაობა ვერ მიმდინარეობდა იმ ფორმებში, როგორიც სამეურნეო სექციას ეკუთვნის.

სამეურნეო სექცია უნდა ცდილობდეს თემში მეურნეობის საქმის წინ წაწევას; აქ კი სექციის წევრები უნდებოდნენ გლეხობის შორის სადაო საკითხების მოგვარებას. ასე მაგალითად, ჩამოყალიბებისთანავე სექციამ მიიღო რვა წერილობითი და 11 პირადი განცხადება გლეხობის შორის ატეხილ დავის შესახებ. სექციის წევრები შეუდგენ ამ საკითხების მოგვარებას, ხოლო თავისი პირდაპირი დანიშნულებისათვის კი აღარ მოუცლიათ.

ამ გარემოებამ აღმასკომი გადააჩვია თავის მოვალეობას და თუ სადმე სადაო საკითხი იქნებოდა მოსაგვარებელი, აღმასკომის თავმჯდომარე სექციის წევრებს ავალებდა მის მოგვარებას.

უნდა ითქვას, რომ ამ მიმართულებით სექციამ დიდი მუშაობა ჩაატარა. მისმა წევრებმა 56 მოპირდაპირე გლეხი შეათანხმა სადაო საკითხებში.

სექციის წევრები მხოლოდ უბის წიგნში იწერდენ ჩატარებულ მუშაობის შესახებ. მათ არ ქონდათ იმდენი მომზადება, რომ ოქმები შეედგინათ, ხოლო აღმასკომის მდივანი ოქმის შედგენაზე ყოველთვის უარს ამბობდა. ამიტომ არის, რომ აღმასკომმა არ იცის, თუ რა გააკეთა თემში სამეურნეო სექციამ, ხოლო საანგარიშო მოხსენების დროს აღმასკომის თავმჯდომარემ ბრალი დასდო ყველა სექციების უმოქმედობაში. ეს იმ დროს, როდესაც თვით აღმასკომსაც არაფერი გაუკეთებია. ამ გარემოებამ უკანასკნელ ხანებში სექციის წევრებს გული აუცრუა მუშაობაზე, თუმცა დღესაც შესაძლებლობის მიხედვით მაინც განაგრძობენ მუშაობას.

მომავლისათვის საჭიროა ასეთ არანორმალურ ამბავს ბოლო მოეღოს. სამაზრო და ცენტრალური ორგანოებმა მეტი ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ ადგილებზე თემსაბჭოებისა და მისი სექციების მუშაობას. ამასთანავე საჭიროა, სექციაში ირიცხებოდეს არა სამი წევრი, არამედ გაცილებით მეტი, მით უმეტეს ისეთ სექციაში, როგორიც სოფლის პირობებში სამეურნეო სექციაა.

ფ. ზედლაშვილი

საქ. ცაკის პრეზიდიუმში

ლატარია ბავშთა დასახმარებლად

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა ნება დართო ცაკთან არსებულ უმწეო ბავშთა დამხმარე კომისიას თავის ფონდის გასაძლიერებლად მოაწყოს ლატარია, რომელშიაც გათამაშებული იქნება სხვადასხვა ნივთები. ლატარია მოეწყობა მთელ რესპუბლიკის ფარგლებში. ლატარიის მოსაწყობად შესდგა ცალკე კომისია სოც-უზრუნველყოფის განყოფილების გამგის ამხ. ჟ. ხომერიკის თავმჯდომარეობით.

დებულების დამტკიცება

საქ. ცაკის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე დაამტკიცა საქართველოს სტატისტიკის ცენ. სამმართველოს დებულება.

ჩაის ახალი პლანტაციების გასაშენებლად

ადგილობრივ აღმასკომებთან შეთანხმებით საქ. ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა სააქციო საზ-ბა „საქართველოს ჩაი"-ს ჩაის ახალი პლანტაციების გასაშენებლად გადაეცეს ოზურგეთის მაზრაში 20 დესეტინა მიწა და ზუგდიდის მაზრაში 40 დესეტინა მიწა.

სოფლის საბჭოებში

საქ. ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა სპეციალურ კომისიის მიერ შემუშავებული ღონისძიებები აფხაზეთის სოფლის საბჭოების მუშაობის გამოსაცოცხლებლად.

ცაკის სოც.-უზრუნველყოფის განყოფილებაში

გლეხთა-ქალების ურთიერთ დამხმარე ორგანოების მოსაწყობად

საქ. ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებამ—შიმშილობის, ომიანობის და სხვა შემთხვევების დროს გლეხთა-ქალებისათვის ურთიერთ დამხმარე ორგანოების მოსაწყობად გამოიმუშავა სათანადო პროექტი.

სამხრეთ-ოსეთში

საქ. ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებაში მიღებული ცნობით, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებაში საბიუჯეტო წლის პირველ კვარტალში (სამ თვეში) სულ აღრიცხვაზე იყო აყვანილი სამოქალაქო და იმპერიალისტური ომის 72 ინვალიდი, 40 შრომის ინვალიდი, ომში მოკლული და დაკარგული პირების 51 ოჯახი, გარდაცვლილი ინვალიდების 7 ოჯახი და 52 ოჯახი წითელ ჯარში გაწვეული იმ პირების, რომელთაც სამხედრო სამსახურში გაწვევისას სახლში არ დარჩენიათ მარჩენალი ხელი. აღნიშნულ დროის განმავლობაში ინვალიდებს, ომში დაკარგულ და წითელ ჯარში გაწვეულ პირების ოჯახებს პენსიების და დახმარების სახით განყოფილებამ დაურიგა 2084 მანეთი.

გლეხკომების გადარჩევა

საქ. ცაკთან არსებულ სოც. უზრუნველყოფის განყოფილებაში მიღებული ცნობებით ძირითად და სამაზრო გლეხკომების გადარჩევა დამთავრდა: აჭარისტანში, სამხრეთ-ოსეთში, ქუთაისის, შორაპნის, თბილისის, ოზურგეთის, ახალქალაქის, ლეჩხუმის, თელავის; ბორჩალოს, გორის, ახალციხის და რაჭის მაზრებში. გადარჩევაში მონაწილეობას იღებდა მოსახლეობის 80 პროცენტი. გლეხკომების ახალ აპარატში არჩეული იქნენ უმთავრესად ღარიბი გლეხობა და მშრომელი ინტელიგენცია.

გლეხკომის გადარჩევის წინ უძღოდა ღარიბი გლეხობის კრებები, რომლებზედაც გლეხკომების წარმომადგენლები აკეთებდნენ მოხსენებებს გლეხკომების საქმიანობის შესახებ.

დანარჩენ მაზრებში გადარჩევას ხელი შეუშალა დიდმა ზამთარმა.

მთელ საქართველოში გლეხკომების გადარჩევა დამთავრდება გაზაფხულისათვის.

ახალციხის სამაზრო გლეხკომის კონფერენცია

კვირას, 25 მარტს ახალციხეში გაიხსნება ახალციხის სამაზრო გლეხკომის კონფერენცია, რომელსაც დაესწრება სოც. უზრუნველყოფის განყ. გამგე ამხ. ჟ. ხომერიკი.

კონკურსი საუკეთესო საკრედიტო ამხანაგობაზე

მიმდინარე წელს მთელ საბჭოთა კავშირში მეორედ ტარდება კონკურსი საუკეთესო სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობაზე. ასეთი კონკურსი შემოღებულია საკავშირო ფინსახკომის მიერ, ფინანსთა კომისრის ყოფ. მოადგილის განსვენებულ ამხ. ვლადიმიროვის სახელის უკვდავსაყოფად. პირველი კონკურსი ჩატარდა გასულ წელს და მან დადებითი შედეგები გამოიღო, დამტკიცდა, რომ სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო კოოპერაციის ძირითად ქსელის მუშაობაზე ზეგავლენის მოხდენის იმგვარი ფორმა მიზანშეწონილია.

კონკურსს კავშირის მასშტაბით ხელმძღვანელობს სპეციალური საკონკურსო კომისია, რომელიც შექმნილია ფინსახკომთან. ანალოგიური კომისიები არსდებიან რესპუბლიკანურ ფინსახკომებთანაც.

საქართველოს რესპუბლიკანური კომისია შესდგება: ფინსახკომის, სასოფლო-სამეურნეო ბანკის, „სოფლის კავშირი"-ს, კოოპერატიული ბანკის და მიწათმოქმედების კომისარიატის წარმომადგენლებისაგან.

როგორც საკონკურსო დებულებიდან სჩანს, კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ყველა სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებს, რომლებიც არსებობენ არა ნაკლებ ერთი წლისა. კონკურსზე დაშვებული იქნებიან ისეთი სამრეწველო საკრედიტო ამხანაგობებიც, რომლებიც ემსახურებიან მხოლოდ და მხოლოდ სოფლის მეურნეობას.

იმ საკრედიტო ამხანაგობებმა, რომელთაც სურთ კონკურსში მონაწილეობის მიღება, ა. წ. 15 მაისამდე უნდა გაგზავნონ თავის განცხადებები რესპუბლიკანურ საკონკურსო კომისიაში.

კონკურსის დროს საუკეთესო საკრედიტო ამხანაგობების დასაჯილდოვებლად გამოყოფილია—34 ჯილდო,—რომელიც იყოფა სამ თანრიგად. პირველი თანრიგი შეიცავს—სამ ჯილდოს, თითოეული—2.000 მანეთის ღირებულებით, მეორე— 8 ჯილდოს—1.000 მანეთის ღირებულებისა თითო და მესამე—23 ჯილდოს—500 მანეთის რაოდენობისა თითო.

ამ დღეებში შესდგება საქართველოს რესპუბლიკანური საკონკურსო კომისიის პირველი საორგანიზაციო თათბირი, რომელზედაც შემუშავებული იქნება საქართველოში კონკურსის ჩატარების წესი.

ხუთი ახალი ქარხანა

ეთეროვან ზეთის დასამუშავებლად

ეს მესამე წელიწადია, რაც „ტეჟე" ტრესტის წარმომადგენლობა აფხაზეთში აწარმოებს ცდებს ეთეროვან მცენარეთა კულტურის გასაშენებლად, ცდებმა იმდენად ნაყოფიერი შედეგი გამოიღო, რომ ტრესტი წლიდან-წლამდე აფართოებს ეთეროვან კულტურებით დაკავებულ მიწების სივრცეს. ამავე დროს წარმომადგენლობა მიზნად ისახავს, რომ ეთეროვანი კულტურები გაავრცელოს გლეხურ მეურნეობაში. პირველი წლების ნაყოფიერმა შედეგებმა და ამ კულტურების შემოსავლიანობამ დიდი ინტერესი აღძრა გლეხობაში, გასულ წელს,—სოხუმის, გულრიპშის, დრანდის და გაგრის რაიონებში მცხოვრებმა გლეხებმა ხელი მოჰკიდეს ეთეროვან კულტურების გაშენებას. „ტეჟე" ტრესტის წარმომადგენლობამ, რომლისაც ხელმძღვანელობაში მიდის გლეხობის ასეთი ინტერესი ამ კულტურებისადმი, მიმდინარე წლის გაზაფხულისათვის დაამზადა დიდძალი ნერგი მასალა, რომელიც გლეხობას დაურიგდება შეღავათიან ფასებში. გარდა ამისა „ტეჟესთან" შეთანხმებით სახალხო მეურნეობის ტრესტი აწყობს ხუთ პატარა მოძრავ ქარხანას ეთეროვანი მცენარეულობიდან სახარეყიფერო ზეთების დასამზადებლად. ხუთივე ქარხნისათვის უკვე შეძენილია აპარატურა და ინვენტარი. პირველად ქარხნები დაიდგმება სოხუმში, გულრიპშში, დრანდაში, ბათუმსა და გაგრაში. ეთეროვან კულტურის ნედლეულობის ადგილობრივ დამუშავება და ამ მიზნით მისი შესყიდვა გააფართოებს გლეხობის ინტერესს ამ კულტურებისადმი.

ბახურებული მუშაკი

კაცი თავმჯდომარის კარებთან

მოქალაქე მესხს, სახკინმრეწვის საქმეთა მართველს, უყვარდა სახკინმრეწვის გამგეობის თავმჯდომარე. ასე სწერს, ყოველ შემთხვევაში ის თავის განცხადებაში მუშათა და გლეხთა ინსპექციისადმი. მოგეხსენებათ, სიყვარული ყოველთვის ისეთივე სიტკბოებით არ მთავრდება, როგორითაც იწყება. ასეთი უბედური გამოდგა მესხის სიყვარულიც თავმჯდომარისადმი.

საქმე სულ უბრალო რამეზე შედგა. ასე სჩვევია ყოველ რომანს. სიყვარულის ნექტარით თავბრუდახვეულ კაცს მეტიც არ უნდოდა. გათენდა ერთი უბედური დღე. სახკინმრეწვის საქმეთა მართველს სხვა, ჩვეულებრივ მოხელეებთან ეწვია მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელი, რომელსაც პირადათ უნდა ენახა გამგეობის თავმჯდომარე. მაგრამ ერთია საქმის საჭიროება და სულ სხვაა მოქ. მესხის გუნება და ხასიათი. მას წინ ნურავინ აღუდგება, მის ტრადიციებს ნურავინ შეეხება. გაიმართა სახკინმრეწვის გამგეობის თავმჯდომარის კარებთან დიალოგი ინსპექციის წარმომადგენელსა და საქმეთა მართველს შორის.

საქ. მართ.—საიდან ხართ თქვენ, რა საქმეზე გინდათ თავმჯდომარის ნახვა?

ინსპექც. წარმ.—მე საქ. მ.-გ. ინსპექციიდან ვარ. მ.-ს და პირადათ მოველაპარაკო ერთ საკითხზე თავმჯდომარეს.

საქ. მართვ. ეგ სულერთია, თქვენ ჯერ მე უნდა გამაცნოთ საქმის შინაარსი.

ინსპექ. წარმ. კი მაგრამ, იქნებ საქმე ამას არ მოითხოვს?

საქმ. მართვ. (ჰკარგავს მოთმინებას, ხმას უმატებს) მაშ მე აქ რა ეშმაკებისათვის ვზივარ?!..

ინსპექციის წარმომადგენელმა აღარ მოისურვა საქმეთა მართველთან არასასიამოვნო საუბარის გაგრძელება და პირდაპირ შეიჭრა თავმჯდომარის ოთახში. გონიერი საბჭოთა მუშაკი ჯერ თავიდანვე არ ასტეხდა ამ უადგილო დავიდარაბას და შემდეგ, რაკი ინსპექციის წარმომადგენელმა არ ისურვა საქმის გამჟღავნება, ხელს ჩაიქნევდა და ხმას გაიკმენდა. მაგრამ მესხი ასეთ მუშაკთა რიცხვს არ ეკუთვნის. უნდა დაიცვას თუ არა ბოლოს და ბოლოს კაცმა საკუთარი პატივმოყვარეობა? მესხი ცხვირზე კოღოსაც არ დაისვამს, აქ კი მოხდა გაუგონარი რამ, საქმეთა მართველს გვერდი აუხვიეს და პირდაპირ თავმჯდომარესთან შევიდნენ? ამაზე მეტი დანაშაული განა კიდევ წარმოიდგინება? და დაიწყო მესხმა საჩივარი. საქმეს კუდი გამოაბა... იმდენი იჩხირკედელავა, იმდენი იკინკლავა, რომ ჯილდოთ მიიღო ერთ-ერთი ავტორიტეტულ საბჭოთა დაწესებულების დადგენილება: მესხი მოხსნილ იქნას თანამდებობიდან, როგორც ბიუროკრატი და საბჭოთა დაწესებულებისათვის შეუფერებელი მუშაკი. ამაზე იტყვიან ჩვენში: თაგვმა თხარა, თხარაო—კატა გამოთხარაო.

სიომუშა

სიმონ ქყონია, მანგლისის თემაღმასკომის მდივანი, მეტად ნაზი და განვითარებულ ესთეტიური გრძნობის კაცია. თავის სოფელში, გურიაში მას სიმონა ქყონიათ იცნობს ყველა. მაგრამ მანგლისში ფაქიზ ყურთასმენის პატრონ ქყონიას ეს სახელი ყურში არ დაუჯდა და მანაც ის ახალ ყაიდაზე გადააკეთა. მაშ ასე, გაიცანით და იცნობდეთ—სიომუშა ქყონია, თვით მანგლისის თემაღმასკომის მდივანი.

ამნაირად სახელი მეტად ტკბილი და გულის სიღრმეში ჩამწვდომი აქვს აღმასკომის მდივანს. საქციელი კი... საქციელს სჯობს ნუ იკითხავთ. აბა, სად სიომუშა და სად თავზე ხელაღებული ღამის გმირი. სიომა კი უმთავრესად ღამ-ღამობით მოღვაწეობს. მზის ჩასვლისთანავე მოუჯდება სუფრას. შუაღამემდი კარგა ლაზათიანად „გამოიბრუშტნება" ნუნუთი და ამის შემდეგ იწყება მოულოდნელი ვიზიტები მანგლისის მოქალაქეთა ოჯახებში. კარგი ბიჭია და ვინმე კარს ნუ გაუღებს. თვითონ აღმასკომის მდივანი მობრძანდება რევოლვერით წელზე. ამას წინად სიომუშა ასე დაუპატიჟებლად ეწვია ნიკოლოზ ხაფავას ოჯახს, იშიშვლა იარაღი და ერთი ორომტრიალი ასტეხა. სასწრაფოდ შეატყობინეს მილიციონერ არტემ ბალამაზოვს, რომელმაც სიომუშა რის ვაივაგლახით დააშოშმინა. მაგრამ საქმე ამით არ გათავებულა. მხიარული აღმასკომის მდივანი ამავე ღამეს ეწვია დარიო კურტხელიძეს. აქაც ერთი განგაში და ალიაქოთი ასტყდა. საქმე უმსხვერპლოდ არ დამთავრდებოდა, რომ მასპინძელს ხერხითა და მოფერებით არ გაესტუმრებია ღამის დაუპატიჟებელი სტუმარი.

ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, ამბობდნენ ჩვენი ძველები. სიომუშასაც ასე სჭირს. იმ ღამის უბედურებამ მასზე გავლენა ვერ იქონია. პირიქით, ის კიდევ უფრო გათამამდა. ერთხელ ღამის 2 საათზე სახლში შეუვარდა მიკოს გომბაროვს და მთელი ოჯახი საცვლების ამარა ფეხზე დააყენა.

ეს რაც შეეხება ბინებში მოღვაწეობას. ქუჩაში კი სიომუშა მეტ სითამამეს და „ხელგაშლილობას" იჩენს. ამას წინად აღმასკომის დამთვრალ მდივანმა მოუნდომა ცემა გზაში მიმავალ გლეხ გლახო შუშიშვილს, რომელიც სრულიად შემთხვევით გადარჩა მდივნის მუშტებს, სამაგიეროთ გლეხ ისაკა ანანოვს სრულიად უმიზეზოთ სიომუშამ იმდენი ურტყა, რომ „დაბადების დღე აწყევლინა". კინაღამ ისაკა ანანოვის ბედი არ ეწვია გორის მაზრიდან მანგლისში ამოსულ გლეხს, რადგან მას სიომას სიტყვით: „ღილები სწორად არ ჰქონდა დაკრებული".

შეურაცხყოფილი პირები საჩივარს ვერ ბედავენ ქყონიაზე. ჯერ-ჯერობით არც სხვა ვინმე შეუწუხებია თავი სიომუშას კაიკაცობის ალაგმვისათვის. სიომუშა კი უდარდელად დანავარდობს მანგლისის ორღობეებში.

მცოდნე.

სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარ მმართველობაში

საქართველო ბერლინის გამოფენაზე

აღმოსავლეთ-ევროპის შემსწავლელი საზოგადოება მიმდინარე წლის ივნისში ბერლინში აწყობს გამოფენას, რომელიც მიეძღვნება საბჭოთა კავშირის სამეცნიერო მეცნიერების მიღწევებს ოქტომბრის რევოლუციის 10 წლის თავზე.

გამოფენაზე მონაწილეობის მისაღებად მიწვეულია საქართველოს განათლების სახ. კომისარიატიც, რომელიც უკვე შეუდგა გამოფენისათვის სათანადო ექსპონატების დამზადებას.

ეთნოგრაფიული ექსპედიცია კავკასიაში

კულტურათა შედარებით შესწავლის ნორვეგიის ინსტიტუტმა განიზრახა მოაწყოს ნორვეგია - საბჭოთა ეთნოლოგიურ - ლინგვისტური შერეული ექსპედიცია კავკასიაში. ექსპედიციის მუშაობა გაგრძელდება ხუთი წელი და შეეხება, როგორც ამიერ - კავკასიას, აგრეთვე იმიერ - კავკასიის ენებსა და ეთნოგრაფიას.

ექსპედიციაში მუდმივ მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სათანადო დარგების პროფესორები.

პროფ. გ. ჩუბინაშვილის გამოკვლევები

პროფ. გიორგი ჩუბინაშვილმა საზღვარგარეთ გააკეთა მთელი რიგი მოხსენებები ქართული ხელოვნების შესახებ.

გერმანიის სამეცნიერო წრეები იმდენად დაინტერესდნენ მისი მოხსენებებით, რომ საჭიროდ სცნეს პროფ. გ. ჩუბინაშვილის გამოკვლევათა დაბეჭდვა. ვინაიდან გამოცემა მეტად ძვირი ჯდება იქაურმა გამომცემლობამ სთხოვა საქ. განათლების სახ. კომისარიატს მიიღოს მონაწილეობა ამ გამომცემლობაში, რადგან გამომცემლობას უდიდესი მნიშვნელობა ექნება არა მარტო საქართველოსათვის, არამედ მთელი საბჭოთა კავშირისათვის, საქ. განათლების კომისარიატმა სთხოვა რუსეთის განათლების სახ. კომისარს — ამხ. ლუნაჩარსკის, რათა მან საკავშირო მთავრობაში დასვას საკითხი აღნიშნულ გამომცემლობისათვის სათანადო თანხების გადადების შესახებ.

წყალდიდობის მოლოდინში

თათბირი ა.-კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოში

გუშინ, ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოში შესდგა თათბირი მოსალოდნელ წყალდიდობასთან ბრძოლის საკითხებზე. თათბირს დაესწრნენ: გეოფიზიკური ობსერვატორიის, ა.-კ. რესპუბლიკების წყალთა მეურნეობის სამმართველოთა წარმომადგენლები, მეტეოროლოგები და სხვა სამეცნიერო დაწესებულებათა პასუხისმგებელი მუშაკები.

თათბირზე მოსმენილ იქნა ა.-კ. წყალთა სამმართველოს უფროსის მოადგილის ინჟ. ჩაუგუნოვიჩის ცნობა იმის შესახებ, რომ წელს მოსული დიდი თოვლის გამო მოსალოდნელია წყალდიდობა, რომელიც განადგურებას უქადის ნათესებს და მეურნეობებს. წყალდიდობის მხრივ განსაკუთრებულ საფრთხეშია აზერბეიჯანი და საქართველო. აზერბეიჯანში მოსალოდნელია მუღანლოს ველის გადალეკვა, სადაც გაშენებულია ბამბის და სხვა ძვირფას კულტურების პლანტაციები. საქართველოში კი წყალდიდობა საფრთხეს უმზადებს მთელ რიგ მოსავლიან რაიონებს.

თათბირზე საინფორმაციო ხასიათის განმარტებით გამოვიდა გეოფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი—[illegible], რომელმაც აღნიშნა, რომ ობსერვატორიაში მიღებული ცნობებით, სურამში და სხვა მთიან ადგილებში, სადაც მოწყობილია მეტეოროლოგიური სადგურები, წელს თოვლის სიღრმე არაა ძალიან დიდი.

მოხსენების მოსმენისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ თათბირმა დაადგინა:

დაევალოს გეოფიზიკურ ობსერვატორიას გაგზავნოს მთიან ადგილებში სამი ექსპედიცია თოვლის სიღრმისა და ნალექების ხასიათის გამოსარკვევად და შესასწავლად. ექსპედიციებმა თავიანთი მუშაობა უნდა ჩაატარონ ფასანაურის, წალკის, არაგვის და ლიახვის რაიონებში და უნდა წარმოადგინონ ცნობები, თუ რა სიღრმის თოვლია მოსული წელს აღნიშნულ რაიონებში, ან გასულ წლებში როგორი თოვლი იყო.

ექსპედიციების გასაგზავნი ხარჯებისათვის თანხის გაღება ითხოვონ საქართველოში წყალდიდობასთან მებრძოლ საგანგებო კომისიას.

ექსპედიციების დაბრუნებისას დამუშავებულ იქნეს ყველა მასალები და შესდგეს წყალდიდობის მხრივ სახიფათო ადგილების სია.

აჭარისტანში

აჭარისტანის წყალთა ოლქის გამგე [illegible] ატყობინებს წყალთა მეურნეობის სამმართველოს, რომ აჭარისტანში თბილი ამინდების დადგომისთანავე მოსალოდნელია დიდი წყალდიდობა. ამ მხრივ განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს მდ. ჭოროხი და აჭარისწყალი. მთელ რიგ ბაღებს და ნათესებს მოელის წალეკვა.

საფრთხე მოელის აგრეთვე თვით ბათომსაც. წყალდიდობასთან საბრძოლველათ წინასწარი სამზადისი დაწყებულია.

დასავლეთ საქართველოში

დასავლეთ საქართველოს მაზრებიდან მოსულ ცნობებით, მდინარეთა ნაპირების გასამაგრებელი სამუშაოები ყველგან დაწყებულია. გლეხები დიდის ხალისით გამოდიან სამუშაოებზე. სათემო საზოგადოებები ინტენსიურად მუშაობენ.

სატყეო მასალის უფასოდ გაცემა

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა აცნობა წყალდიდობასთან მებრძოლ რესპუბლიკანურ საგანგებო კომისიას, რომ უკვე გაგზავნილია განკარგულება, რომ სატყეოების უფროსებმა უფასოთ დაუთმონ სატყეო მასალები წყალდიდობასთან მებრძოლ სათემო საზოგადოებებს.

ამავე დროს ადგილებიდან მიღებულია ცნობები, რომ მდინარეთა ნაპირების გასამაგრებლად სოფლებს უფასოდ გამოაქვთ ხე-ტყის მასალა.

მოელის თუ არა საფრთხე ჰიდრო-ელსადგურებს?

ხ. მ. უ. ს. საელექტროფიკაციო განყოფილების ცნობით წელს წყალდიდობისაგან საფრთხე არ მოელის თითქმის არცერთ ახლად დაწყებულ ჰიდრო-ელსადგურების სამუშაოებს.

შედარებით უფრო გართულებულია აჭარისწყალის ჰიდრო-ელსადგურის სააღმშენებლო ტერიტორიის დაცვა წყალდიდობისაგან, მაგრამ საამისოდ სამუშაოები უკვე დაწყებულია და წყალდიდობის დაწყებამდე აღნიშნული სამუშაოები უკვე დამთავრდება.

საუკეთესო კორესპონდენციების ავტორები დაჯილდოვებულნი იქნებიან ჩვენი რედაქციის მიერ

მუშათა ცხოვრება

დღეს, 24 მარტს, საღამოს 6 საათზე, შესდგება გაზ. „კომუნისტი"-ს მუშკორთა ორგანიზაციასთან არსებული კედლის გაზეთის სარედაქციო ბიუროს მორიგი სხდომა. დღის წესრიგშია: ზაჰესის კედლის გაზეთის განხილვა, ბიუროს წევრების დასწრება სავალდებულოა.

სასტიკი სასჯელი ბოროტმოქმედებს

(წერილი ხაშურიდან)

ბევრი წერილი დაიწერა სახ. დაზღვევის ხაშურის აგენტის ვასილ ჩადუნელის ბოროტმოქმედების შესახებ.

გლეხებსაც ხშირად მიუმართავთ ადგილობრივ ხელისუფლებისათვის, რომ ჩადუნელი მათ არ ეკიდება კარგად. იყო შემთხვევა, რომ ვაჟბატონი ჩადუნელი მოხსნეს სამსახურიდან და პასუხისგებაში მისცეს სახაზინო ფულების გაფლანგვისათვის.

მაგრამ უკანასკნელად ჩადუნელი რაღაც მოხერხებით შეიჭრა სახ. დაზღვევის განყოფილებაში და სწორედ მას, როგორც მეწველ ფურს. ეს საკითხი დასმული იყო ხაშურის სათანადო ორგანიზაციაში, მაგრამ რაღაც მიზეზებით საქმე მიჩუმდა. ამით გათამამებულმა ჩადუნელმა უფრო უშიშრად მიჰყო ხელი გლეხების გაძარცვას და მათი ფულების მითვისებას.

მოქ. ჩადუნელი მოხერხებული კაცია, მას უჭრის სიტყვა. „რევიზიას ისე აუხვევ თვალს, რომ ორჯერ ორის გამოცნობაც კი გაუჭირდეს ჩემთან ლაპარაკში"—ო, იკვეხდა იგი. ამ ბოროტმოქმედებას ხელს აფარებდნენ სახ. დაზღვევის ხაშურის აგენტის სხვა თანამშრომლებიც. მაგრამ ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელდა. მოქ. ჩადუნელს უმტყუნა ბედმა და გაზ. „კომუნისტი"-ს მოთხოვნით დანიშნულმა რევიზიამ გამოამჟღავნა ჩადუნელისა და „მისი ძმების" „საქმენი საგმირონი".

ამჟამად მოქ. ვასილ ჩადუნელი, მრავალი ბოროტმოქმედების გამო დაპატიმრებულია, ხოლო მისი მეგობრები: სახელმწიფო დაზღვევის ხაშურის სააგენტოს თანამშრომლები კი, ყველანი მოხსნილი არიან სამსახურიდან და მიცემული არიან პასუხისგებაში. ვიმედოვნებთ, რომ მუშურ-გლეხური სასამართლო მათ მიუსჯის შესაფერ სასჯელს.

ნემსი.

—:—

ჩვენი სალაროს მდგომარეობა

(ზაჰესი)

ზაჰესის მუშა-მოსამსახურეთა ურთიერთ დამხმარე სალარო ყველას სასაცილოდ იყო გადაქცეული. სალაროს რაც ებადა სესხის სახით მიჰქონდათ მაღალ თანამდებობის პირებს. მუშებს კი დიდი ხვეწნისა და მუდარის შემდეგ ძლივს აძლევდენ სესხს. ამიტომ 1926—27 წლის პერიოდში ურთიერთ დამხმარე სალაროს ბიუროს წევრთა შემადგენლობა გადარჩეული იქნა. მაგრამ ამით მდგომარეობა მაინც არ გამოსწორებულა. სალარო უარეს მდგომარეობაში ჩავარდა: სალაროს, როგორც თავმჯდომარე, ისე ბიუროს წევრებიც ხელგაშლილები და გულკეთილები აღმოჩნდნენ. ისინი გულუხვად აძლევდნენ სესხს, ვინც კი მოითხოვდა, მაგრამ სესხის ანაზღაურებაზე კი თავს არ იწუხებდნენ. ან რა პირით უნდა მოეთხოვათ მევალეებისათვის ფული, როდესაც თითონაც არ ფარავდნენ თავიანთ ვალებს. მაშინდელმა ბიუროს პასუხისმგებელმა წევრმა, ბაგრატ გრძელიძემ ვითომდაც სესხის სახით გაიტანა 300 მანეთი და დღესაც არ დაუბრუნებია. ასევე მოიქცნენ ბევრი სხვებიც. გავიდა ხანი. საქმე გადაეცა სასამართლოს, მაგრამ ზოგიერთ მათგანის კვალს ვერ მიაგნეს.

საკვირველია, სალაროს სარევიზიო კომისია რას აკეთებდა, რატომ არ უწევდა სალაროს რევიზიას.

თებერვალში მოხდა აღნიშნულ სალაროს ბიუროს ხელახალი გადარჩევა.

იმედია ახალი ბიურო გამოასწორებს ნაკლს და მიიღებს ყოველგვარ ზომებს ძველი ვალების ასანაზღაურებლად და საერთოდ სალაროს გასაძლიერებლად.

მ. საყვავისტუელი.

მუშაობა მოისუსტებდა

(ქუთაისის მაუდის ფაბრიკა)

ქუთაისის მაუდის ფაბრიკაში საწარმოო თათბირები მოეწყო 1924 წლის ივლისში. საწარმოო თათბირის მუშაობა საგრძნობლად ისუსტებდა:

თათბირებზე ირჩეოდა წარმოებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები; ხელმძღვანელ-ხელოსნების და ტექნიკურ ხელმძღვანელ ინჟინრების მიერ კეთდებოდა მოხსენებები სხვადასხვა საკითხებზე, მუშები ეცნობოდნენ საწარმოო განყოფილებათა მუშაობას. მოხსენებებიდან ირკვეოდა, თუ როგორია საწარმოო მუშაობის მსვლელობა, შრომის ნაყოფიერება, შრომის დისციპლინა და სხვა.

მოხსენებების შემდეგ შემოდიოდა წინადადებები, მაგრამ ისინი არ შეიცავდა კონკრეტიული ზომებს ნაკლულოვანებათა გამოსასწორებლად. თათბირებზე უმთავრესად ირჩეოდა წარმოების უარყოფითი მხარეები, როგორიც არის მაგალითად: ნედლი მასალის უვარგისობა ნართის შეუფერებლად დართვა, ნაჭრევში ზადები, მატყლის გაბნევა, სასარგებლო დანაკლისების მოუცილებლობა და სხვა.

თათბირებზე ისმებოდა წინა თათბირზე განხილული საკითხები. ნაკლის გამოსასწორებლად კი არავინ ზომებს არ ღებულობდა. ყველა ეს ხდებოდა არა იმიტომ, რომ ფაბრიკაში სათანადოთ ვერ აფასებდნენ თათბირების როლსა და მნიშვნელობას, არამედ უმთავრესად იმიტომ, რომ სწორედ ვერ მივუდექით ამ მუშაობას და ვერ გაუწიეთ მას სათანადო ხელმძღვანელობა, რადგან საწარმოო თათბირების მუშაობა შედარებით ახალია და თანაც რთული. ამიტომ იგი მოითხოვს მეტად დაკვირვებულ მუშაობას.

ამ ნაკლის გამოსასწორებლად და მომავალში საწარმოო თათბირების მუშაობის გეგმიანად საწარმოებლად, საჭიროა თათბირებზე გასარჩევად წამოყენებული საკითხები წინასწარ განხილული და გარჩეული იქნეს საწარმოო კომისიებზე, სადაც აგრეთვე უნდა შემუშავდეს სათანადო კონკრეტიული ღონისძიებანი, ამა თუ იმ საქმის შესასრულებლად.

ეს გააძლიერებს მუშა-მოსამსახურეთა ინტერესს საწარმოო თათბირების სხვადასხვა გამოგონებათა საქმეში, რაც დიდ სარგებლობას მისცემს წარმოებას.

ალ. შეწველია.

დაუდევრობის ნიმუში

(სად. გურჯაანი)

თვენახევარია, რაც სად. გურჯაანში უმოქმედოთ სდგას ორთქლმავალი № 4403. ხსენებულ ორთქლმავალს გაუფუჭდა მარცხენა მხრის წყალსაქაჩავი (ინჟექტორი). საყუდის უფროსმა კი მოახსნევინა მარჯვენა მხრის ინჟექტორი და გაგზავნა თბილისის საყუდში შესაკეთებლად. ორი კვირის შემდეგ გამოირკვა, რომ უნდა გაეგზავნათ მარცხენა ინჟექტორი და არა მარჯვენა. ასეთმა დაუდევრობამ საგრძნობი ზარალი მიაყენა რკინის გზას.

რას იტყვის ამაზე თბილისის საყუდის ადმინისტრაცია? მუშკორი შავხოფელი.

რკინის გზის სტამბაში

ა.-კ. რკ. გზ. სტამბაში არის 4 განყოფილება, სადაც ამჟამად ცალ-ცალკე წესით სწარმოებს მუშაობა:

კანტორის თანამშრომლები თვიურად იღებენ ჯამაგირს, სამანქანოში რვა საათს მუშაობენ, საკაზმავეში შვიდ საათს და ასოთამწყობებს კი 6 საათს. ისე, რომ ერთ დაწესებულებაში ოთხნაირი ფორმით სწარმოებს მუშაობა, გარდა ამისა, არის საქმე, რომელიც ორ საათში გაკეთდება და მუშას იწერება რვა საათი. მეორე საქმე კი რვა საათის მუშაობა სჭირდება და ექვსი საათის მეტი არ დაიწერება. ამ არანორმალურ მდგომარეობას ყურადღება უნდა მიაქციოს პროფკავშირმა და შრომის დაცვის ინსპექტორმა.

ხ—ლი.

მუშათა ცენტრალურ კლუბში

ხუთშაბათს, 22 მარტს, მუშ. ცენტრ. კლუბში ადგილობრივმა დრამწრემ დადგა კოზნიევის რევოლუციონური დრამა „პროვოკატორი". პიესაში დიდი ყურადღებით არის ასახული მუშების ბრძოლა კაპიტალისტების წინააღმდეგ: რვა საათის სამუშაო დღის მოთხოვნა, კაპიტალისტების ვერაგული პოლიტიკის შეცვლა და საერთოდ ბრძოლა პროლეტარიატის განთავისუფლებლად. პიესა საუცხოვოთ იქნა დადგმული. არ არის არც ერთი ადგილი, რომელიც მაყურებლისათვის გაუგებარი იყოს. უნდა ითქვას სიმართლე, რომ ამ მხრივ მოლოდინს გადააჭარბა. იგივე ითქმის ახალგაზრდა სცენის მოყვარეებზეც. ისინი მოხდენილად და შესაფერისად ასრულებდნენ თავიანთ როლებს. ეტყობა რეჟისორის დიდი მუშაობა დასჭირებია სცენის მოყვარეების მოსამზადებლად და საერთოდ პიესის მწყობრად ჩასატარებლად. განსაკუთრებით შთაბეჭდილება დასტოვა მუშათა თეატრის მსახიობის შ. დავითაშვილის თამაშმა.

ახალგაზრდა სცენის მოყვარეებიდან აღსანიშნავია: გრ. კამკამიძე, ი. საყვარელიძე, გ. ელისაშვილი და დაოშვილი. კარგები იყვნენ ეპიზოდიურ როლებში ფურცელაძე და უ. ახობაძე.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ ასეთი წარმოდგენის დადგმა მუშ. ცენტრ. კლუბში დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

სასურველია ასეთი შინაარსიანი და მხატვრული პიესები ხშირად იდგმებოდეს მუშათა კლუბებში.

ალ. გვ—ძე.

—:—

მუშკორთა წერილებიდან

კომისიების გამოყოფა. თბილისის საქონლის სადგურის ადგილკომმა გამოჰყო: საწარმოო და ქრთამთან მებრძოლი კომისიები, რომლებში ჩაბმული არიან [illegible] მუშები.

ხიდისთაველი.

აღადგინეთ თანამდებობაზე. რკინისგზის მეშვიდე უბნის უფროსი მეანგარე მოქ. ნოდია გაწვეული იყო წითელ არმიაში. ამჟამად იგი განთავისუფლებულია წითელ არმიიდან, მაგრამ საერთო წესის თანახმად, მას არ აძლევენ თავის ძველ სამუშაოს. საუბნო კომიტეტო, აღადგინე თავის თანამდებობაზე.

მომუშავე.

გაათბეთ კლუბი. (ქუთაისი). ქუთაისის საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კლუბი საყინულეთ არის გადაქცეული. კლუბი [illegible] არ თბება, რის გამო წრეებს აუტანელ სიცივეში უხდებათ მუშაობა. გამგეობავ გაათბე კლუბი.

ნ. ქუთაისელი.

გაზეთებს არ ღებულობენ. საქ. ხელ. მუშ. კავშირთან არსებული აღმოსავლეთის მემუშაკეთა კოლექტივი, რომელიც აერთიანებს 70 წევრს, ძველ ბინაზე ღებულობდა გაზეთებს, მაგრამ ახალ ბინაზე არც ერთი გაზეთი არ მოსდის. კავშირმა უნდა განაახლოს გაზეთების გზავნა აღნიშნულ კოლექტივში.

მუშკორი მ. გარუნი.

„კომუნისტი" პასუხს ელის

ორი თვე სრულდება, რაც „კომუნისტი"-ს რედაქციამ გადაგზავნა გაზეთის სხვადასხვა ნომრებიდან ამონაწერი წერილები შემდეგ დაწესებულებებში: რკინის გზის თბილისის საუბნო კომიტეტს ამონაჭრები გაზეთის შემდეგ ნომრებიდან: 9, 30, 22, 21, 23 და 21. რკინის-გზის გამგეობას №№ 5, 10 და 16. საგზაო კომიტეტს—№ 15, ა. კ. რკინის გზის საგზაო მომხმარებელ საზოგადოების („ზაკტპო"-ს) გამგეობას № 22 ლითონ-ტრესტის გამგეობას—№ 11, რკინის გზის სამტრედიის საუბნო დამზღვევ სალაროს—№ 28; საბჭ. და სავაჭრო მუშაკთა პროფკავშირის ც. გამგეობას—№ 23; რკინის გზის სამასალო დარგს—№ 2; რკინის გზის საავადმყოფოს დირექტორს № 9; მთავარ სახელოსნოს ადგილკომს—10 და საქართველოს სატყეო ტრესტის გამგეობას—10.

დღემდე არც ერთ დაწესებულებიდან პასუხი არ მიგვიღია. „კომუნისტი" ელის პასუხს აღნიშნულ დაწესებულებებიდან.

სააღმშენებლო სეზონის წინ

სააღმშენებლო სამუშაოების გაიაფება

მიმდინარე წლის გაზაფხულის სააღმშენებლო სეზონი უკვე მოახლოვებულია. უმაღლეს ორგანოებს შემუშავებული აქვთ მტკიცე დირექტივა აღმშენებლობის გაიაფების შესახებ.

— რა ღონისძიებებია დასახული ამ.-კავკასიაში სააღმშენებლო სამუშაოების გაიაფებისათვის?

ჩვენი თანამშრომლის ამ შეკითხვაზე პასუხი გასცა ა.-კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიის სატრანსპორტო-სააღმშენებლო სექციის თავმჯდომარე ამხ. სამოილოვმა.

— აღმშენებლობის გაიაფებისათვის,—სთქვა ამხ. სამოილოვმა,—საკავშირო ს. მ. უ. საბჭოს მიერ მთელი საბჭოთა კავშირისათვის შემუშავებულია მთელი რიგი ღონისძიებები და შრომისა და თავდაცვის საბჭოში შეტანილია სათანადო დადგენილების პროექტი.

ამ დღეებში ეს პროექტი განიხილეს ა.-კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიაში.

პროექტით გათვალისწინებულია ფასების შემცირება ყველა ძირითად სააღმშენებლო მასალებზე შემდეგის რაოდენობით: ხე-ტყეზე—4, პროც., აგურზე—15 პროც., კირზე და ალებასტრზე—10 პროცენტით და სხ.

ფასების შემცირების მიზნით ადგილობრივმა ორგანოებმა ზედმიწევნით უნდა გადაათვალიერონ კალკულაცია, შეამცირონ ზედნადები ხარჯები და გაატარონ წარმოების რაციონალიზაცია. ამასთან ერთად დაკლებულ უნდა იქნეს ფასები აგრეთვე დასამზადებელ მასალებზე (სილა, ხრეში, ქვა და სხვა) არა ნაკლებ 20 პროცენტით.

პროექტის ამ უკანასკნელ მუხლს ამ.-კავკასიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმდენად, რამდენადაც ჩვენში ქვას ფართოდ იყენებენ აღმშენებლობაში.

ამასთანავე გათვალისწინებულია გასაცემ ფასების გადასინჯვა ხე-ტყის მასალაზე და გადაზიდვა ფასების შემცირება ცემენტზე, აგურზე, კირზე, ხე-ტყეზე, და რკინაზე, (საკავშირო მასშტაბით) და ა.-კავკასიაში ქვაზედაც—8—10 პროცენტით.

აღმშენებლობაში ჩაბმულ მუშა-ხელის რაციონალურად გამოყენებისა და ხარჯების შემცირების მიზნით პროექტით გათვალისწინებულია ღონისძიებები, რომელთა ცხოვრებაში გატარებით შესაძლებელი გახდება შრომის ნაყოფიერების მოწესრიგება.

მოცემულია აგრეთვე დირექტივები სააღმშენებლო სამუშაოების რაციონალიზაციისა და შენობების პროექტების შედგენის გაუმჯობესების შესახებ.

ამგვარად შექმნილია ყველა შესაძლებლობანი იმისათვის, რომ მიღწეულ იქნეს დასახული მიზნები აღმშენებლობის გაიაფების საქმეში.

ყველა ორგანოებს რომლებიც აწარმოებენ სააღმშენებლო მუშაობას, ვალდებულნი არიან შეასრულონ დირექტივა სააღმშენებლო ინდექსის—15 პროცენტით შემცირების შესახებ. ასეთ შესაძლებლობა მათ მიეცემათ.

თბილისის მუშკოოპის რწმუნებულთა კრება

დღეს, საღამოს 6 საათზე, იხსნება თბილისის მუშკოოპის რწმუნებულთა მორიგი წლიური კრება.

კრების დღის წესრიგში სდგას: „ცეკავშირის", მუშკოოპის გამგეობის, საბჭოს და სარევიზიო კომისიების მოხსენებები.

ამასთანავე კრება განიხილავს მუშკოოპის 1927—28 წლის სამუშაო გეგმას, გაანაწილებს მუშკოოპის 1926—27 წლის მოგებას, განიხილავს საკითხებს ზევით მდგომ კოოპერატიულ ორგანიზაციების საპაიო გადასახადის, მუშკოოპთან რწმუნებულთა სექციის დაარსების შესახებ, განიხილავს სადუქნო კომისიების დებულებას და მოისმენს მოხსენებას წრევანდელ რწმუნებულთა გადარჩევის კამპანიის შედეგების შესახებ.

დასასრულ მოხდება მუშკოოპის მმართველ ორგანოების ხელახალი არჩევნები.

რწმუნებულთა კრება გაიხსნება მუშკოოპის შენობაში.

ჩაის პლანტაციების გაშენება დაიწყო

ამჟამად მთელს აჭარისტანში მიმდინარეობს წინასწარი გაცხოველებული მუშაობა ჩაის პლანტაციების გასაშენებლად. ჩაის პლანტაციების გაშენების კამპანიის გეგმიანად ჩატარებისათვის, აჭარისტანის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ გამოყოფილია სპეციალური კომისია. პირველ რიგში კომისიის მიერ მიღებულ იქნა ზომები, რომ ჩაის პლანტაციების გასაშენებლად გლეხობისთვის გადადებული მიზნობრივი სესხი ჩაის მეურნეებს რიგს გარეშე მიეცეს თითოეული დესეტინა ჩაის პლანტაციის გასაშენებლად გლეხს ეძლევა 400 მანეთი. ამ თანხიდან წელს გლეხი მიიღებს 275 მანეთს და სამ ფუთს ჩაის თესლს, რომლის ღირებულება 57 მანეთს უდრის. მეორე და მესამე წელიწადს ამავე ფონდიდან გლეხს მიეცემა 34-35 მანეთი. თესვის კამპანიისათვის გამოყოფილ სპეციალურ კომისიის დახმარებით, აჭარისტანის ჩაის მეურნეობის რაიონებში ეწყობა გლეხთა არტელები და კოლექტივები, რომელთაც მიზანს შეადგენს საერთო ძალით ჩაის პლანტაციების გასაშენებელ მიწის დამუშავება, შეღობვა და თესვის გეგმიანი ჩატარება.

მიმდინარე საგაზაფხულო სეზონში ჩაის პლანტაციების სივრცე გლეხურ მეურნეობაში გადიდებულ უნდა იქნეს 450 დესეტინით, აქედან ქობულეთის მაზრაში 200 დესეტინით, და ბათომის მაზრაში 200 დესეტინით. მთელი მუშაობა უნდა დამთავრდეს მაისისათვის.

ამჟამად დასათესად მომზადებულია ქობულეთის მაზრაში ასი დესეტინა, ბათომის მაზრაში 50 დესეტინა. გეგმის სავსებით განსახორციელებლად გადიდებულია ტექნიკურ საინსტრუქტორო პერსონალი რამდენიმე სპეციალისტით. მიღებულია აგრეთვე ზომები ჩაის რაიონების მოსახლეობის უზრუნველსაყოფად სიმინდით და ხორბლეულით, რომელიც პლანტატორებს მიეცემათ მტკიცე და დაკლებულ ფასებში. უკანასკნელ ხანებში პლანტაციების გასაშენებლად წარმოებულ მუშაობას ხელი შეუშალა უამინდობამ.

ავიაქიმში

ავიაქიმიური რაზმი

ქ. სიღნაღში თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციასთან შესდგა ავიაქიმიური რაზმი, რომელშიაც ირიცხება 200 კაცი. რაზმი სისტემატიურად აწარმოებს სამხედრო ხასიათის მუშაობას ადგილობრივ სამხედრო ერთეულის მეთაურთა ზედამხედველობით.

კანდიდატები სამხედრო-ტექნიკურ სკოლაში გასაგზავნათ

მოკლე ხანში დაიწყება მიღება სამხედრო საჰაერო ძალების სამხედრო-ტექნიკურ სკოლაში, რომელიც ამზადებს სამხედრო და სამოქალაქო ავიაციის მფრინავებს. საქ. თავდაცვა-ავიაქიმი აწარმოებს კანდიდატების შერჩევას სკოლაში გასაგზავნად. საქ. ავიაქიმს [illegible] აქვს სკოლაში 1 ადგილი.

ავიაქიმის მანევრები

საქ. ავიაქიმში მიღებული ცნობების თანახმად, ადგილებზე სწარმოებს ავიაქიმ რაზმების მანევრები, რომლებიც ტარდება დიდის ხალისით. მანევრებში მონაწილეობას ღებულობენ ქალების სანიტარული და პირველი დახმარების წრეები.

ბინების დასაცავად

ჯარიმა ბინებისადმი უდიერად მოპყრობისათვის

საბინაო ფონდის სათანადოდ დაცვისათვის საჭირო ღონისძიებათა გასაძლიერებლად საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა წინადადება მისცეს საქალაქო საბჭოებს და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს გამოსცენ სავალდებულო დადგენილება, რომლის ძალითაც ბინის ცალკე მოსარგებლეს (და მქირავებელს) დაედება ჯარიმა მის მიერ დაქირავებული სადგომის მიმართ უდიერი მოპყრობისათვის.

ამ ჯარიმას, სახლის მმართველის ან კომუნალური ორგანოს განცხადებისამებრ, დაადებს ადმინისტრაციული განყოფილება ან მისი მნაცვლე ორგანო, ჯარიმის გადაწყვეტის დროს მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს დასაჯარიმებელი პირის ქონებრივი მდგომარეობა, ხოლო, ყოველ შემთხვევაში, პირველად დადებული ჯარიმა არ უნდა აღემატებოდეს 10 მანეთს და მეორედ დადებული 25 მანეთს.

ამ დადგენილების თანახმად გამოცემული სავალდებულო დადგენილების ძალით გადახდევინებული ჯარიმა ჩაირიცხება საბინაო მშენებლობის საერთო საქალაქო ფონდში.

ჯარიმის გადახდევინება არ შეიძლება, უკეთუ იმ პირის წინააღმდეგ, ვინც პასუხს აგებს სადგომის მიმართ არა სათანადო მოპყრობისათვის, აღძრულია სარჩელი მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ.

წინადადება მიეცა საბინაო კოოპერაციის კავშირებს დროგამოშვებით გამოიკვლიონ ხოლმე მათ შედგენილობაში შესული საბინაო და საბინაო-საიჯარო ამხანაგობანი და იმავე დროს გამოარკვიონ სადგომების მიმართ უდიერი მოპყრობის ფაქტები.

იუსტიციის სახალხო კომისარიატს დაევალა მისცეს სასამართლო ორგანოებს დირექტივა, რათა მტკიცედ იქნეს შეფარდებული სისხლისა და სამოქალაქო სამართლის კოდექსების ის მუხლები, რითაც გათვალისწინებულია ბინის მიმართ უდიერ მოპყრობის შედეგები, კერძოდ მოქალაქეთა გამოსახლება ბინიდან ბინის მიმართ უდიერი მოპყრობისათვის.

შეჯიბრი სროლაში

საქ. თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების თბილისის საბჭომ „დინამო"-ს მოედანზე მოაწყო ქალთა შეჯიბრი სროლაში, რომელშიაც მიიღო მონაწილეობა 60-ზე მეტმა ქალმა. სროლა სწარმოებდა „მელკ"-ს სისტემის თოფებით და მაუზერებიდან 50 ნაბიჯის მანძილზე. შეჯიბრზე წარმოდგენილ იქნენ 1-ლი, მე-3 და მე-4 რაიონები.

ჯგუფურ შეჯიბრში პირველობა ხვდა მეოთხე რაიონის ქალთა რაზმს. (228 მოხვედრა 300-ან). რაზმმა ჯილდოთ მიიღო თავდაცვა-ავიაქიმის თბილისის საბჭოს გარდამავალი პრიზი.

ინდივიდუალურ შეჯიბრში პირველობა ხვდა ბერაძეს, (43 მოხვედრა 50-დან). ჯილდოთ მას მიეცა საათი. მეორე ადგილი დაიკავა მოლოვამ (42 მოხვედრა 50-დან), მესამე კი მიხაილოვამ (41 მოხვედრა 50-დან).

სასროლო სპორტის გასაძლიერებლად თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებმა თავის სამუშაო გეგმაში შეიტანეს შეჯიბრების მოწყობა სროლაში. ამ მიზნით ავიაქიმის საბჭოს მიერ გამომუშავებულია სპეციალური დებულება, რომელიც დაეგზავნა ადგილებს.

ავიაქიმის ადგილობრივი ორგანიზაციები მომარაგებულ იქნებიან სასროლო იარაღით, ხელსაწყოებით და ვაზნებით.

შეჯიბრს სროლაში ფართო ხასიათი მიეცემა გაზაფხულიდან, როდესაც შესაძლებელი იქნება შეჯიბრის მოწყობა ქალაქ-გარეთ და მინდვრად.

მიღებულ იქნება აგრეთვე ზომები ქალების ჩასაბმელად სასროლო საქმეში სპეციალური ქალთა სასროლო წრეების და რაზმების მოწყობით.

ქუთაისში

ინჟინერ-ტექნიკოსთა საგანგებო კრება

12 მარტს, პროფბიუროს დარბაზში შესდგა ინჟინერ-ტექნიკოსთა საგანგებო კრება. დღის წესრიგში დასმული იყო სამი საკითხი: ა) მოხსენება დონბასში ინჟინერ-ტექნიკოსთა შორის აღმოჩენილ შეთქმულების შესახებ: ბ) ინფორმაციული მოხსენება ქუთაისის წყალსადენის შესახებ, და გ) ინფორმაციული მოხსენება რიონგესის შესახებ.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ინჟინერ ს. მამაჯანოვმა, რომელმაც გააშუქა დონბასში აღმოჩენილ ეკონომიურ კონტრ-რევოლუციონური ორგანიზაციის დამღუპველი საქმიანობა.

მომხსენებელმა მოუწოდა კრებას—ენერგიული პროტესტი გამოსთქვას ამ საზიზღარ შეთქმულების გამო და ქვეყნის გასაგონათ დაჰგმოს ეს აღმაშფოთებელი შეთქმულების მონაწილენი.

კრებამ ერთსულოვანი პროტესტის ნიშნად ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

„საქართველოს საინჟინერო-ტექნიკურ ძალთა სასექციათაშორისო და ამიერ-კავკასიის რკინის გზის ინჟინერ-ტექნიკოსთა ბიუროების წევრთა საგანგებო საზოგადო კრება, რომელმაც მოისმინა საინფორმაციო მოხსენება დონბასში აღმოჩენილი ინჟინერ-ტექნიკოსთა ჯგუფის ეკონომიური კონტრ-რევოლუციონური შეთქმულების შესახებ, ღრმა აღშფოთებით აღნიშნავს ინჟინერ-ტექნიკოსთა შორის ისეთ პირთა არსებობის სამარცხვინო ფაქტს, რომელთაც მიზნად დაუსახავთ მთელ მსოფლიოში ერთად-ერთი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს აღმშენებლობის შეფერხება იმ დროს, როდესაც ს. ს. ს. რ. საინჟინერო-ტექნიკური პერსონალი მთელის თავის ძალ-ღონესა და ცოდნას სოციალისტური მშენებლობისათვის მუშაობას ახმარს,—დონბასის ინჟინერთა და ტექნიკოსთა ერთი ჯგუფის შეთქმულება წარმოადგენს საზიზღარ ცდას და კაპიტალისტთა ინტერესებისათვის სამსახურის გასაწევად, რომელნიც ძველი წესწყობილების აღდგენას კიდევ ოცნებობენ. კრება დარწმუნებულია, რომ ამ შეთქმულების მონაწილენი ღირსეულ სასჯელს მიიღებენ. ინჟინერ-ტექნიკოსთა კადრი მუშათა კლასთან ერთად, გაორკეცებული ენერგიით განაგრძობენ მუშაობას სამშენებლო საწარმოო ფრონტზე".

მეორე საკითხის შესახებ ინფორმაციული მოხსენებით გამოვიდა ინჟინერი ნ. თუმანიშვილი, რომელმაც განაცხადა, რომ წყალსადენის პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა უკვე დამტკიცებულია. წყალი გამოყვანილი იქნება მდინარე რიონიდან, სამხედრო ოსეთის გზის მეორე ვერსზე, სადაც გაიმართება წყალსაგუბარი; წყალსაწმენდი აუზი მოეწყობა მწვანე-ყვავილაში. სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვით წყალსადენისათვის საჭირო იქნება სულ 1.850.000 მან. ამ თანხიდან 1.250.000 მანეთი გამოთხოვილია გრძელვადიანი სესხის სახით სპეციალური ფონდიდან; დანარჩენი კი უნდა დაიფაროს ადგილობრივ საშუალებებიდან. ამჟამად აღმასკომს აქვს 400—500 ათასი მანეთი, რაც ამ წლის განმავლობაში საკმაო იქნება; მომავალი საოპერაციო წლიდანვე, იმედი გვაქვს, ცენტრი მოგვცემს აღთქმულ სესხს და მაშინ უფრო სწრაფი ნაბიჯით განვაგრძობთ მუშაობას.

მესამე საკითხის შესახებ ინფორმაციულივე მოხსენება გააკეთა ინჟინერმა ბ. მიქელაძემ. მან მოკლედ გააცნო კრებას რიონჰესის პროექტი,—სად, რა, როგორ და რამდენი ხნის განმავლობაში უნდა გაკეთდეს, დღემდი რაა გაკეთებული, ამჟამად რა მდგომარეობაშია მუშაობა და სხ.

მომხსენებელს მისცეს რამდენიმე შეკითხვა, რომელზედაც მან დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა.

დონ-ქალიანი.

ქრონიკა

ამიერ-კავკასიის გაზეთების რედაქტორების თათბირი

ოთხშაბათს, 28 მარტს, საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის სამხ. კომიტეტი იწვევს ამიერ-კავკასიის გაზეთების რედაქტორების თათბირს. დღის წესრიგშია შემდეგი საკითხები: 1) ამ.-კავკ. ს. ფ. ს. რ. პერიოდული პრესის მორიგი ამოცანები, 2) გაზეთ „ვიშკა“-ს რედაქციის მოხსენება მუშაობის პერსპექტივების შესახებ, 3) ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს მოხსენება, 4) რეპორტაჟის შესახებ, 5) გაზეთების და ჟურნალების ლიტერატურული და კრიტიკო-ბიბლიოგრაფიული განყოფილებების შესახებ, 6) ბეჭდვითი სიტყვის საქმეთა კომიტეტის ცნობა თავისი მუშაობის გეგმის შესახებ.

ინჟ. ბ. ჭიჭინაძის არჩევა

სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის საბჭომ პროფესორად აირჩია ინჟინერი ბესარიონ ჭიჭინაძე, „ჰიდროტექნიკურ შენობათა“ კათედრაზე ამავე ფაკულტეტის საბჭომ დოცენტებად აირჩია ინჟ. გიორგი წულუკიძე და გაბუნია. პირველი „სამთო ხელოვნებაში“, მეორე—„მადნეულთა ბუდობების“ კათედრაზე.

საჩუქრები პოლიტექნიკურ ფაკულტეტს

სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკურმა ფაკულტეტმა საჩუქრად მიიღო: 1) ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოსაგან ა. კ. ზოგიერთ მდინარეებზე ჰიდრომეტრიულ დაკვირვებების მასალები; 2) ბორჯომის ქარხნის გამგე ინჟ. ლანტგამერისაგან აზბესტის ნიმუშები და 3) ქუთაისის აღმასკომისაგან ქუთაისის წყალსადენის პროექტი.

პროფ. ზავრიევის გამოგონება

ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტის პროფესორმა ზავრიევმა გამოიგონა ორი ახალი პრესი, ერთი ლითონის გამკვეთი, და მეორე—ქვის მექანიკურად სამტვრევი.

ორივე პრესის მექანიზმი მეტად მარტივია და მათი დამზადება შეიძლება ადგილობრივ თბილისის ქარხნებში. თითო პრესის დამზადება დაჯდება 700 მანეთი, უცხოეთიდან გამოწერილი უბრალო პრესი კი ჯდება 7000 მანეთი.

პროფ. ზავრიევის გამოგონილ ერთ-ერთი პრესის დამზადებას უკვე შეუდგენ რკინის გზის თბილისის მთავარ სახელოსნოებში.

ოთახები კურორტებზე

საკურორტო სამმართველო აცხადებს, რომ რესპუბლიკანური მნიშვნელობის კურორტებზე უკვე დაწყებულია ოთახების გაქირავება. მარტო აბასთუმანში ჯერ ჯერობით დაზევებულია 100-მდე ოთახი. ოთახების დასაქირავებლათ განცხადებები მოდის საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებიდან.

განცხადებების მიღება გრძელდება.

თბილისის აღმასკომში

◆ **დახმარება მწერალთა კავშირს.** თბ. აღმასკომმა დაადგინა მწერალთა კავშირს აპატიოს კომუნალური დავალიანება 550 მან. რაოდენობით.

◆ **სახლების ჩამორთმევა.** მოუვლელობის გამო დაზიანებული ოსიპოვის შესახ. № 9 და გრიბოედოვის ქუჩაზე № 176 მდებარე სახლები თბ. აღმასკომის დადგენილებით ჩამოერთვათ მეპატრონეებს.

◆ **სკოლა.** სოფ. ავჭალის სკოლის საჭიროებისათვის აღმასკომმა გადასდო 200 მანეთი.

◆ **პური სოფლებს.** თბილისის ახლო მდებარე სოფლებს შორის გასანაწილებლად თბ. აღმასკომმა შეიძინა 1 ვაგონი პურის ფქვილი.

◆ მცხეთაში კინო-თეატრის მოსაწყობად თბ. აღმასკომმა გადასდო 800 მანეთი.

◆ მანგლისის ელსადგურის გასაფართოებლად გადაიდო 1600 მანეთი.

სახ. უნივერსიტეტში

◆ **საზოგადო კრება.** შაბათს, 24 მარტს, დღის სრულ 12 საათზე სახ. უნივერსიტეტის მთავარ შენობის 1-ლ აუდიტორიაში დანიშნულია სახ. უნივერსიტეტის თანამშრომელთა—განათლების მუშაკთა კავშირის წევრთა საზოგადო კრება. ადმინისტრაციის მიერ თანამშრომლები განთავისუფლებული იქნებიან სამუშაოდან 12 საათიდან საზოგადო კრებაზე დასასწრებლად.

◆ **სტუდენტთა სასადილოსთან** პროლეტ. სტუდენტთა ბიურომ გახსნა საპარიკმახერო სტუდენტებისათვის.

სხვადასხვა

◆ **კ. მარქსის „კაპიტალი“.** სახელგამი შეუდგა კ. მარქსის „კაპიტალის“ ქართულ ენაზე გამოცემას. „კაპიტალი“ გამოვა ორ ტომად პირველი ტომი მიმდინარე წელში.

◆ **თბ. აღმასკომის განათლების განყოფილებასთან** არსებულ საზოგადოებათ-მეცნიერების კაბინეტში დღეს, საღამოს 7 ს., შესდგება საზოგადოებათ მეცნიერების მასწავლებელთა საერთო კრება, რომელზედაც მოხსენებას წაიკითხავს პროფ. ნათაძე.

◆ **მატყლის დამზადება.** „სოფლის კავშირმა“ ქუთაისის მაუდის ქარხნისათვის დაამზადა 8000 ფუთი თუშური მატყლი.

◆ **წყალდიდობასთან** მებრძოლმა რესპუბლიკანურმა კომისიამ წყალდიდობის წინააღმდეგ ზომების მისაღებათ მაზრებს დაუგზავნა 50 ათასი მანეთი.

◆ **„რემედასი“.** გამოვიდა რემედასის საქ. ცენტრ. კომიტეტის ჟურნალი „რემედას“-ის მორიგი მე-3 ნომერი

◆ **საქ. სასოფლო-სამეურნეო საზ-ბაში** კვირას, 25 მარტს დილის 11 ს. გერმანიიდან ახლად დაბრუნებული სპეც. ლ. კალანდაძე გააკეთებს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „ჰაეროპლანების გამოყენება მავნე მწერებთან ბრძოლაში.

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები.** ზაგიშმალიდან—ტერ-ოგანესოვს, ბაქოდან—ბუსოვას, ტყიბულიდან—თაქთაქიშვილს, სამარკანდიდან—ესიანოვს, ზუგდიდიდან—ლაგვილავას, ონიდან—ოქროპირიძეს, ზაქათალიდან—ანიევს, ლენინაკანიდან—აბაზაძეს.

ხელოვნება

სახელმწიფო აკადემიური ოპერა

„რიგოლეტო“ მუს. ვერდის

ბარიტონ დ. გოლოვინის მეორე გამოსვლა

ოპერა „რიგოლეტო“ ჩვენ რამოდენიმეჯერმე მოვისმინეთ ამ სეზონში და ჩვენ მიერ უკვე შეფასებულია როგორც ჩვენი ოპერის დასის შემოქმედება ამ ოპერაში, ისე სხვადასხვა ნიჭიერ მომღერალთა გამოსვლა რიგოლეტოს როლში. ამიტომ ა.-წ. მარტის 22 წარმოდგენის მთავარ ინტერესს შეიცავს მხოლოდ დ. გოლოვინის სცენიური და ვოკალური შემოქმედება.

გოლოვინის მიერ რიგოლეტოს სცენიურად განხორციელებაში მოსჩანს ერთგვარი თავისებურობა; სჩანს, რომ მომღერალს არ აკმაყოფილებს არც ტრადიციულად მიღებული გრიმი რიგოლეტოსი, არც ჩვეულებრივი მიზანსცენა (სცენაზე მსახიობთა შორის სცენიური ურთიერთობის დანაწილება). საკამათო საკითხია, თუ რას უნდა მიეცეს უპირატესობა—სცენაზე მიღებულს, თუ გოლოვინის მიერ მოსაზრებულს, უეჭველია მხოლოდ ის, რომ გოლოვინს რიგოლეტოს როლის სცენიურ მხარეში შეაქვს ახალი სიტყვა, და ამ სიტყვას ასაბუთებს მიმიურად და ჟესტის გამომეტყველებით ისე, რომ ბადებს როლის მოფიქრებით ძლიერ შთაბეჭდილებას. ამიტომ გოლოვინის სცენიური შემოქმედება რიგოლეტოში უნდა ჩაითვალოს გამართლებულად.

რაც შეეხება გოლოვინის ვოკალობას, მასში საჭიროა განცალკევება ორი დამახასიათებელ მომენტისა, რომელთა შორის ერთი შეეხება გოლოვინის ვოკალობას, მეორე—მის მიერ მიღებულ სასიმღერო ტეხნიკას, ე. ი. სკოლას. ბუნებრივი სიმდიდრე გოლოვინის ხმისა სრულიად უდავოა, ხმა აქვს მას მრავალ-ბგეროვანი, მშვენიერი ელფერის და იშვიათი სიმძლავრის. თუ ამას დავუმატებთ, რომ სასიმღერო აზროვნება გოლოვინს აქვს კარგად განვითარებული, სიტყვათა გამოთქმა (დიქცია) ღრმად მკაფიო და განცდის გამომეტყველი — ცხადია, რომ ცალკე სასიმღერო ფრაზები სტოვებენ აუდიტორიაზე დიდ შთაბეჭდილებას.

მაგრამ ამასთან წამოიჭრება ის გაუგებრობა, რომელსაც ბადებს გოლოვინის მიერ ხმის მოხმარებითი ტეხნიკა: ხმოვანების ცენტრის და მაღალი ფენების ხასიათი არ ქმნის ერთიან შთაბეჭდილებას და ამ შთაბეჭდილების განცალკევება იწყება მაშინ, როდესაც მომღერლის ხმა გადალახავს ხმოვანების ცენტრს. ამ შემთხვევაში იტალიანური უმაღლესი სკოლა ანთავისუფლებს მომღერლის გულმკერდს ბგეროვან ძალდატანებისაგან, აქცევს ბგერათა ტალღის კონცენტრს ზევით, თავის კეფისაკენ და აქედან ანაწილებს პირის სივრცის გადიდებით და შემოკლებით ბგერათა სიმაღლის და სიმძლავრეს. ამ შემთხვევაში პირი და ტუჩები გარდაიქცევიან არა მარტო რეზონატორად, არამედ სარეგულიაციო მანქანად, ბგერა არ არის დაყრდნობილი მხოლოდ ყელის კვანძებზე და ყანყრატოზე, იბადება ბგერათა თავისუფალი წარმოშობა, ინახება მათი ელფერი და ერთნაირი ხასიათი ყველა ფენებში. ამ შემთხვევაში სიმღერა არ დაღალავს მომღერალს და ფიზიკური დაღლილობა არ მოქმედობს მის ფენების სივრცეზე და სიმძლავრეზე, არამედ მხოლოდ ელფერზე. ის გარემოება, რომ გოლოვინმა ოპერის პირველ მოქმედებაში გამოიჩინა მშვენიერი ხმოვანება, ბოლო მოქმედებებში კი, მაგალითად მე-3-ში, მას დაეტყო ცხადი დაღლილობა და მის ხმის ზემო ფენებმა შესცვალა თავისი ბუნებრივი ხასიათი. სივრცე და სიმძლავრე — მაჩვენებელია, რომ გოლოვინი სრულიად დამთავრებულ მომღერლად, ჩვენის აზრით, ვერ ჩაითვლება, და მისი სასიმღერო ტეხნიკა სანიმუშოდ ჯერ-ჯერობით ვერ აიღება. კარგი შთაბეჭდილება კი, რომელსაც ბადებს მისი სიმღერა, უნდა მივაწეროთ მომღერლის ხმოვანების ბუნებრივ სიმდიდრეს და კარგ აზროვნებას.

ოპერას ლოტბარობდა ა. მელიქ-ფაშაევი.

კოტე მელვინეთ-უხუცესი.

რუსთაველის თეატრი და მუშა-მაყურებელი

21 მარტს, ტრამვაის მუშათა კლუბში შესდგა დისპუტი რუსთაველის თეატრზე. მოხსენებით გამოვიდა ალ. ახმეტელი. მოხსენების თემას შეადგენდა: „ქართული აკადემიური დრამა, მისი რეპერტუარი და მუშათა მასებისათვის სამსახურის გაწევა“. კრებამ მოხსენების გარშემო სახ. აკადემიური დრამის მუშაობის შესახებ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია:

1921 წლის შემდეგ ქართული თეატრი თანდათანობით ვითარდება ძველი—კუსტარული სცენის მოყვარეობიდან—მაღალ კვალიფიციურ მასიურ ხელოვნებად. რუსთაველის თეატრი საგრძნობლად დაშორდა ძველ-ბურჟუაზიულ ფეოდალურ თეატრების იდეოლოგიას და თანდათან უახლოვდება საბჭოთა საზოგადოებრიობას და მუშათა მასების კულტურულ საჭიროება-მოთხოვნილებებს. მიუხედავად მთელ რიგი მიღწევებისა ამ მხრით, მაინც უნდა აღინიშნოს, რომ რუსთაველის თეატრი უკანასკნელ სეზონებში აწარმოებდა მუშაობას ისეთ ყოვლად მიუღებელ და გაუმართლებელ დადგმებზე, როგორიცაა „ამერიკელი ძია“ და სხვა ტიპის პიესები.

„რღვევას“ დადგმით თეატრმა გადადგა დიდი ნაბიჯი წინ-იდეოლოგიური გაჯანსაღებისაკენ და მუშათა კლასიური კულტურის ხაზით წარმართვისაკენ.

საჭიროა თეატრმა შესძლოს მთლიან მხატვრულ-იდეოლოგიურ ორიენტაციის გამომუშავება და მტკიცე გეზის აღება, რათა ის გახდეს ნამდვილი ფაქტორი მიმდინარე კულტურული რევოლიუციისა. კრებას საჭიროდ მიაჩნია თეატრმა დაიახლოვოს მუშათა ფართო მასები და თავისი მუშაობა შეუფარდოს სწორეთ ამ მასების მოთხოვნილებას და არა „მეშჩანურ-ნეპმანურ“ აუდიტორიას.

საჭიროა აგრეთვე ასეთი დისპუტების სახით რუსთაველის თეატრი დადგეს მუშა-მაყურებელთა კრიტიკისა და კონტროლის ქვეშ, რაც თეატრს მისცემს გარკვეულ პროლეტარულ ხაზს და ააცდენს მას ისეთ შეცდომებს, როგორსაც ადგილი ჰქონდა უკანასკნელ ორ სეზონში.

აუცილებელია რუსთაველის თეატრმა თავისი დადგმები გადაიტანოს მუშათა რაიონებში და ამისათვის შექმნას სათანადო რეპერტუარი. რადგან ქალაქის ცენტრში თეატრით სარგებლობა საგრძნობ სიძნელეს წარმოადგენს მუშათა მასებისათვის.

საჭიროა თეატრმა ბილეთების მეტი რაოდენობა გაავრცელოს პროფსაბჭოს მუშათა სალაროს მეშვეობით მუშათა ზოლისათვის—ისეთ პირობებში, რომელიც უფრო ხელსაყრელი და ხელმისაწვდომი იქნება მუშებისა და მოსამსახურეებისათვის.

— : —

სომხური მწერლობა ქართულად და ქართული—სომხურად

ახალგაზრდა სომეხ პოეტმა ხურენ ავჩიანმა შეადგინა ორი დიდი კრებული სახელწოდებით „ხიდი“. პირველ კრებულში შედის სომხურ ენაზე გადათარგმნილი ქართული კლასიკური და თანამედროვე მწერლების ნაწერები, ხოლო მეორე კრებულში—ქართულად თარგმნილი სომხური რჩეული მხატვრული მწერლობა. ორივე კრებულს თანდართული ექნება ვრცელი წინასიტყვაობა, ავტორების სურათები და ბიოგრაფიები, ბოლო სიტყვაობა, ლექსიკონი და ქრონიკა: „ხელოვნება ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ“.

— : —

მხატვარ დ. კაკაბაძის მოხსენება

დავით კაკაბაძის მოხსენება „თანამედროვე მხატვრობა“-ზე შესდგება კვირას, 25 მარტს, დღის 1 საათზე, საქარ. სამხატვრო აკადემიის კლუბში. მოხსენების შემდეგ გაიმართება კამათი. კამათში მონაწილეობის მისაღებათ მოწვეული არიან გ. რობაქიძე; სუტირინი; ე. ე. ლანსერე; ალხაზიშვილი; ტ. ტაბიძე; კოტეტიშვილი; ეხაკია; ბ. ქიქოძე და სხვები.

ხელოვნების ქრონიკა

— დღეს, საღამოს 8 საათზე, სახ. კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება მე-2 სამუსიკო ტეხნიკუმის მოწაფეთა მეორე ღია საღამო.

— **განათლების მუშაკთა სახლში** დღეს, საღამოს 7 ს. ლიტერატურის შემსწავლელ ასოციაციაში თედო ბეგიაშვილი წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „ს. შანშიაშვილის შემოქმედება“.

— **ბარსოვას გამოსათხოვარი გასტროლი.** ამ დღეებში ოპერის თეატრში გაიმართება ბარსოვას გამოსათხოვარი გასტროლი. წარმოდგენილი იქნება „ტრავიატა“.

— **თარხნიშვილების კონცერტი.** რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში დღეს გაიმართება დები თარხნიშვილების გუნდის კონცერტი.

— **ე. ლიუკომის და ვ. შავროვის გასტროლი.** 30 მარტს ოპერის თეატრში გაიმართება ლენინგრადის ოპერის თეატრის პრიმა-ბალერინას ელენე ლიუკომის და ამავე თეატრის პრემიერის ვ. შავროვის 1 გასტროლი.

— **დისპუტი მუშათა თეატრზე.** 28 მარტს, მუშათა ცენტრალურ კლუბში გაიმართება დისპუტი მუშათა თეატრზე.

— **რუსთაველის თეატრში** დღეს წარმოდგენილი იქნება „რღვევა“.

სასამართლო

დაუდევარი მემანქანე

თბილისის სამაზრო სასამართლომ პლეხანოვის სახელობის თეატრში (ლენინის რაიონი) მოაწყო მემანქანე ანდრო ივანესძე კვიმსაძის საჯარო გასამართლება.

რა დააშავა კვიმსაძემ?

გასულ წელს, 22 ოქტომბერს მემანქანე კვიმსაძეს ბათომის ხაზზე თბილისის მიმართულებით მოჰყავდა საბარგო მატარებელი.

საღამოს 9 საათზე მემანქანემ მატარებელი შემოიყვანა მცხეთის სადგურში. კვიმსაძემ ყურადღება არ მიაქცია საკონტროლო სვეტს, რომელსაც ინსტრუქციის თანახმად არავითარ შემთხვევაში არ უნდა გასცილდეს მატარებლის წინა ნაწილი.

კვიმსაძემ კარგა მოზრდილი მანძილით უკან მოიტოვა საკონტროლო სვეტი და ისე გაიყვანა მატარებელი, რომ გზა გადაუღობა თბილისიდან ბათომისაკენ მიმავალ მატარებელს.

თვითონ კვიმსაძე გადმოხტა მატარებლიდან შევიდა სამორიგეო ოთახში და დაიწყო მასლაათი და ლაზღანდარობა.

ამ დროს ავჭალიდან გასული მატარებელი შეიჭრა მცხეთაში, დაეჯახა კვიმსაძის მიერ უპატრონოდ მიტოვებულ მატარებელს. დაჯახების დროს დაზიანდა ორივე მატარებლის ორთქლმავლები, დაიმსხვრა ვაგონები.

კვიმსაძე კი ამ დროს ანეკდოტებს ჰყვებოდა სამორიგეო ოთახში.

მემანქანე კვიმსაძის დაუდევრობით რკინიგზამ იზარალა 28,000 მანეთზე მეტი.

სასამართლოში კვიმსაძემ თავი არ სცნო დამნაშავედ და განაცხადა, რომ მართალია მას არ ჰქონდა უფლება გაშორებოდა საკონტროლო სვეტს, მაგრამ ეს ჩაიდინა სადგურის მორიგეს განკარგულებით. სადგურის მორიგეს ბათომისაკენ უნდა გაეშვა მატარებელი, რომელიც სადგურში იდგა. თუ ის წინ არ წასწევდა თავის მატარებელს გზა არ ეხსნებოდა მეორეს. მან წასწია წინ თავისი მატარებელი. შემადგენლობა ძალიან დიდი იყო, ხაზმა ვერ დაიტია მატარებელი და მეორე ხაზიც გადაიღობა.

ერთი სიტყვით კვიმსაძე სადგურის მორიგეს აბრალებდა ყველაფერს.

სასამართლო გამოძიებით დადასტურდა, რომ კვიმსაძისათვის არავის არ მიუცია განკარგულება მატარებლის წინ წაწევის შესახებ.

კვიმსაძეს დაუმტკიცდა წარდგენილი ბრალდება—დაუდევრობა თანამდებობის შესრულების დროს და **მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით.**

სასჯელი ამნისტიის ძალით განახევრდა. სასამართლომ მხედველობაში მიიღო კვიმსაძის სოციალური მდგომარეობა და დარჩენილი სასჯელი პირობით შეუცვალა. გამოსაცდელ ვადათ დაუნიშნა სამი წელი.

გაფლანგვა თბილისის სამხედრო კომისარიატში

სამხედრო ტრიბუნალმა დაამთავრა მოქ. არჩილ ბაქრაძის და ნიკოლოზ მინდელის საქმის გარჩევა.

როგორც ვსწერდით, თბილისის მაზრის სამხედრო კომისარიატის ყოფ. ხაზინადარს არჩილ ბაქრაძეს და ამავე კომისარიატის გადამწერს ნიკოლოზ მინდელს ბრალად ედებოდათ სახაზინო ფულის გაფლანგვა.

არჩილ ბაქრაძეს დაუმტკიცდა 1342 მანეთის გაფლანგვა და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 7 წლით. სასჯელი ამნისტიის ძალით გაუნახევრდა.

ნიკოლოზ მინდელის საქმე ცალკე გამოიყო და ხელახლა გამოსაძიებლად გადაეცა პროკურორს.

ბერ.

შემთხვევები

დაჯახება

გუშინ, დილით ტრამვაის ვაგონი (№ 35, მარშრუტი 11) მეტეხის ხიდთან დაეჯახა სამედ ბორისის ძე ურიბტს და მძიმედ დააშავა. ურიბტს აღმოუჩინეს სასწრაფო საქმიო დახმარება და გადაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში. ვატმანი გამოყელიშვილი დაპატიმრებულია.

ტრამვაის მოძრაობის შეფერხება

გუშინ, დილით საბჭოს ქუჩაზე და კალინინის აღმართზე შეფერხდა ტრამვაის მოძრაობა.

ტრამვაის მოძრაობის შეფერხება გამოიწვია ლიანდაგის დაზიანებამ. თოვლის დნობის დაწყებისთანავე ტრამვაის ლიანდაგი აივსო ქვიშით და სილით. სასწრაფოდ გამოიწვიეს ოსტატები ტრამვაის სახელოსნოებიდან და დაზიანებული ხაზი შეაკეთეს.

რუსთაველის პროსპექტზე მომხდარ უბედური შემთხვევის მიზეზების გამორკვევა

გუშინ, მეორე უბნის სახალხო გამომძიებელმა ლ. ვაჩნაძემ დაჰკითხა მთელი რიგი მოწმეები. დაკითხვიდან გამოირკვა, რომ ვატმანს ტრამვაის ვაგონი მიჰყავდა დიდი სისწრაფით. გამოირკვა აგრეთვე, რომ ნადია გაგელია (20 წლისა) მოჰყვა ვაგონის ქვეშ. დადასტურდა, რომ ვატმანმა გაგელიას არ მისცა გამაფრთხილებელი სიგნალი.

დაშავებული ქალი გუშინ გამოეწერა საავადმყოფოდან.

ვატმანი დიმიტრი ჯავახიშვილი დაპატიმრებულია.

თვითმკვლელობა

გუშინ, დილით ნიკოლოზ სოლომონის ძე არჩუაშვილმა (მცხ. კაბგეროვის ქ. № 7) „ნაგანის“ რევოლვერით მოიკლა თავი. თვითმკვლელობის მიზეზი ოჯახური უსიამოვნებაა.

გამფლანგველების დაპატიმრება

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ალექსანდრე ალექსანდრეს ძე როხოვი და გიორგი მახაკანის ძე ახანოვი, რომლებსაც ბრალდებათ სახაზინო ფულების მითვისება და გაფლანგვა.

უეცარი სიკვდილი

გუშინ, დილით გოგირდის აბანოს ქვევით უეცრად გარდაიცვალა უცნობი მამაკაცი დაახლოვებით 70 წლის. გარდაცვალებულის ვინაობის გამოსარკვევად გვამი გადაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოს პროზექტურაში.

ბრძოლა უბედურ შემთხვევებთან

ავტომობილებისა და ტრამვაის კატასტროფების თავიდან აცილების მიზნით, ამ დღეებში ტეხნიკური ინსპექცია დაათვალიერებს ამიერ-კავკასიის ყველა ავტო-მანქანებს და განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს საჭის სისტემას. მუხრუჭების და მოწყობილობის მდგომარეობას.

ტრამვაის პერსონალს ნაბრძანები აქვს არ აუშვას ვაგონზე მთვრალი მოქალაქე. ყურადღება ექნება მიქცეული იმ გარემოებას, რომ ვაგონის გასაჩერებელი ადგილები საკმაოდ იყოს განათებული.

აფერისტები

სისხლის სამართლის მილიციის ცნობით, უკანასკნელ ხანებში ქალაქში თარეშობს აფერისტთა ჯგუფი, რომლის წევრები დადიოდნენ ბინებზე და მდიდრებს ეცნობიან, როგორც ინჟინერ-ტეხნიკოსები. აფერისტები მოქალაქეთა თვალწინ გახსნიან პორტფელს, ამოიღებენ ხელსაწყოებს და იწყებენ „მუშაობას“. როცა მდიდრები მარტო სტოვებენ მათ—აფერისტები იტაცებენ ძვირფას ნივთებს და გარბიან. რამოდენიმე აფერისტი გუშინ დააპატიმრა ს. ს. მილიციამ.

კომუნალურ ქუჩაზე მომხდარ მკვლელობის გარშემო

გუშინ, სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა მთელი რიგი მოწმეები კომუნალურ ქუჩაზე (№ 116) მომხდარ მკვლელობის გარშემო. როგორც ირკვევა, იეგორ ბუგუშვილი მოუკლავთ გაძარცვის მიზნით. დადასტურდა, რომ მკვლელებს ბოროტმოქმედების დასაფარავად გვამი ჩაუფლავთ დიდ ტალახში. მილიცია ღებულობს ზომებს ბოროტმოქმედთა დასაპატიმრებლად.

ნაქურდალი ნივთების პოვნა

სისხლის სამართლის მილიციამ აღმოაჩინა ნაქურდალი ტანთსაცმელები. პატრონი უნდა გამოცხადდეს ს. ს. მილიციაში, ოთახი № 7. ტ. კოპალეიშვილთან.

ხულიგნობა მცირდება

აღმასკომის ადმინისტრატიული განყოფილების ცნობებით, ქუჩაში წესრიგის დარღვევის შემთხვევები უკანასკნელ თვეში შემცირდა 55 პროცენტით.

ქურდობა

გუშინწინ, ღამით გაქურდეს მარიამ ბალდაროვას ბინა (პლეხანოვის პროსპ. № 20); წაიღეს 400 მანეთის ნივთები. გუშინ, დილით გაქურდეს ივანე კაპანაძის ბინა (აუზის შესახ. № 4); წაიღეს 430 მანეთის საოჯახო ნივთები.

ფიზკულტურა

ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოში

საქ. ცაკთან არსებულ ფიზკულტურის უმაღლესმა საბჭომ დაადგინა გაერთიანებული იქნეს ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს და ავიაქიმის საზ-ბის სასროლო სექციები.

ფიზკულტურის უმ. საბჭომ გაერთიანებულ სასროლო სექციის ხელმძღვანელ ორგანოში აირჩია შემდეგი ამხანაგები: შ. მათიკაშვილი (სექციის თავმჯდომარეთ), დიმიტრიევი (თავმჯდომარის მოადგილეთ ავიაქიმის საზ-ბიდან), ბერულაშვილი, ჩხეიძე, აბაშიძე, ვ. კოკაძე და თითო წარმომადგენელი: „დინამოდან“, პროფკავშირებიდან, რკინისგზიდან, დივიზიიდან და განათლების სახ. კომისარიატიდან.

ჭადრაკი

პროფკავშირთა მასიური ტურნირი

გუშინ, 23 მარტს დამთავრდა პროფკავშირთა მასიური ტურნირი. ტურნირში გაიმარჯვა 47 კაცმა.

ხვალ მუშათა ახალ კლუბში შესდგება პროფკავშირთაშორისო ტურნირის პირველი და მეორე ტური. ტურნირში მონაწილეობას იღებს 8 პროფკავშირი, რომელთაც შეჯიბრში გამოჰყავთ 60-მდე მოჭადრაკე. ტურნირში მონაწილეობას იღებს აგრეთვე რკინისგზელთა ტურნირზე გამარჯვებული 20 მოჭადრაკე.

პროფკავშირთაშორისო ტურნირში 10 გამარჯვებული შეადგენს ტურნირის ფინალს.

1928 წლის მცირე ჩემპიონატი

თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში ამ დღეებში შესდგა 1928 წლის მცირე ჩემპიონატის პირველი ტური. აზნაზაროვმა მოუგო წერეთელს, კარლინსკიმ—ვართაზაროვს, მაქსიმოვიჩმა—ბლინკოვს, ლევიტასის და კასპარიანის პარტია გადადებულია.

მცირე ჩემპიონატის მეორე ტური შესდგება დღეს, საღამოს 6 საათზე თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში.

ამიერ-კავკასიის ჩემპიონატი

ამიერ-კავკასიის ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ საჭადრაკო სექციის ინიციატივით, მაისის პირველ რიცხვებში თბილისში გაიხსნება ამიერ-კავკასიის პირველი კატეგორიის მოჭადრაკეთა ჩემპიონატი. ჩემპიონატში საქართველოს დაეთმობა 6 ადგილი, აზერბეიჯანს—6 და სომხეთს 2.

ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად პერსონალურად მოწვეულია მაისტრო სმოროდსკი და მაკოგონოვი. ეთხოვა მონაწილეობის მიღება აგრეთვე მაისტრო ილინ-ჟენევსკის (ლენინგრადი).

დიდი საშაშო ტურნირი

სამშაბათს, 27 მარტს, შესდგება საქალაქო საშაშო ტურნირის უკანასკნელი ტური. ქ. თბილისის ჩემპიონის წოდების მიღებაზე, ჯერ-ჯერობით ყველაზე მეტი შანსები აქვს ხემერინს. მეორე ადგილზე მიდიან დრონოვი და ხოდოვსკი.

რადიო-გადაცემა

შაბათი, 24 მარტი

დღეს, 24 მარტს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

გლეხთა გაზეთი „ახალი სოფელი“—ქართულ ენაზე.

რა სარგებლობა მოაქვს [illegible]—ქართულ ენაზე.

სანერგეების მნიშვნელობა—ქართულ ენაზე.

როგორ გაჩნდა ქრისტიანობა—ქართულ ენაზე.

პოლიტგანათლების მუშაკთა თათბირის შედეგები—ქართულ ენაზე.

მოხსენება: დედების დაცვის საკითხები—რუსულ ენაზე.

რა ზიანი მოაქვს სარწმუნოებრივ ცრუმორწმუნეობას ჯანმრთელობისათვის—სომხურ ენაზე.

კულტურული რევოლიუციის ამოცანები ეროვნულ უმცირესობათა შორის—რუსულ ენაზე.

გაზეთი „ენიკენდ“—თურქულ ენაზე.

თარხნიშვილების კონცერტის ტრანსლიაცია რუსთაველის თეატრის დარბაზიდან.

ობსერვატორიის ცნობები.

რადიო-გადაცემის ერთი კვირის პროგრამის კითხვა.

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.

იურიდიული დახმარება

თინა წითლიძეს

კითხვა:

მამის სიკვდილის შემდეგ დავრჩით მე და დედინაცვალი, რომელმაც სამი წლის წინად წაიღო მოძრავი ქონების ნახევარი და შეუერთდა ძმის კომლს. ამჟამად ის თხოულობს მიწის წილს, რომელიც შესდგება ერთი ნორმისაგან. გთხოვთ გვიპასუხოთ ეკუთვნის თუ არა დედინაცვალს მიწის წილი.

პასუხი:

რადგან დედინაცვალი თქვენი კომლიდან გავიდა და სხვა კომლს შეუერთდა, მან დაჰკარგა უფლება თქვენი კომლის მიწაზე (იხ. მიწ. კოდ. 40 მუხლი და მისი შენიშვნა). ამიტომ მიწის გაყოფის მოთხოვნის უფლება მას არა აქვს.

ს. ცაქადისი, სერგო ენუქიძეს.

კითხვა:

აქვს თუ არა უფლება ჩემს ბიძას, რომელსაც სოფლის მეურნეობასთან 20 წ. გაუწყვეტია კავშირი, მოითხოვოს წილი კომლის მიწაზე და ქონებაზე.

პასუხი:

არა აქვს უფლება არც მიწაზე და არც კომლის ქონებაზე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

სახ. უნივერსიტეტის კომუჯრედის ბიურო კოლექტივი სთხოვს ამხ. გიორგი სულუხიას, გრიშა ქელიძეს, მაკარი ჯაშს, გალაქტიონ ცანავაძეს, და ია მიქაძეს გამოცხადდნენ 24 მარტს დილის 10 საათზედ ბიურო კოლექტივში.

სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ ა. ლ. კ. კ. უჯრედთა ბიურო-კოლექტივის მორიგი სხდომა შესდგება დღეს, 24 მარტს, დღის 12 საათზე. ბიურო-კოლექტივის წევრ-კანდიდატთა გარდა უნდა გამოცხადდნენ ყველა ისინი, რომელთაც აქვთ შემოტანილი განცხადებები.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიკომი იტყობინება, რომ დღეს, 24 მარტს, საღამოს 5 საათზე რაიკომის შენობაში შესდგება მესამე რაიკომის მიმღები კომისიის სხდომა, რომელზედაც აუცილებლად უნდა გამოცხადდნენ შემდეგი ამხანაგები:

ფატმა მამლეევა, გიორგი მახაბელი, გიორგი სტეფანოვი, გასან ასკერ-ოღლი, ილია თოფურია, არტაშეს გეოდოვიანი, ეკატერინე ფუცელაძე, ადამ გობაძე, ტიგრან მარკოსიანი, მარიამ სუქიასოვა, დანიელ ავეტისოვი, გიორგი ხუბასარიანი, გარსევან გეგორკოვა, სოფიო კარაპეტიანი, არამ ალავერდოვი, გიორგი ექიანი, სამსონ ბაროიანი, მაცაკ სუგიანცი, ნიკოლოზ კიმონოვი, მაცაკ ოგანეზოვი, ლევან გასპარიანი, სილიბისტრო გიორხოლიძე, არმენაკ გასპარიანი, მიხეილ ანტონიანი, ნიკოლოზ მესხი, გრიგოლ საფაროვი, მხიტარ მარტიროსოვი, ივანე სალარიშვილი, გიორგი ცხოვრებაძე, არამ მანუკიანი, სიმონ მეტრეველი, ვასილ კუშუხაძე, ილარიონ ბაქრაძე რუხსარა უსეინოვა, ელენე ვოსკანიანი, ტერ-მოსესოვი ვლადიმერ კოპლამაძეევი, ჩირიაშვილი, ნიკოლოზ პაილაძე, ივანე სარიბეკოვი; აბრამ არუთინოვი, ა. ლეჟავა, მარიამ კლიმოვა, ვარვარა გალდავა და პრ. ტიმოშენკოვა.

დღეს, შაბათს, 24 მარტს, საღამოს 8 საათზე შესდგება სახ. უნივერსიტ. პოლიტექ. ფაკულტეტის ახ. ლ. კ. კ. უჯრედის მორიგი კრება. წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოთ დასახელებულ ამხანაგებს ორი დღის ვადაში გამოცხადდნენ აღნიშნულ განყოფილებაში (ოთახი № 8) ამხ. კვირიკაძესთან:

გიორგი სერგოსძე ასლამაზაშვილი, გიორგი ისიდორესძე ჩიხლაძე, ტარასი თეოფანესძე გაბისონია, კონდრატი ელისესძე გაგუა, მიხეილ გიორგისძე მეგრელიძე, გრიგოლ გიორგისძე მოწონელიძე, სიმონ ალექსისძე გოგიშვილი, ვალერიან გიორგისძე სამსონიძე, ალექსანდრე პეტრესძე სკირსოვი, ალექსანდრე ვასილისძე ლეონიძე, სერგო მიხეილისძე პროკოფიევი, ვასილი ვასილისძე საფრანოვი, კალისტრატე კინტირისძე ჯიქია, შალვა ზაქარიასძე შპაშვილი, ნიკოლოზ ალექსანდრესძე მელიქაძე, ვიკენტი დავითისძე ლაგვილავა, ვიკენტი დავითისძე ნადარეიშვილი, ვარლამ თედორესძე პაპავა, ერმოლოზ ლევანისძე გვარჯალაძე, თედორე ილარიონისძე ჩიტაიშვილი, თედორე ილარიონისძე რუხაძე, გიორგი ესტატესძე კაკაბაძე, ილია ნიკოლოზისძე ნამურაძე, ტრიფონ სტეფანესძე ქაჯაია, არკადი სოლომონისძე ზამთარაძე, შალვა პავლესძე კილურაძე, ალექსი იაგორისძე ბალუაშვილი, თადეოზ თედორესძე თაბაგუა, ილარიონ ივანესძე გილორთავა, კალისტრატე ნიკოლოზისძე ჩემია, გიორგი არსენისძე გელაშვილი, დავით გიორგისძე ჩანკვეტაძე, კირილე სიმონისძე გაგუა, ვალერიან არონისძე დოლიძე, ვარლამ ალექსისძე გოგნაძე, ილია ალექსისძე გოგიაძე, აკაკი იაკობისძე აბდუშელიშვილი, ტრიფონ სარდიონისძე სალარაძე, ვარლამ ლევანისძე ლეჟავა, კლემენტი ლაზარესძე ბოკერია, სიმონ ალექსისძე ბერიაკოვი და შალვა მურავიევი.

ამხანაგები, რომლებიც თბილისის გარეთ იმყოფებიან, ნუ ჩამოვლენ. მათი ადგილმდებარეობისა და მუშაობის შესახებ გვაცნობონ წერილობით.

ღრმათ დამწუხრებულნი: მამა ფილიპე, დედა ნინუცა, და გოგუცა, ძმები: ევგენი, ილია, იერემია, შალვა და ბენია აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი საყვარელი

ვერიჩქა (ბ-ბილა) მხეიძის

უდროოთ გარდაცვალებას. დაკრძალვა კვირას 25 მარტს, დ. აბაშაში.
1893

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობა აუწყებს თავის თანამშრომლებს და საზოგადოებას, რომ 23 მარტს შესრულდა ერთი წელიწადი დღიდან გარდაცვალებისა [illegible]

პროფესორ პეტრე გრიგოლის-ძე

მელიქიშვილის

სამოქალაქო პანაშვიდი გადახდილი იქნება კვირას, 25 მარტს, დღის 12 საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარ შენობაში.
ნ. 814 2—1

---

17 მარტს ამა 1928 წელს, სოფელ კოტიანეთში (სენაკის მაზრაში) ხანგრძლივი მძიმე ავად ყოფნის შემდეგ გარდაიცვალა ღარიბი გლეხის შვილი პარტიის წევრი (კანდიდატი)

ამხ. მელიტონ გიორგის ძე

ფაჩუაშვილი

რომლის დაკრძალვა მოხდება იქვე 24 მარტს, შაბათს, 16 საათზე, რასაც აცნობებენ ამხანაგ-მეგობრებსა და ნათესავებს გულდათუთქულნი: დედა თეკლე (მაკრინე), მამა გიორგი, ძმა ძუკუ, დები ფეოდოსია, ანეტა, მარგარიტა, მაშიკო და ოლია და რძალი მაშო ფაჩუაშვილები. 2—2

ნინო ნიკოლოზის ასული მუჯირისა შვილებით ულრმეს მადლობას უძღვნის საქ. ჯანმრთ. კომისარიატს, ზუგდიდის სამაზრაღმასკომს, პროფკავშირებს, დასავლ. საქ. ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებას, სხვადასხვა დაწესებულებებს, ნათესავებს, ნაცნობ-მეგობრებს, რომელთაც განსაკუთრებული თანაგრძნობა და მწუხარება გაიზიარეს უძვირფასესი ქმრის და მამის

ექიმ იასონ ნიკიფორეს-ძე

მუჯირის

გარდაცვალების გამო. ნ. 820

ღრმად დამწუხრებულნი დედა დარო, ცოლი თამარა, დეიდა სიდო ივანეს ასული, ძმა გიორგი, დები—მანია, თამარა, რაისა, ნუშო და ელო, რძალი გულჩინა, ძმისწული უნძინა, სიძე გოგა მიქელაძე, ანნა დევიძე და ვასო მიქელაძე აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ამა წლის 22 მარტს ღამის 11 საათზე ტრაგიკულად გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და საყვარელი წითელი მეთაური, პარტიის წევრი (კანდიდატი)

ნიკოლოზ სოლომონის ძე

არჩუაშვილი

გამოსვენება ქალ. პირველ საავადმყოფოდან 24 მარტს, დღის 11 საათ. თავის საკუთარ ბინაზე კაბგეროვის ქ. № 47 [ავლაბარი]. დაკრძალვა მოხდება კვირას, 25 მარტს, დღის 12 საათზე. (ე)

ღრმად დამწუხრებულნი მამა მიხეილი და დედა ალექსანდრა მახათაძეები, დები: თამარა მიხეილის ასული ალიმბარაშვილისა ქმრით და შვილებით და ანასტასია მოროზოვისა, ძმა დიმიტრი მახათაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 23 მარტს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი და საყვარელი

ქეთევან მიხეილის ასული

მახათაძისა

პანაშვიდი 24 მარტს 7 საათზე. გამოსვენება 25 მარტს, დილის 9 საათზე. [შ]

ღრმად დამწუხრებული მეუღლე შალვა, პატარა შვილიკო მზია გიორგაძეები, დედა ანა, დები: თამარა, ვარა და ნადია გურგენიძეები, მარო ზარიძისა ქმარშვილით, მამამთილი სილიბისტრო, მაზლები: ალექსანდრე და ნესტორ გიორგაძეები ცოლ-შვილით, მული მარო სილაქონიძისა ქმარ-შვილით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ა/წ. 22 მარტს ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი და უსაყვარლესი, მედიკური ტეხნიკუმის მე-2-ე კურსის მსმენელი

ელისაბედ (ლიზიკო) ისაკის ასული

გურგენიძე-გიორგაძისა

გადმოსვენება რკ. გზის საავადმყოფოდან საკუთარ ბინაზე შაბათს, დღის 3 საათზე. გამოსვენება საკუთარ ბინიდან ალიევის (ყოფ. თომას) ქ. № 28 კვირას 25 მარტს დღის 12 საათზე, დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 1900

ღრმა მწუხარებაში მყოფი და სამუდამოთ გულდაწყვეტილი ძმა აკაკი აუწყებს ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს, რომ ა. წ. თებერვლის 16, ქ. ტაშკენტში მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტი

ვენედიქტე (ვეკიტა) ათანასეს-ძე

ჯორბენაძე

რომლის დაკრძალვა მოხდა ქ. ტაშკენტში. 1896

სახელმწიფო ოპერა

შაბათს 24 მარტს. მოსკოვის დიდი აკადემ. თეატრის პრემიერის
დიმიტრი დანიელის ძე გოლოვინის
მესამე გასტროლი **დემონი** ოპერა 3 მოქმ. მუსიკა რუბინშტეინის
ანონსი: კვირას 25 მარტს, დ. დ. გოლოვინის მე-4 გასტროლი **აიდა**
ნ. 822

სახკინმრეწვის თეატრები

აპოლო	**„განკიცხულნი“** ვ. ჰიუგოს რომანის მიხედვით უკანასკნელი 5 და 6 სერია ერთად
არფასტო	**„ნიბელუნგები“** უკანასკნელი 3 და 4 სერია ერთად
სოლეი	გლორია სვენსონი ორიგინალურ რომანში **რა საჭიროა ცოლის გამოცვლა**
დარბაზი	ამერიკული ტრიუკებიანი კინო-რომანი 4 სერიათ **აფრიკის ქალიშვილი** 1 და 2 სერია ერთად
ოდეონი	უკრაინის ფოტო-კინოს ფილმი **ბელვედერის ჩრდილები**
პროლეტარი ავლაბარი	ამერიკული ტრიუკებიანი კინო-რომანი 2 სერიათ **უშიშარი ამერიკელი** 1 და 2 სერია ერთად

ანონსი მალე მსოფლიო შედევრი „Жизнь за жизнь“ 0—18

თბილისის ბირჟის კომიტეტთან არსებულმა კოლექტივთა გაერთიანების სამმართველომ უმუშევრობის შემცირების მიზნით დაარსა
ნაგვის გატანის და სახლების, საცხოვრებელი ბინების და დერეფნების, გასუფთავების კოლექტივი
„ბორსანი“
რისთვისაც ვთხოვთ დაწესებულებებს, სახლების მმართველებს და სახლების ღიასახლისებს შეხვდეთ ღირსეულად აღნიშნულ კოლექტივს და მიიღოთ მხედველობაში ის, რომ კოლექტივი ყოველივე ასეთ დავალებების შესრულებას და პასუხისმგებლობას მიიღებს თავის თავზე.
თბილისის ბირჟასთან არსებული კოლექტივთა გაერთიანების სამმართველო.
ელსმენი № 5—34. 1905 2—1

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე. დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 13—7

სიღნაღის უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ქ. თ. სვიმონიშვილი

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 25 მარტს სოფ. ანაგაში დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** მოძრავ ქონებისა ვასილ ზაქარიას-ძე შაიშმელაშვილისა, რომელიც აღწერილია 30 იანვარს 1928 წ. გიორგი დარჩიაშვილის ვალში, თანახმად სიღნაღის უბნის სახალხო მოსამართლის აღმასრულებელი ფურცლისა 9 მარტს 1928 წ. № 227, სია გასასყიდი ქონებისა: საპონი ლურჯი 33 ფუთი, შავი საპონი 4 ფუთი, გამოუხდელი ქონი 60 ფუთი, არაყი ორი ვედრა, ღვინო 24 ჩაფი, ქერი 7 ფუთი, სიმინდი 8 ფუთი. სპილენძის ტაშტი და ერთი ქვაბი 30 გირი და რვა ქვაბი ჩუგუნისა დიდები, შეფასებულ 1537 მან. ვაჭრობა მოხდება ნაწილ-ნაწილ და მსურველთათვის მთლიანად.
ნ. 815

ოზურგეთის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი მ. მაქსიმენიშვილი

აცხადებს, რომ ა. წ. 23 მარტს დღის 12 საათზე გაყიდის **საჯარო ვაჭრობით** დვაბზუს თემში არსენ თავამაიშვილის კუთვნილ ოდა სახლს ქუხნის, სასიმინდე ნალიას და ერთი ხულის 1/4 ნაწილს და კირილე გოლიაძის ერთი თვალ ოდა სახლს ოზურგეთის კომ-მეურნეობის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ოზურგეთის უბნის სახალხო სასამართლოსაგან 17 მარტის 1927 წ. თარიღით № 499 გაცემული აღმასრულებელი ფურცლისა, შეფასებულის 360 მანეთად, რომელი თანხიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა. თუ რაიმე მიზეზის გამო აღნიშნულ რიცხვს ვაჭრობა არ შესდგება, იმ შემთხვევაში მეორე საჯარო ვაჭრობა მოხდება 31 მარტს 1928 წ.

ვისაც სურს ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება უნდა წარმოადგინოს 10 პროც. თანახმად სამ. საპ. კოდ. 312 მუხ.
ნ. 819

ახმეტის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი გედ. გელოვანი

ამით აცხადებს, რომ მარტის 31 დილის 10 საათ. სოფ. ზ. ალვანში, ამხ. „მწყემსი“-ს 500 მან. ვალის ასანაზღაურებლად **საჯარო ვაჭრობით** გაყიდული იქნება ზ. ალვანში მც. გიორგი სვიმონის-ძე მიქელაძის კუთვნილი ქვითკირის სვეტებზე დადგმული კრამიტით დახურული საძნე, სიგრძით 12 და სიგანით 5 ადლი. შეფასებული 150 მან. და 2) 2500 ცალი დასაწვავი აგური შეფასებული 150 მან., რომელ ფასებიდანაც დაიწყება ვაჭრობა.
1906

ყვარელის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი ნ. შ. შამანაური

აცხადებს, რომ იგი 1928 წლის 31 მარტს დღის 12 საათზე, სოფ. შილდაში **საჯარო ვაჭრობით** გაჰყიდის ანდრია მირიანაშვილის კუთვნილ შემდეგ მოძრავ ქონებას: 1) შვიდ სულ მსხვილფეხა საქონელს, შეფასებულს 610 მანეთად, 2) 38 ცალ თელის ფიცარს—95 მან., 3) 75 ვედრო ღვინოს—250 მან., 4) ერთ ფარდაგს—50 მან., 5) სასადილო მაგიდას—50 მან., 6) საკერავ მანქანას—90 მან. და 7) ერთ იაბო ცხენს—150 მან. დასაკმაყოფილებლად მარიამ კაციტაძის ვალისა აღმასრულებელი ფურცლით, წინანდლის უბნის საადგილ-მამულო სასამართლოსი 22 თებერვლიდან 1928 წ. № 92. ნ. 816

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
სამკურნალო
ხაწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი და ნერვიული სნეულებანი. ელექტრონის და სინათლის კაბინეტი. ავადმყოფების მიღება ორშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით, საღამოს 7—8 საათ. მისამართი ლენინის (ოლღას) ქუჩა № 11, ტელ. 4—82
25—1

ექიმი **ს. ი. ანდრეევისა**
ძვლის და ჯირყვლების ტუბერკულიოზი. (კვარც—ლამპარით მკურნალობა) ღებულობს ავადმყოფებს 5—7 ს. ელბაქიძეს დაღმართი (ყოფ. ვერის დაღმართი), 29, ვერის ხიდთან ელსმენი 11—78 25—0

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უტკივნეულოდ ამოღება. ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34, რუსთაველის გამზირის კუთხე. 25—1

თვალის საავადმყოფო
მუდმივ საწოლებით და ამბულატორიით. ღებულობენ ექიმები
ა. ნ. შატილოვი
ხაოპერაციო დღეებში
ა. გ. მალაევი
დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—7 ს. სტაციონალური ავადმყოფების მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქუჩა (ყოფ. ელისაბედის) № 47 ტელეფონი № 5—90 5—12

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**
ვენერიული, საშარდე — სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი (პლეხანოვის - შესახვევი) № 8.

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან. 25—9

ექიმი
ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი
ავადმყოფების მიღება **ფსიქოტერაპიის** დარგში; სქესობრივი აშლილობა, მავნებელი ჩვეულებანი, უძილობის ყველა სახეები. 5—8 საათამდე. სიფილისით დაავადებულთა მიღება დღის 11—1 საათამდე და საღამოთი დანიშვნით.
საბჭოთა ქ. № 48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის) კორესის ქ. კუთხე.
25 -1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიღება დილის 9—12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ.
25—1 ტელ. 12—67

მედიც. დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული ავადმყოფობანი და სიფილისი.
დილით 9—12 ს., საღამ. 6—8 საათზე, პლეხანოვის პროსპექტი № 7, შესავალი კუთხიდან ნარიყალის ქ. № 1.) 25—11

ექიმი **ჯალალოვი**
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9 საათ საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—1

ქუთაისში
ექ. დ. ჩეჩელაშვილი
გადავიდა ახალ ბინაზე ჰა ჰავაძის ქ. № 4 ცეცხლის ქრობელ რაზმის გვერდით, სადაც იღებს შინაგან ავადმყოფებს. სპეციალ ექიმობა ფილტვებსი მიღება დილის 8—12 საათ.
13—1

დაკარგა: პირადობის მოწმობა ბრონისლავა პეტრეს ასული ბოხმანას სახელზე ჩ. გ. 1895

დაკარგა კოოპერატივის წიგნაკი № 3637. ჩხენკელის სახელზე, ჩ. გ 1892

დაკარგა: სამხედრო აღრიცხვის ბარათი № 33 არჩილ ქველაძეს სახელზე, ჩ. გ. 897

დაკარგა: პასპორტი, სამხედრო აღრიცხვის ბარათი და საწევრო წიგნაკი, ლიპარტი რამიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1898

დაკარგა: პარტიული ბილეთი. № 0863537 იოსებ ალექსისძე ფარეხელაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1902

დაკარგა: კავშირის წიგნაკი № 246 0 ირაკლი ლომიძეს სახელზე, ჩ. გ. 1997

დაკარგა: ზუგდიდის „ეპოს“-ს საწევრო წიგნაკი № 4498 | 32 იოსებ შონიას სახელზე ჩ. გ. ნ. 820

დაკარგა: უვადო პასპორტი თბილისის მუშ. | გლ. მილიციის სამმართველოდან აღებული და სხვადასხვა საბუთები ვასილ იაგორისძე ნენსაძეს სახელზე, ჩ. გ. 1894

დაკარგა ზუგდიდის ხელოსანთა საკრედიტო ამხ-ბის რწმუნებულობის ქაღალდი რეესტრის № 209 და სამგზავრო მანდატი, № 016 ერმინე წიფურიას სახელზე, ჩ. გ. ნ. 820

დაკარგა კომკავშირის პირადი საქმე № 19 პარმენ წულაიას სახელზე, ჩ. გ. 899

დაკარგა: განათლების მუშაკთა კავშირის საწევრო წიგნაკი № 23358 მიღებული ოზურგეთის განკავშირისაგან ისიდორე ჩხარტიშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 819

დაკარგა სამხედრო აღრიცხვის ბარათი № 4 გაცემული ახალ ხიბულის სამხედრო მაგიდიდან პართენ კოწიასძე თოდუას სახელზე, ჩ. გ. ნ. 820

დაკარგა: პარტიული მანდატი № 0853252, კომუნ მეურნეობის მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 6781 საბჭოს წევრობის მანდატი № 1904, ნამსახურობის მოწმობა № 433, გაცემული ფოთის ადგილობრივ მეურნეობის განყოფილებიდან და ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციის ქვითარები 50 მან. №№ 0687920—089260 ნესტორ ბურდღულიძე კუკულიას სახელზე ჩ. გ. ნ. 821

დაკარგა საპენსიო წიგნაკი № 111 დინა ცაბაძის სახელზე, ჩ. გ. 1903

დაკარგა: სამხედრო მოწმობა ფორმა № 4 ერასტი გვაზავას სახელზე, ჩ. გ. 1904

დაკარგა: პარტიული ბილეთი № 0863561, ტყვიავის კოოპერატივის ანგარიშები, და სხვადასხვა საბუთები, ნიკო იოსებისძე პავლიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1901